ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა
Akhali Taoba

29 მაისიდან!
„ახალი თაობა“
+
პიკასო
8 ლარი




პარასკევი, 31 მაისი, 2013 №127 (6128) ფასი: 30 თეთრი

# ნინო ბურჯანაძე: „ქვეყნის პრეზიდენტი „ქართული ოცნებისგან“ არ უნდა იყოს დავალებული“

„ბიძინა ივანიშვილი ულტერნატივოა, მაგრამ მისი გუნდის წევრები ბევრ საკითხში ავლენენ არაკომპეტენტურობას. მეტი ყურადღებაა საჭირო გადაწყვეტილებების მიღების დროს“.



გვ.3

## ირაკლი ღარიბაშვილი: „შს მინისტრის პოსტი იმუნიტეტი არ არის!“



გვ.4

საქართველოში არავინ აღარ იქნება პრივილეგირებული



## „ბურჯანაძე დასავლეთთან და რუსეთთანაც მოახერხებს ლაპარაკს“

გვ. 2

## ვინ აგებს პასუხს წითელ წიგნში შეტანილი ტრანვერტინების განადგურების გამო

გვ.4





## მთავრობისთვის თამბაქოს აკრძალვა დიცსა და დვანზე პრიორიტეტულია

გვ. 6

## ბიძინა ივანიშვილი: „ძალიან რთულია, პროკურორი იყოს საყვარელი“



გვ.7



გვ.5

## ჯონდი ბაღათურია: „სააკაშვილის გასამართლების გარეშე საქართველოში სამართლიანობა ვერ აღდგება“

21 მაისიდან!
„ახალი თაობა“
+
პატრიარქები
8 ლარი




ISSN 1987-9385
9 771987 938006

2 გიორგი თავდგირიძე: „რუსეთთან მოლაპარაკება ჩაიშალა“

7 ლადო ვარძელაშვილის მიმართ საქალაქო სასამართლომ გამამტყუნებელი განაჩენი დაადგინა

6 რუსეთის ქმედებებმა რიჩარდ ნორლანდი შეაშფოთა

7 პაატა დავითაია: „რუსეთთან სიტუაციის დათბობა არ მოხდება“

# „ბურჯანაძე დასავლეთთან და რუსეთთანაც მოახერხებს ლაპარაკს“

ნონა ცაბაძე

## ინტერვიუ ევრაზიის ინსტიტუტის ექსპერტ ნანა დევდარიანთან

***— ქალბატონო ნანა, ჩვენ ვხედავთ, რომ თავად „ქართული ოცნების“ წევრები ითხოვენ ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს, ჩვენ მოვისმინეთ არაერთი განცხადება აღნიშნულთან დაკავშირებით, თუმცა ამას ითხოვს ერთი პატარა ჯგუფი, ისინი ვინც კონკრეტულად ოცნების წევრები არიან. როგორია თქვენი შეფასებები აღნიშნულთან დაკავშირებით?***

— თავისთავად ცუდია, როცა უმრავლესობაში ხალხის თვალსაზრისს იზიარებს უმცირესობა. ეს არ არის კარგი, იმიტომ რომ, პრაქტიკულად, ამომრჩეველში ვინმემ რომ ჩაატაროს გამოკითხვა, ალბათ, უდიდესი უმრავლესობა უპასუხებს, რომ მომხრეა ვადამდელი არჩევნების, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ დღეს უკვე არანაირად არ ასახავს ხალხის განწყობილებებს პარლამენტის ეს კონფიგურაცია. მეორე ის, რომ პირველ ოქტომბერს ძირითადი ამოცანა იყო სააკაშვილისა და ნაციონალების გასტუმრება. ახლა ეს ამოცანა, ასე თუ ისე, შესრულებულია და იმავე ნაძალადევის არჩევნებმა აჩვენა, რომ ხმები უკვე სხვანაირად ნაწილდება. დღეს უკვე შედარებით თავისუფალი არჩევანი რომ აქვს ადამიანს, იქ აუცილებლად კოალიცია „ქართულ ოცნებას“ არ მისცემს ხმას, მისცემს იმ პარტიას, რომლის მიმართაც მეტი სიმპათიით არის განწყობილი. დავუშვათ, ცალკე გავიდა პარტია „ქართული ოცნება“ და არა კოალიცია. ის მიიღებს ხმების ძალიან დიდ რაოდენობას, რასაც ვერ ვიტყვი კოალიციაში შემავალ სხვა პარტიებზე. ამიტომ, რა თქმა უნდა, ეს განწყობილებები არის სრულიად რეალური და საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ეს საკითხი დადგება მთელი სიმწვავით.

***— ამ შემთხვევაში ხომ არ მოხდება დაპირისპირება თვითონ კოალიციაში, რადგან ყველას არ აწყობს ვადამდელი არჩევნები?***

— რა გითხრათ, აბა. წესით, დაპირისპირების საგანი ეს არ უნდა იყოს. საერთოდ, ბლოკები არჩევნების წინ იქმნება და მერე იშლება. ამაში არაფერი უცნაური არ არის.

***— მაშინ პრემიერზე იქნება საბოლოო სიტყვა, დანიშნავს თუ არა ვადამდელ არჩევნებს?***

— ეგრე არ არის, რომ პრემიერმა გაიზიაროს და დანიშნოს. განწყობილება როგორიც იქნება და მოთხოვნა საზოგადოების, ყველა ხელისუფალი ვალდებული იქნება, ის გაიზიაროს.

***— თუმცა ჩვენ მოვისმინეთ მისი განცხადება, რომ არანაირი ვადამდელი არჩევნები არ იქნებაო.***

— ამ ეტაპზე სრულიად არ არის საჭირო მისი თვალსაზრისით ყურადღების გადატანა. მალე იქნება საპრეზიდენტო არჩევნები და სწორედ ეს არის პირველი ამოცანა. ამ ყველაფერზე უფრო აქტიური საუბარი დაიწყება საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ. სხვათა შორის, ძალიან მნიშვნელოვანია, როგორი შედეგი ექნება საპრეზიდენტო არჩევნებს. ვინ გაიმარჯვებს...

***— ქალბატონო ნანა, მოდით, ამ საკითხსაც შევეხოთ. ჩვენ ვნახეთ, რომ ნინო ბურჯანაძემაც წამოაყენა საკუთარი კანდიდატურა. თქვენი აზრით, რა შანსებია აქვს მას?***

— ძალიან სერიოზული შანსი აქვს. მარგველაშვილი ნამდვილად არ არის ცუდი ადამიანი და ცუდი პიროვნება, მაგრამ ის სულ ახალი მოსულია პოლიტიკაში და ის, რაც ბურჯანაძემ უკვე გაიარა, ისწავლა და ბევრი რამ მწარედაც იწვნია, მას ეს ყველაფერი აქვს წინ. წლები დასჭირდება იმას, რომ მან თავისი პირადი კონტაქტები შექმნას, ურთიერთობები დაამყაროს, ნდობა მოიპოვოს, იმიტომ რომ ჩვენთვის მნიშვნელოვანია ის, რომ კონსტიტუციით პრეზიდენტი წარმოადგენს საქართველოს საგარეო ურთიერთობებში, ხომ? და ის ამ ურთიერთობებში გამოცდილი არ არის. ეს შეიძლება არც ნაკლია და არც ღირსება, მაგრამ ჩვენს მდგომარეობაში მყოფი ქვეყნისათვის ამას პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება. ჩვენ გვინდა ისეთი პრეზიდენტი, რომელიც თანაბრად მოახერხებს ლაპარაკს როგორც დასავლეთთან, ისე რუსეთთან.



***— ბურჯანაძეს ამის შანსი აქვს?***

— რა თქმა უნდა, ბურჯანაძეს ამის სრული შანსი აქვს, იმიტომ რომ მას აქვს ურთიერთობები, კონტაქტები და გავლილი აქვს ეს ყველაფერი.

***— რაც შეეხება სალომე ზურაბიშვილს? ჯერჯერობით თავს იკავებს, მაგრამ ბევრი იმაზეც საუბრობს, რომ ბოლოს სწორედ ამ ორ ქალბატონს შორის იქნება არჩევანი გასაკეთებელი...***

— მე ასე არ მგონია ნამდვილად, მით უმეტეს, რომ ისეთი გაურკვეველი ჩანაწერია კონსტიტუციაში, შეუძლია მიიღოს მონაწილეობა, არ შეუძლია, ეს საკმაოდ სადავო საკითხია, იმიტომ რომ მას ორი-სამი წლის განმავლობაში საქართველოში არ უცხოვრია. მას რომ ემუშავა საქართველოს რომელიმე წარმომადგენლობაში უცხოეთში, ეს ჩაეთვლებოდა საქართველოში ცხოვრების წლებად, თუმცა მას საქართველოს წარმომადგენლობაში არ უმუშავია. კიდევ მეორე ფაქტორიც არის, მაინც, მიუხედავად იმისა, რომ მან ერთი პერიოდი იმუშავა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრად, მასაც არა აქვს საკმარისი გამოცდილება. ის ელჩია თავისი კვალიფიკაციით და ამაზე უფრო მაღალი პოლიტიკური თანამდებობები არ სჭერია. ძალიან მნიშვნელოვანია, ადამიანი ვიდრე გახდება პრეზიდენტი, ის დიდხანს უნდა იყოს ჩართული პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამის საუკეთესო სკოლა კი არის პარლამენტი. იქ არის დებატები, იქ არის აზრების შეჯახება, იქ არის ოპონენტის დარწმუნება და ასე შემდეგ. ეს არ ჰქონია სალომე ზურაბიშვილს არც საქართველოში და არც საფრანგეთში. რაც აქვს ბურჯანაძეს. მან გაიარა რიგითი პარლამენტარობიდან, კომიტეტის თავმჯდომარე და მერე პარლამენტის თავმჯდომარე იყო და ორჯერ პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელიც.

***— მაშინ ასე დავსვათ საკითხი, ოცნება დაუშვებს იმას, რომ ნინო ბურჯანაძე გახდეს პრეზიდენტი?***

— მოდით, ასე შევხედოთ, ამას ოცნება არ წყვეტს. ამას წყვეტს ამომრჩეველი. ამომრჩეველმა უნდა გააკეთოს გონივრული არჩევანი. ამას როგორ შეხედავს ოცნება? ცხადია, შეხედავს, როგორც კონკურენტს და ეცდება, გაიყვანოს თავისი კანდიდატი, მაგრამ ამისთვის უფრო მოკლე და ეფექტური გზა იყო, დაესახელებინათ არა გიორგი მარგველაშვილი, რომელიც რამდენიმე წლის შემდეგ შეიძლება მართლაც იყოს მზად პრეზიდენტობისთვის, არამედ დაესახელებინათ უფრო რეიტინგული, უფრო გამოცდილი ადამიანი. მაგალითად, თედო ჯაფარიძე რომ დაესახელებინათ, რომელსაც ასევე არაჩვეულებრივი კონტაქტები აქვს, არის გამოცდილი, ძალიან ბევრი რამე აქვს გავლილი, ასეთ შემთხვევაში ოცნების კანდიდატი იქნებოდა კონკურენტუნარიანი, მაგრამ დასახელდა ეს და ამ პირობებში, მე ვფიქრობ, ნინო ბურჯანაძის შანსები ძალიან მაღალია.

***— ალასანიას შემთხვევაში რა იქნებოდა?***

— ვერც ალასანია გაუწევს კონკურენციას ნინო ბურჯანაძეს, იმიტომ რომ ალასანია ასევე მზარდი პოლიტიკოსია და მას პრეზიდენტობამდე ჯერ ბევრი უკლია. მერე ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია, საპრეზიდენტო არჩევნები როგორ უნდა მოიგოს ადამიანმა, რომელმაც ზუგდიდში საპრეზიდენტო არჩევნები ვერ მოიგო. იმავე თეა წულუკიანმა დიდი უპირატესობით მოიგო ნაძალადევი. ამ პოლიტიკურ ბეგრაუნდს ყოველთვის აქვს მნიშვნელობა.

***— ქალბატონო ნანა, ასევე მინდა, რუსეთის ქმედებებიც შევაფასოთ. ვხედავთ, როგორ მოიწევს ჩვენი ტერიტორიებისკენ. როგორია თქვენი შეფასებები, ახალი პროვოკაცია წამოიწყო რუსეთმა თუ რასთან გვაქვს საქმე?***

— ვერ გეტყვით, კერძოდ, ამ შემთხვევაში რა მოხდა, მაგრამ ასეთი შემთხვევები იყო თითქმის ყოველ კვარტალში ნაციონალების დროს საქართველოს მთიანეთში, მაგრამ მაშინ ხმა არავის ამოუღია. ახლა რომ იწეწენ თმას, ნაციონალები არასოდეს ხმას არ იღებდნენ და ამ ხაზის ნელ-ნელა გადმოწევა მათ დროსაც ხდებოდა. ეს საკმაოდ ხშირი იყო. აი, რა გააკეთა ჩვენმა ხელისუფლებამ, გარდა იმისა, რომ ეს უგუნური ავანტიურა წამოიწყო 2008-ში, მე კარგად მახსოვს, გია ბარამიძე რომ გამოვარდა და გამოაცხადა, საქართველო გამოდის დსთ-დანო. დსთ-დან გამოსვლა რას ნიშნავს, იცით? — დსთ-ს დამფუძნებელ დოკუმენტებში პირდაპირ წერია, რომ დსთ-ს წევრ სახელმწიფოებს არ შეიძლება ჰქონდეთ ერთმანეთის მიმართ ტერიტორიული პრეტენზიები. საზღვრებს რომ თავი დავანებოთ, ჩვენ პირდაპირ მივეცით აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარების საშუალება რუსეთს, როდესაც დავტოვეთ დსთ, აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ დსთ-ში სადაც წარმოდგენილია ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები, იქ საუბარი რუსეთთან გაცილებით უფრო პროდუქტიული იქნებოდა, იმიტომ რომ სხვა რესპუბლიკები დაგვიჭერდნენ მხარს, ვიდრე ასე გასვლა და ახლა, კაცმა არ იცის, როგორ უნდა მოგვარდეს ეს ყველაფერი. დიპლომატიური ურთიერთობა არ არის და, ფაქტობრივად, როგორ უნდა მოაგვარო ეს საკითხი? უნდა ეხვეწო კეთილ ბიძიებს ევროპაში, ხომ? ევროპა კიდევ ჩვენ გამო რუსეთთან მკაცრ და მკვახე ლაპარაკს არ დაიწყებს. შეიძლება, ვიღაცამ მორიგი შეშფოთება გამოხატოს და ჩვენ გვიშველის რამეს ეს შეშფოთება? უბედურება რაშია, იცით? სააკაშვილმა ყველაფერი დაუთმო რუსეთს, ოღონდ სკამი შეენარჩუნებინა და არა იმიტომ, რომ საქართველო ყოფილიყო ტერიტორიულად მთლიანი. დათმობებზე ყველა ქვეყანას შეუძლია მოუწიოს წასვლა, მაგრამ, გააჩნია, რისთვის თმობ, შენი სკამისთვის თუ სამშობლოსთვის.

***— რამდენად აქვს დღეს ხელისუფლებას იმის უნარი, რომ რამე შეცვალოს?***

— საერთოდ, ეს დიპლომატიური მუშაობა ისეთია, გაცილებით მეტი კეთდება ჩუმად და დაფარულად, ვიდრე ყველას დასანახად. დანახვით ჩვენ ბევრს ვერაფერს ვხედავთ, მაგრამ, მე მინდა, იმედი ვიქონიო, რომ მიმდინარეობს მოლაპარაკებები და რაღაცა მკვდარი წერტილიდან დაიძვრება.

# გიორგი თავდგირიძე: „რუსეთთან მოლაპარაკება ჩაიშალა“

გულიკო ბალაძე

## ინტერვიუ სამხედრო-პოლიტიკურ ექსპერტ გიორგი თავდგირიძესთან

***— ბატონო გიორგი, როგორც სამხედრო-პოლიტიკური ექსპერტი, როგორ აფასებთ შიდა ქართლში შექმნილ ვითარებას?***

— საკმაოდ რთული ვითარებაა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში პოლიტიკური ხელისუფლების ცვლილების შემდეგ რუსეთის მიმართ პოლიტიკა შეიცვალა იმ იმედით, რომ რუსეთი გადმოდგამდა შემხვედრ ნაბიჯს და შეიქმნებოდა კარგი ვითარება, პრობლემის დიალოგის გზით გადასაჭრელად ვითარება არ იცვლება. ის ფაქტები, რომლებსაც დღეს აქვს ადგილი, იწვევს ეჭვს, რომ რუსეთი არ ცვლის დამოკიდებულებას საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ. ეს ვითარებას რეალურად იწვევს საქართველოს შიდა დაძაბულობას. არის პოლიტიკური ძალა, რომელიც მოვიდა ხელისუფლებაში „ოცნების“ სახით და მათ მიერ დეკლარირებული იმედები. ამას საქართველოს მოსახლეობა იმედის თვალით უყურებს, თუმცა რეალობაში მათი მხრიდან ჯერჯერობით არ ჩანს მკაფიოდ ჩამოყალიბებული ხედვები, რომელსაც საქართველოს მოსახლეობა აღიქვამს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში გადადგმულ წარმატებულ ნაბიჯებად. რით გამართლდება რუსეთის ქმედებები? ისინი ოკუპაციის ზოლს ავლებენ თითქოსდა ძველი ადმინისტრაციული რუკებით, მაგრამ ეს არის რუსეთის ნაბიჯების გასამართლებლად მოყვანილი არგუმენტი. მეორე მხრივ, ეს არის ოკუპირებული ტერიტორია. არანაირ საზღვარს ჩვენ არ ვცნობთ. საქართველოს მოსახლეობისა და საზოგადოებისთვის რუსების ქმედება არის ოკუპაციის ზოლის გაფართოება. შესაბამისად, ეს იწვევს აღელვებას.

***— უსუსურობის გრძნობა გეუფლება, როცა ოკუპანტი ეზოში გეჭრება, საზღვარს გივლებს, მაგრამ შენ ვერაფერს ეუბნები. რა უნდა მოიმოქმედოს ხალხმა, სოფელმა, ხელისუფლებამ ასეთ ვითარებაში, რომ ამგვარ სიტუაციაში გონივრული გამოსავალი იყოს?***

— სახელმწიფო ძლიერი რომ იყოს, მას სჭირდება ძლიერი პოლიტიკოსები. საქართველოს, სამწუხაროდ, არა მარტო ძლიერი პოლიტიკოსები არ ჰყავს, არამედ მას პრობლემა აქვს პოლიტიკოსების სინდისნამუსთან დაკავშირებით. სამწუხაროდ, ქართული პოლიტიკოსების უმრავლესობა ვერ აღიქვამს, რა არის მისთვის საქართველო. ეს ეხება ნაციონალური მოძრაობის პოლიტიკოსებსაც და იმ პოლიტიკოსებსაც, რომლებიც დღეს არიან. სამწუხაროდ, ისინი არ ფიქრობენ, რომ ისინი ის ინსტრუმენტებია, რომლებიც საზოგადოებას სჭირდება თავისი პრობლემების მოსაგვარებლად.

***— ვითარება, რომელზეც ჩვენ ვსაუბრობთ ანუ ოკუპაციის ხაზის გაფართოება და უსინდისო პოლიტიკოსების არსებობა რა ურთიერთმიმართებაშია ერთმანეთთან?***

— ეს პრობლემა ნაციონალურმა მოძრაობამ დატოვა. ნაციონალური მოძრაობის პოლიტიკოსებმა თავიანთი უსახური პოლიტიკით შექმნეს პრობლემა. შესაბამისად, ეს პრობლემა მემკვიდრეობით ერგო ახალ ხელისუფლებას. სამწუხაროდ, ჩვენ ახალი პოლიტიკოსებისაგან არ გაგვიგია მკაფიოდ ჩამოყალიბებული ქმედებათა ერთობლიობა, რომელიც ამ პრობლემის მოგვარების გზებს დაგვანახვებდა.

***— ასეთი გეგმა არ აქვთ და, პრობლემას რომ შეეჯახებიან, მაშინ ქმნიან?***

— ჩვენ გვინდა პოლიტიკოსი, რომელსაც უკვე ექნება ჩამოყალიბებული ხედვა. პოლიტიკოსი, რომელიც აპირებს, ვთქვათ, თავდაცვის პოლიტიკის გატარებას, მან უნდა იცოდეს, რა არის თავდაცვის პოლიტიკა, ხოლო პოლიტიკოსი, რომელიც აპირებს იმუშაოს კონფლიქტებთან დაკავშირებით, მან უნდა წარმოადგინოს თავისი ხედვები. მარტივად გეტყვით, რაც იყო გასაკეთებელი. როდესაც ექვსპუნქტიან ხელშეკრულებას მოეწერა ხელი, ნაციონალურ მოძრაობას უნდა ეზრუნა, რომ ექვსპუნქტიანი ხელშეკრულების დაცვის მექანიზმები შეემუშავებინა ისე, რომ არ დაზარალებულიყო არაღიარების პოლიტიკა. ნაციონალურმა მოძრაობამ ასეთი ინსტრუმენტი ვერ შექმნა.

***— მაგალითად, რა მექანიზმი უნდა შეემუშავებინა, კონკრეტულად?***

— საქართველოს ხელისუფლება იღებდა მოსახლეობის დაცვის ვალდებულებას, კონფლიქტის ზონაში თავისი შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფებს განათავსებდა



და იტყოდა, მე ვიცავ ამ ექვსპუნქტიან შეთანხმებას დე ფაქტოდ, სანამ არ მოხდება პოლიტიკური დარეგულირება, მაგრამ, ნებისმიერი ინციდენტის შემთხვევაში, ვიტოვებ უფლებას, დავიცვა ჩემი მოსახლეობისა და სახელმწიფოს უსაფრთხოება. ეს იქნებოდა სამხედრო ძალების ქვედანაყოფები, რომელიც იქნებოდა საზღვრის გასწვრივ განლაგებული. რუსების მხრიდან ნებისმიერი აგრესიული მოქმედების შემთხვევაში, რეაქცია ექნებოდა. ამ ნაბიჯს აუცილებლად მოჰყვებოდა უკვე ქმედითი ღონისძიებები ევროპის მხრიდან და რუსეთიც ასე უაპელაციოდ ვერ იმოქმედებდა. ეს ერთ-ერთია იმ მექანიზმებს შორის, რომელიც უნდა შექმნილიყო.

***— ანუ მთლიანად მოღიავებული და მოშიშვლებული არ უნდა დაეტოვებინათ ფრონტის ხაზი?***

— ეს ტექნიკური დეტალია. უნდა გვქონოდა სხვადასხვა ინსტრუმენტი.

***— ამბობენ, თუკი ადმინისტრაციულ საზღვარზე ან იქ, სადაც შეჩერდა რუსეთი, განალაგებდნენ რაიმე სახის შეიარაღებულ ნაწილებს, ეს იქნებოდა საზღვრის დაფიქსირება. თქვენ ასე არ ფიქრობთ?***

— არა. როგორ იქნებოდა საზღვრის დაფიქსირება? არანაირი საზღვრის დაფიქსირება არ იქნებოდა. მსოფლიო იცნობს სხვადასხვა შემხვედრ ფორმას, მაგალითად, სადემარკაციო ხაზს. ჩვენი პოლიტიკოსები რაღაც სისულელეებს რომ ლაპარაკობენ, ეს იმას ნიშნავს, რომ არ იციან, რა ღონისძიება გაატარონ და საზოგადოებას უხსნიან, რატომ ვერ გააკეთეს რაღაც. ახლა მათი მთავარი ამოცანაა, ბიძინა ივანიშვილს დაანახვონ, ვერაფერი გააკეთეს, მაგრამ მათი ბრალი არ არის. ამიტომ

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი
კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა განდელაკი, მზია ქოქაშვილი
მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ნინო ბურჯანაძე: „ქვეყნის პრეზიდენტი „ქართული ოცნებისგან“ არ უნდა იყოს დავალებული“

თამარ ნინიძე

„დემოკრატიული მოძრაობის“ თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძემ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ოფიციალურად დაადასტურა საპრეზიდენტო არჩევნებში მინაწილეობის მიღების სურვილი. მისი თქმით, სახიფათო ტენდენცია იქნება, თუკი ერთი პოლიტიკური ძალა მოახდენს ხელისუფლების ყველა შტოს მონოპოლიზებას, ამის მწარე გამოცდილება საქართველოში იყო, ამიტომ ისეთი პოლიტიკოსი უნდა იყოს არჩეული საქართველოს პრეზიდენტად, რომელიც არ იქნება დავალებული „ქართული ოცნებისგან“ და დამოკიდებული არ იქნება ვინმეზე, იქნება არჩეული საერთო სახალხო არჩევნების გზით. ნინო ბურჯანაძე აცხადებს, რომ ხელისუფლების შტოებს შორის მნიშვნელოვანია ბალანსის დაცვა, პრეზიდენტს ნებისმიერ ქვეყანაში უნდა ჰქონდეს პოლიტიკოსის გამოცდილება, ბურჯანაძე აცხადებს, რომ, სამწუხაროდ, საერთაშორისო თანამეგობრობისთვის ვერ ხერხდება ობიექტური და სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდება, ქვეყნის საგარეო პოლიტიკური ინტერესები პრეზიდენტმა უნდა დაიცვას, ქვეყნის რეპუტაციის დაცვა სწორედ პროფესიონალმა პოლიტიკოსმა უნდა შეძლოს. ბურჯანაძე არ იზიარებს მოსაზრებას, რომელიც ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში იყო გავრცელებული, რომ ქვეყნის მართვა ყველას შეუძლია, მათ შორის მზარეულსაც. ქვეყანას სჭირდება გამოცდილი პოლიტიკოსი, რომელმაც იცის როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკა, რომელსაც იცნობენ და გააჩნია სერიოზული კონტაქტები. ბურჯანაძეს მიაჩნია, რომ ჩვენ გარდა არავინ დაიცავს ჩვენს სახელმწიფოებრივ ინტერესებს, მთავარია, ჩვენს ხალხს ვუთხრათ, როგორ სახელმწიფოში უნდა ვცხოვრობდეთ, დიდი ტრადიცია და კულტურა გვაქვს, ევროპა გაგებით უნდა მოეკიდეოს ჩვენს ტრადიციებს და კულტურას, ისეთი უნდა მიგვიღოს, როგორიც ვართ.

ყველა ადამიანის უფლებები უნდა იყოს დაცული, მიუხედავად მისი სარწმუნოებრივი თუ სხვა შეხედულებებისა. სამართლიანობის აღდგენას არა აქვს კავშირი რევანშთან, მაგრამ სამართლიანობის აღდგენა ნიშნავს იმას, რომ არავის არასოდეს გაუჩნდეს სურვილი, ბოროტად ისარგებლოს თავისი უფლებებით და უხეშად ჩაერიოს ადამიანების პირად ცხოვრებაში, სამართლიანობის აღდგენა დაკავშირებულია საკუთრების უფლებების აღდგენასთან, სამწუხაროდ, დღეს ამ მიმართულებით ქმედითი ნაბიჯები არ არის გადადგმული, ბიზნესი უნდა იყოს დამოუკიდებელი და შელახული უფლებები უნდა აღდგეს. მნიშვნელოვანია ის, რომ რუსეთის ბაზარზე ქართული პროდუქციის გატანა დაიწყო, მკაფიო საგარეო კურსი უნდა იყოს განსაზღვრული, ფართომასშტაბიანად უნდა მოგვარდეს საგარეო პოლიტიკური პრობლემები, დაბალანსებული პოლიტიკა რუსეთთან და ევროპასთან — ასეთია ბურჯანაძის მოსაზრება საგარეო კურსთან დაკავშირებით.

პრესკონფერენციაზე 26 მაისის დარბევის ფაქტთან დაკავშირებით დაისვა კითხვა, ასევე ჟურნალისტები დაინტერესდნენ ნაციონალების ბრალდებას ბურჯანაძის კავშირზე ე.წ. გრუსთან პრეზიდენტობის კანდიდატი რას უპასუხებდა, ბურჯანაძე აცხადებს, რომ პოლიტიკოსი, რომელიც ორჯერ იყო პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი და პარლამენტის თავმჯდომარე გრუსთან არ ამყარებს კავშირს, მას აქვს ღია ურთიერთობები ნებისმიერი ქვეყნის მაღალი რანგის ხელისუფლების პირველ პირებთან. რაც შეეხება 26 მაისის გამოძიებას, ბურჯანაძე ადასტურებს ინფორმაციას, რომ მომხდარის გამოძიება აუცილებელია და მას გააჩნია სერიოზული საფუძველი იმისა, რომ დაეხმაროს გამოძიებას ისეთი ფაქტების გამოაშკარავებაში, რომელიც ფართო საზოგადოებისთვის ჯერ კიდევ უცნობია, ეს ეხება დაღუპული პოლიციელის საქმესაც. ბურჯანაძე ამბობს, რომ პოლიციელის დედასთან მას ჰქონდა კონტაქტი და შესთავაზა დახმარება, სამწუხაროდ, ეს ქალბატონი არ აკონკრეტებს, რა სახის დახმარება შესთავაზა ბურჯანაძემ, თავად ბურჯანაძე ამბობს, რომ მას ჰქონდა სამართლებრივი დახმარების სურვილი ოჯახისთვის, რათა საბოლოოდ გარკვეულიყო და ნათელი მოჰფენოდა პოლიციელის გარდაცვალების საქმეს, ნაციონალები ბურჯანაძეში ხედავდნენ სერიოზულ საფრთხეს და ამიტომ სურდათ, ნებისმიერი მიზნით მისი, როგორც პოლიტიკოსის დისკრედიტირება.

ბურჯანაძე აცხადებს, რომ კოჰაბიტაცია ისეთ დანაშაულებრივ ორგანიზაციასთან, როგორიც ნაცმოძრაობაა, შეუძლებელია, ასევე ბურჯანაძემ ყურადღება გაამახვილა დღეს საზღვარზე არსებულ მდგომარეობაზე, მისი აზრით, ქართული ოცნება პასიურობს საგარეო ურთიერთობებში და არ ჩანს იმის მცდელობა, რომ მოხდეს რუსეთის პრეზიდენტთან შეხვედრა, რეალური გარღვევა პოზიტიური მიმართულებით არ ჩანს, რათა მოხდეს უარყოფითი დინამიკის შეჩერება მაინც საზღვართან დაკავშირებით.

ადეიშვილისა და კეზერაშვილის ჩამოყვანასა და მათ სასამართლოს წინაშე წარდგომაზე ბურჯანაძე აცხადებს, რომ ეს აუცილებელია და ესეც სამართლიანობის აღდგენის კონტექსტში ხდება და არ უნდა იყოს შეფასებული როგორც პოლიტიკური დევნა. ნაცმოძრაობას მოუწევს სასამართლოს წინაშე იმის გარკვევა, რატომ იყო დაუცველი საქართველოს საზღვრები მისი ხელისუფლებაში ყოფნის დროს და ბურჯანაძე იხსენებს მის ადრინდელ პრესკონფერენციას მამისონის საზღვრის დაცვის პრობლემასთან დაკავშირებით, მაშინ ნაცმოძრაობის ლიდერებმა ის ლამის ქვეყნის მოღალატედ გამოაცხადეს, მაგრამ დღეს გამოჩნდა, რომ საზღვარზე მართლაც არსებობს პრობლემები.




ბურჯანაძემ დაადასტურა მზაობა ოპოზიციურ სპექტრთან კონსულტაციების შესახებ, ამასთანავე ის ადასტურებს იმის სურვილს, რომ დაიწყოს კონსულტაციები საზოგადოების ფართო წარმომადგენლებთანაც, ვინაიდან მომავალი პრეზიდენტი არ უნდა იყოს ვიწრო პარტიული ან ვიწრო საზოგადოებრივი წრის ინტერესების დამცველი, არამედ უნდა იყოს ქვეყნის ინტერესების დამცველი.

სააკაშვილის პოლიტიკურ მომავალს რაც შეეხება, მის გუნდთან ერთად, ბურჯანაძე მიიჩნევს, რომ ნაციონალურ მოძრაობას არანაირი პოლიტიკური მომავალი არა აქვს, ობიქტურმა სასამართლომ უნდა განიხილოს ნაცმოძრაობის ლიდერების დანაშაულობები, პირველ რიგში უნდა იყოს გამოძიებული, რა მოხდა 2008 წლის აგვისტოს ომის დროს, მათ შორის კოდორის ჩაბარების ფაქტი, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული საკითხია.

რუსეთთან ფართომასშტაბიანი მოლაპარაკებების დაწყების თემასაც შეეხო და განაცხადა, რომ უნდა დამთავრდეს კეკლუცობა ამერიკასთან და ევროპასთან და პრობლემის მოგვარების საკითხი უშუალოდ იმ სახელმწიფოსთან უნდა დაისვას, რომელთანაც არის ეს პრობლემა, ევროპისა და აშშ-ს ოფიციალურ დოკუმენტებში იქნება დაფიქსირებული, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა ხელშეუხებელია და ეს ტერიტორიები ოკუპირებულია, მაგრამ ბურჯანაძე ფიქრობს, რომ მუდმივად ოკუპანტის ძახილი რუსეთისადმი ამ პრობლემას ვერ მოაგვარებს, ის აცხადებს, რომ მას გააჩნია იმის შესაძლებლობა და კონტაქტები, რომ დაიწყოს რუსეთთან ორმხრივი მოლაპარაკებები.

„საერთაშორისო არენაზე პირადი კონტაქტები რომ აუცილებელია, ეს სადავო თემა არ არის, მე ზუსტად ვიცი, როგორ უნდა ველაპარაკო რუსეთს, ევროპას, ამერიკას შუა აზიის სახელმწიფოებსაც, როგორ და რა უნდა ვუთხრა, იმედი მაქვს, რომ ეს შესაძლებლობა გამოყენებული იქნება ჩემ მიერ“, — აცხადებს ბურჯანაძე.

ბურჯანაძემ ზოგადად ახსენა, რომ პრეზიდენტი რომელიც დილეტანტია, მაგრამ კარგი ადამიანი, საკმარისი ფაქტორი არ არის ამ პოსტის დასაკავებლად, ჟურნალისტები დაინტერესდნენ ხომ არ გულისხმობდა ის გიორგი მარგველაშვილს, რომელთანაც მას დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებს. ნინო ბურჯანაძე მოერიდა კონკურენტების შესაძლებლობების განხილვას, თუმცა აღნიშნა, რომ მას არ უგულისხმებია კონკრეტული პერსონა, არამედ საერთოდ შეეხო ამა თუ იმ ადამიანის თვისებებს, რომ საკმარისი არ არის იყო კარგი ადამიანი, ან იყო წარმატებული ამა თუ იმ სფეროში, პირველ რიგში, საპრეზიდენტო კანდიდატი უნდა იყოს პოლიტიკოსი და დიპლომატი.

ბურჯანაძე აცხადებს, რომ საერთაშორისო არენაზე დაფიქსირებულია, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა ურღვევია, მაგრამ თავად საქართველოს ოფიციალურ ხელისუფლებას არა აქვს საშუალება, აქტიურად ჩაერთოს პროცესებში და თავად მიიღოს გადაწყვეტილებები. საქართველო მნიშვნელოვან გეოგრაფიულ ადგილზეა, მას აქვს სრული უფლება და საშუალება იყოს ეფექტური ენერგოდერეფნის აქტიური მონაწილე, ეს მნიშვნელოვანი პრობლემაა და მას განსაკუთრებული ყურადღება სჭირდება. ასევე საქართველო სამხრეთ კავკასიაში დესტაბილიზაციის ფაქტორი კი არ უნდა იყოს, არამედ ანგარიშგასაწევი სახელმწიფო, რომელსაც მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია არა მარტო ჩრდილოეთ, სამხრეთ, აღმოსავლეთ და დასავლეთ ენერგოდერეფნის საკითხში, არამედ იყოს სახელმწიფო, რომელთან თანამშრომლობა იქნება მომგებიანი ყველა სახელმწიფოსთვის. ბურჯანაძე ადასტურებს იმას, რომ საქართველოსთვის მნიშვნელოვანია დასავლეთის სახელმწიფოებთან ურთიერთობა, მაგრამ რეალისტები უნდა ვიყოთ და ოცდაათი წელი იმის ძახილი, რომ ნატოს კარი ჩვენთვის ღიაა, არავის მოუტანს საქართველოს, ნატო საქართველოს არ მიიღებს იმ პირობებში, როცა ქვეყანაში უცხო ქვეყნის ბაზებია და და არის მავთულხლართები, ნატო რუსეთს ომს არ დაუწყებს ამის გამო. საქართველოს მოსახლეობამ ეს დაინახა, ნატოს რომ რუსეთთან ომი დაეწყო, მესამე მსოფლიო ომი დაიწყებოდა და საქართველოსგან არაფერი დარჩებოდა, გარდა ბირთვული აფეთქების შემდეგ წარმოქმნილი ორმოსი. ამიტომ ბურჯანაძეს მიაჩნია, რომ საქართველოსთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია, წარმართოს დაბალანსებული პოლიტიკა როგორც დასავლეთთან, ისე აღმოსავლეთთან და ჩრდილოეთთან.

დემოკრატიული მოძრაობის თავმჯდომარე ამბობს, რომ ნაცმოძრაობა არ არის დღეს კლასიკური გაგებით ოპოზიციური ძალა, ის მართავს და აკონტროლებს უზენაეს და საკონსტიტუციო სასამართლოებს, ის არის კონტროლის პალატის, ეროვნული ბანკის მაკონტროლებელი, ის არის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ხელმძღვანელ პოსტებზე, ამიტომ ბურჯანაძე აცხადებს, რომ დღეს ქვეყანაში კლასიკური ორხელისუფლებიანობაა, სწორედ ამიტომ მან ახლახან პარლამენტის ვიცესპიკერის მანანა კობახიძის განცხადება გაიხსენა, მანანა კობახიძემ თქვა, რომ არსებული პარლამენტი რეალობას ვერ ასახავს და აუცილებელია, ქვეყანაში გაიმართოს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები. ამაში ბურჯანაძე მანანა კობახიძეს აბსოლუტურად ეთანხმება.

ნინო ბურჯანაძე ბიძინა ივანიშვილის დამსახურებებსაც შეეხო ქვეყნის წინაშე და აღნიშნა, რომ გარდა იმ დიდი ღვაწლისა, რომელიც მას გააჩნდა საქველმოქმედო საქმიანობაში, მან უდიდესი გარდატეხა მოახდინა 1 ოქტომბერს და ქვეყანას მოაცილა დანაშაულებრივი რეჟიმი, მაგრამ მან მეგობრულად ურჩია ბატონ პრემიერმინისტრს, არ გააკეთოს განცხადებები რომელიმე კანდიდატის უალტერნატივობაზე, ბურჯანაძე არ გამორიცხავს, რომ შეიძლება არჩევნების დროს მეორე ტურიც გაიმართოს, მაგრამ ის იმედიანად არის განწყობილი.

„თავად ბიძინა ივანიშვილი უალტერნატივოა, მაგრამ მისი გუნდის წევრები, რომლებსაც მე დიდ პატივს ვცემ, ბევრ საკითხში ავლენენ არაკომპეტენტურობას, მე მინდა კორექტული ვიყო, მეტი ყურადღებაა საჭირო გადაწყვეტილებების მიღების დროს, კატეგორიულად ვაცხადებ, რომ პრეზიდენტი არ უნდა იყოს ოპოზიციაში „ქართულ ოცნებასთან“ ეს იქნება ქვეყნისთვის მიუღებელი, მაგრამ პრიორიტეტები სწორად უნდა იქნეს ჩამოყალიბებული. ამაში კი დიდი როლი მომავალ პრეზიდენტს უნდა ჰქონდეს“ — აცხადებს ბურჯანაძე.

ამავე დროს ბურჯანაძე ფიქრობს, რომ კონკურენტები უნდა იყვნენ კანდიდატურები და არა რომელიმე სხვა პირების უკან მდგომი ადამიანები. თუკი ქვეყანაში ჩატარდება თავისუფალი და დემოკრატიული არჩევნები, კომპეტენტური და პროფესიონალი ადამიანი უნდა იყოს ქვეყნის სათავეში პრეზიდენტის რანგში. სამართლიანი არჩევნები არ არის მხოლოდ ის, რომ დღეს შიში აღარ არის, საარჩევნო კოდექსი უნდა იყოს სრულყოფილი და დახვეწილი, ასევე ბურჯანაძე შეეხო საარჩევნო სიებს და პარტიების დაფინანსების თემას, საქართველოს პარლამენტმა, მისი თქმით, ვერ მოიცალა ამ კანონების მისაღებად.

პრესკონფერენციაზე ერთ-ერთი აქტუალური თემა ასევე იყო სექსუმცირესობების თემა და ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობა. ბურჯანაძემ განაცხადა, რომ ბედნიერია, რადგან აქვს ახლო ურთიერთობა უწმიდეს და უნეტარეს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორესთან. მისი თქმით, საქართველოს გაუმართლა, რომ ამ კატაკლიზმების პირობებში მას ჰყავს ისეთი სულიერი მოძღვარი და სულიერი მამა, როგორიც მის უწმიდესობაა. მას მიაჩნია, რომ რაც უფრო ხელოვნურად მოხდება იმ ღირებულებისა და ფასულობების დაკნინება, რომელიც ჩვენს კულტურასს და რწმენას განსაზღვრავს, მით უფრო გამძაფრდება და გამწვავდება ეს პრობლემები საზოგადოებაში, ვინაიდან ქრისტიანობა ყველაზე შემწყნარებელი რელიგიაა, ცოდვასთან მითუმეტეს, ცოდვის პროპაგანდა — ეს არის პროვოკაცია და ამის სათავეში იდგნენ 17 მაისს ნაციონალები. არავინ უვარდება სახლებში ლგბტ პირებს, მაგრამ პროპაგანდა ცოდვის მიუღებელია და არ უნდა ვიყოთ რომის პაპზე მეტი კათოლიკეები, ანუ საფრანგეთი, სადაც ამ მხრივ მეტი ლიბერალობაა, იქაც კი საპროტესტო აქციები გაიმართა. მიუხედავად ამისა, ბურჯანაძე პირობას დებს, რომ ის იქნება ყველა ადამიანის უფლებების დამცველი, მათ შორის ლგბტ პირებისაც, თუკი მათი უფლებები შელახული იქნება კონკრეტულ შემთხვევებში.

ზურაბ ჟვანიას საბედისწერო შეცდომა — ასე შეაფასა ნინო ბურჯანაძემ პარტია გაერთიანებული დემოკრატების გაუქმება და ნაციონალურ მოძრაობაში საკუთარი გუნდით შესვლა, მისი აზრით, ეს ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი იყო ზურაბ ჟვანიას გაურკვეველ ვითარებაში გარდაცვალებისა, სწორედ ამის შემდეგ იწყება ქვეყანაში ყველა ის უბედურება, რომლის სათავეშიც იყვნენ ნაციონალები, რომ არ დაშლილიყო ეს ტრიუმვირატი და ჟვანია ყოფილიყო ცოცხალი, ბურჯანაძე თვლის, რომ ქვეყანა მრავალ უბედურებას ასცდებოდა, სწორედ პარტიის გაუქმება იყო ჟვანიასა და ბურჯანაძის დაპირისპირების მიზეზი და მათ შორის ურთიერთობა ამის შემდეგ დაიძაბა, დღეს ბურჯანაძე ამ პროცესებს სწორედ ასე იხსენებს. ბურჯანაძეს, მისივე თქმით, არ აღმოაჩნდა საკმარისი ძალა იმისათვის, რომ სააკაშვილის ქმედებებს წინ აღდგომოდა.

პრესკონფერენციის ბოლოს დემოკრატიული მოძრაობის ლიდერმა ოფიციალურად სთხოვა „რუსთავი 2“-ს, გადასცეს მის პარტიას 26 მაისის კადრები და ასევე სთხოვა მოქმედ ხელისუფლებას, რომ დროულად და ობიექტურად იქნეს გამოძიებული 26 მაისის დარბევის ყველა დეტალი, რათა საპრეზიდენტო კანდიდატის რეპუტაცია არ შეილახოს. გარდაცვლილი პოლიციელის ტრაგედიაზე კი ბურჯანაძე ამბობს, რომ პოლიციელის დედა ამბობდა, რომ მისი შვილი 00 საათსა და 15 წუთზე დაიღუპა, ბურჯანაძე მნიშვნელოვან განცხადებას აკეთებს და ამბობს, რომ სწორედ ამ დროს ბურჯანაძის ესკორტის ავტომანქანები ჯერ კიდევ არ იყვნენ დაძრული. ამგვარად შესაძლებელია, გამოძიებამ გაარკვიოს, რომ პოლიციელი, სულ სხვა დროს და სხვა ვითარებაში იქნა დაღუპული. ნინო ბურჯანაძე ვარაუდობს, რომ მაშინდელი ხელისუფლების მიერ სპეცოპერაცია ისე იყო დაგეგმილი, რომ იქ ადამიანის მსხვერპლი ყოფილიყო და აუცილებლად პოლიციელისა.

# გიორგი თავდგირიძე: „რუსეთთან მოლაპარაკება ჩაიშალა“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

მოჰყავთ უამრავი მიზეზი, რატომ ვერ გააკეთეს. როცა პოლიტიკოსი მოდის ხელისუფლებაში თუ აქტიურ პოლიტიკაში, უნდა ისაუბროს იმაზე, როგორ გააკეთებს და არა იმაზე, როგორ ვერ გააკეთა. როგორ ვერ გააკეთას გულისთვის არავინ არავის არ აირჩევდა. ისინი თავიანთი პრობლემების ახსნას უფრო მეტ დროს ახარჯავენ, ვიდრე პრობლემების მოგვარებას.

***— ახალი ხელისუფლება რომ მოვიდა, მას შეეძლო, ოკუპაციის ხაზზე განელაგებინა თავისი შეიარაღებული ნაწილები?***

— მე ერთ-ერთი ვარიანტი გითხარით, თორემ მოქმედების უამრავი ფორმატი არსებობს. დიახ, ახალ ხელისუფლებას უნდა განეცხადებინა, რომ, ჯერ ერთი, ოკუპაციის ზონაში ჩემი მოსახლეობა არის დაუცველი და ჩემი შეიარაღებული ძალები უნდა გამოვიყენო ან, დავუშვათ, გონივრულ ჩარჩოებში უნდა წავწიო წინ. ეს არის ერთ-ერთი ნაბიჯი, რომელსაც უნდა მოჰყოლოდა, ვთქვათ, დასავლელი პარტნიორების პოლიტიკური გააქტიურება, რომლებსაც არ სურთ რუსეთსა და საქართველოს შორის საბრძოლო მოქმედებების განახლება. რუსეთისთვის ეს იქნებოდა, ვთქვათ, შემაკავებელი ფაქტორი. ასევე შეიძლებოდა სხვადასხვა პრევენციული ღონისძიების გატარება. პოლიტიკოსმა თვითონ უნდა მოიფიქროს, რა ღონისძიებებს გაატარებს, რაზეც შემდეგ პასუხს აგებს. შეიძლება, მან რჩევებიც გაითვალისწინოს (ფორმატი არ მეყოფა ამაზე სასაუბროდ), მაგრამ აღნიშნული მაგალითი იმიტომ მოგიყვანეთ, რომ ეს არის აქტიური ქმედება. აქტიური ქმედება არ არის ლაპარაკი. ლაპარაკი არაფერს წყვეტს. რამდენიც არ უნდა ვესაუბროთ რუსებს, არაფერიც არ მოხდება, თუ ამ საუბრის უკან არ იქნება რაღაც ქმედების შესაძლებლობა. რატომ არ ვამბობ შეიარაღებულ ძალებს? შეიძლება, ისეთი ფორმატი მოეძებნათ და დასავლეთს ისეთი ფორმატი შეეთავაზებინა რუსეთისთვის, სადაც დაფიქსირდებოდა დროებითი გამმიჯნავი ხაზები. აქ არ არის საუბარი საზღვრის დაფიქსირებაზე. პოლიტიკოსი, რომელიც საუბრობს საზღვრის დაფიქსირებაზე, ძალიან არასერიოზულად საუბრობს, იმიტომ რომ გამმიჯნავი ხაზები არის ფრონტის ხაზი. ფრონტის ხაზი ნიშნავს იმას, რომ დროებით შეწყვეტილია საბრძოლო მოქმედებები. ფრონტის ხაზი არანაირად არ ნიშნავს იურიდიულად რაღაც საზღვრების დაკანონებას. სწორედ ესაა თავის მართლება, იმიტომ რომ რუსეთმა თავისი ინტერესებიდან გამომდინარე განახორციელა ქმედება, გადმოსწია საზღვარი, ხოლო ქართველ პოლიტიკოსებს საუბრის დონეზეც კი არ აქვთ საპასუხო ღონისძიებები მომზადებული.

***— ზაქარეიშვილი ამბობს, საზღვარი 300 მეტრით კი არა, უფრო მეტითაა გადმოტანილი, 300 მეტრი რა სასაუბროაო.***

—300 მილიმეტრითაც რომ გაფართოებულიყო ოკუპაციის ზონა, ეს რუსეთის მხრიდან ნიშნავდა ექვსთვიანი მოლაპარაკების ჩაშლას. ამას ქართველი პოლიტიკოსები ვერ ამბობენ, იმიტომ რომ, თუ ამას იტყვი, ეს იმას ნიშნავს, რუსეთი, ფაქტობრივად, საომარი მოქმედებების პროვოცირებას იწყებს. შესაბამისად, როდესაც ერთი მხარე იწყებს რაღაცის პროვოცირებას, ძალიან ძნელია, შემდგომ აუხსნა საზოგადოებას, როგორ შეიძლება მასთან დიალოგი.

***— ანუ თუ ქართული მხარე იტყვის, რუსეთი ექვსპუნქტიან შეთანხმებას არღვევს, მაშინ ეს იწვევს საომარი მოქმედებების პროვოცირებას?***

— როდესაც რუსი სამხედროები ოკუპაციის ზონას აფართოებენ, თავისთავად, ეს შეიძლება აღქმულ იქნეს, როგორც ომის აქტი და, შესაბამისად, შეიძლება მოთხოვნილ იქნეს პასუხი რუსეთის მხრიდან, როგორც საბრძოლო მოქმედებების განახლებისთვის.

# ირაკლი ღარიბაშვილი: „შს მინისტრის პოსტი იმუნიტეტი არ უნდა იყოს!“

## საქართველოში არავინ აღარ იქნება პრივილეგირებული

შორენა მარსაგიშვილი

ევროპა და ამერიკა საქართველოში სამართლიანობის აღდგენის პროცესს აშკარად ეწინააღმდეგება. ყოფილი მაღალჩინოსნების დაკავებას დასავლეთი დიდი წივილ-კივილით ხვდება. აგვისტოს ომის დროს ევროპა ასე რომ შეშფოთებულიყო, რუსეთი ამდენს ნამდვილად ვერ გაბედავდა.

კოჰაბიტაცია დაძალებულმა ხელისუფლებამ კარგა ხანს ითმინა საკუთარი მოსახლეობის პრეტენზიები. ხალხი „ქართული ოცნებისგან“ პირველ რიგში სამართლიანობის აღდგენას ითხოვს. ვანო მერაბიშვილის დაკავებამ გააჩინა განცდა, რომ ქვეყანაში სამართლიანობის აღდგენა დაიწყო.

ყოფილი მაღალჩინოსნების დაკავებაზე ხელისუფლების წარმომადგენლებს ხშირად უწევთ კითხვებზე პასუხის გაცემა. ამ კითხვებს თავი ვერც ბრიუსელში ვიზიტად მყოფმა შს მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა აარიდა. ევროპული პოლიტიკის ცენტრში გამართულ დისკუსია-შეხვედრაზე ჩვენებურმა სამართლიანობის აღდგენის აუცილებლობაზე ისაუბრა.

ევროპელებთან იმის მტკიცებამაც მოუწია რომ საქართველოში კრიმინალური ვითარება არ გამწვავებულა. ძველი ხელისუფლება კი იმის მტკიცებაშია, რომ საქართველოს ქუჩებში სიარული უკვე სახიფათო გახდა. ირაკლი ღარიბაშვილი საპირისპიროს ამტკიცებს.

— ჩვენ ბევრი სპეკულაცია მოვისმინეთ კრიმინოგენულ ვითარებაზე, დანაშაულის მატებასთან დაკავშირებით და ასე შემდეგ. ეს ყოველივე არ წარმოადგენს სიმართლეს და სპეკულაციის ნაწილია. თქვენი ინფორმაციისათვის და იმისთვის, რომ შევადაროთ სტატისტიკური მონაცემები, ავიღოთ 2006-2009 წლის შედეგები. მიმდინარე წლის პირველი ოთხი თვის მონაცემები და შევადაროთ წინა წლების იმავე პერიოდს, დანაშაულის და კრიმინალური საქმეების რაოდენობა 20-30%-ით მეტიც იყო, ახლანდელ პერიოდთან შედარებით. ეს ფაქტი არავინ იცოდა, ამაზე არ საუბრობდნენ და არ შუქდებოდა მედიით. ოქტომბრიდან დეკემბრის ჩათვლით დანაშაულმა მცირედ მოიმატა, განსაკუთრებით ქურდობებმა და მსგავსმა წვრილმანმა დანაშაულებმა. თუმცა არსებობდა ბევრი ფაქტორი და მიზეზი, რითაც შეიძლება ამის ახსნა, — აღნიშნა შს მინისტრმა.

მისი განმარტებით გასათვალისწინებელია, რომ პოლიცია და შსს უკიდურესად პოლიტიზირებული იყო საარჩევნო კამპანიის პერიოდში. მინისტრის თქმით, პოლიციის უმთავრეს საზრუნავი არჩევნები იყო.

— თითოეული პოლიციის თანამშრომელი იმაზე მუშაობდა,. თუ როგორ მოეპოვებინა ხმები. რადგან სწორედ ეს ჰქონდათ დავალებული



წინა მთავრობის და ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრისგან. მთელი შინაგან საქმეთა სამინისტრო იყო პარალიზებული და დემორალიზებული. როდესაც ახალი მთავრობა მოვიდა ქვეყნის სათავეში, პოლიციის თანამშრომლებმა არ იცოდენ რა ეკეთებინათ და არ ღებულობდნენ ინსტრუქციებს. ნოემბრიდან და დეკემბრიდან დაწყებული, ჩვენ განვახორციელეთ სისტემური ცვლილებები, რეორგანიზაცია და ახალი თანამშრომლები მივიღეთ. სწორედ ამიტომ გახდა საჭირო გარკვეული პერიოდი, რათა მუშაობა ჩვეულ რიტმს დაბრუნებოდა. ჩვენ ოთხი ახალი დეპარტამენტი ჩამოვაყალიბეთ, რასაც გარკვეული დრო დასჭირდა, დაახლოებით 3-4 თვე. სწორედ ამიტომ იანვრიდან, დანაშაულის რაოდენობამ კლება დაიწყო. მე სიამაყით შემიძლია განვაცხადო, რომ მიუხედავად უპრეცედენტო ამნისტიისა და დაახლოებით თერთმეტიათასი გათავისუფლებული პატიმრისა სიტუაცია კვლავაც კონტროლის ქვეშაა, — განუცხადა ევროპელებს ღარიბაშვილმა.

ჩვენებურმა ბრიუსელში საქართველოში მიმდინარე საზღვრის დემრაკაციის პროცესზეც ისაუბრა. მისი თქმით, დემარკაციის პროცესი ეხლაც მიმდინარეობს.

— ეს პროცესი წელიწადნახევრის წინ დაიწყო. ამასთან დაკავშირებით ჩვენ ვაცნობეთ ქვეყანაში არსებულ ყველა საელჩოს და ევროკავშირს. შინაგან საქმეთა სამინისტროში, ორშაბათს ვგეგმავთ პრეზენტაციას, რათა ვაჩვენოთ მსოფლიოს თუ კონკრეტულად რა ადგილებში მიმდინარეობს დემარკაციის პროცესი, — ამბობს მინისტრი.

სამართლიანობის აღდგენით შეშფოთებულ ევროპელებს ღარიბაშვილი იმ არქივზეც ესაუბრა, რომელიც მას შს სამინისტროში დახვდა. საუბარია სხვადასხვა პირების პირადი ცხოვრების ამსახველ ფირებზე. ამ ფირების განადგურებას მშობლიური შსს კარგა ხანია გვპირდება. არქივის განადგურებას მსტოვართუხუცესი ევროპელებსაც დაპირდა.

— როდესაც ვსაუბრობთ პირადი ინფორმაციის უსაფრთხოებაზე და იმ არქივზე რაც დაგვხვდა სამინისტროში, სამარცხვინო ფაქტია. რა თქმა უნდა მე აქ არ ვარ იმისთვის რომ ვაკრიტიკო წინა მთავრობა. თუმცა ეს არქივი წარმოადგენს თვალსაჩინო მაგალითს, იმისა თუ როგორ მუშაობდა წინა მთავრობა,რა მეთოდებს იყენებდა ხალხის წინააღმდეგ; არამხოლოდ ოპოზიციის, არამედ საკუთარი გუნდის წევრების წინააღმდეგ. ეს სამარცხვინო ფაქტია, რის გამოც ჩვენ ვგეგმავთ არქივის განადგურებას მომდევნო კვირაში. ჩვენ მოვილაპარაკეთ სახალხო დამცველის ოფისთან ერთად, რომ არქივი უნდა განადგურდეს. ჩვენ ამნისტიას ვთავაზობთ ყველას ვისაც გააჩნია ამ უკანონოდ მოპოვებული ჩანაწერების ასლები. მათ შესაძლებლობა მიეცემათ ერთი თვის განმავლობაში ჩაგვაბარონ ჩანაწერები, ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში დაისჯებიან კანონის მიხედვით. მე წარმოვადგენ იმ მთავრობას, რომელმაც ჩემი პირველი მოადგილე დააპატიმრა, იმიტომ რომ მან დაარღვია კანონი, სწორედ ასე მუშაობს ჩემი მთავრობა, — სიამაყით განაცხადა მინისტრმა.

ნაციონალები ხშირად ჩივიან, რომ სახელმწიფო სტრუქტურებიდან ძველი კადრების მასობრივ გათავისუფლებას აქვს ადგილი. ამ ჩივილებმა ევროპელების მახვილ ყურამდეც მიაღწია და ღარიბაშვილს განმარტებები მოსთხოვეს. ამანაც არ დაიზარა და შექმნილი ვითარება განუმარტა.

— მინდა იცოდეთ, რომ ყოველ წელს შს სამინისტროდან 3500-მდე თანამშრომელს ითხოვდნენ სამსახურიდან და არავის აქამდე ეს საკითხი არ განუხილავს. მათ ეს საკითხი წამოსწიეს, მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენ ვართ ახალი მთავრობა. ახლა აცხადებენ, რომ მე სამსახურიდან დავითხოვე კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლები. დიახ, მე ეს გავაკეთე! ისინი არ იყვნენ ნამდვილი პოლიციელები და არ იცავდნენ საზოგადოებრივ წესრიგს და უსაფრთხოებას. მე ისინი გავათავისუფლე იმიტომ, რომ ასრულებდნენ პოლიტიკურ დაკვეთებს. ეს იყო პოლიტიკური რეპრესიის მანქანა და სწორედ ამიტომ გავაუქმე, — ამბობს მინისტრი.

დისკუსიის დროს ის ევროპელებს უმტკიცებდა, რომ საქართველო დემოკრატიის გზას ადგას. ამის დასამტკიცებლად მან ცოტა ხნის წინ ჩატარებული გამოკითხვაც გაიხსენა. მინისტრმა ევროპელებს ისიც შეახსენა თუ რა არის საქართველოს მოსახლეობის დაკვეთა და რას ნიშნავს ხალხისთვის სამართლიანობის აღდგენა.

— ახლახანს ჩატარებული გამოკითხვის შედეგებმა აჩვენა, რომ საქართველოს მოსახლეობის 95% პროცენტს მიაჩნია, რომ ქვეყანაში სიტყვის თავისუფლებაა, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია. სწორედ ეს არის დემოკრატია რისკენაც ახალი მთავრობა ისწრაფვის. მოსახლეობის 95 პროცენტს მიაჩნია, რომ შეუძლიათ ისაუბრონ ნებისმიერ თემაზე. როდესაც კანონდარღვევისთვის დავაპატიმრე საკუთარი მოადგილე, რატომ არ შეიძლება დავაკავოთ თუნდაც ყოფილი მინისტრი ან პრემიერ-მინისტრი, თუ გაირკვევა, რომ მან კანონი დაარღვია?! ახლა მოსამართლის გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული, დააპატიმრებენ თუ არა მას. ჩვენ საქართველოს მოსახლეობამ აგვირჩია რომელიც სამართლიანობის აღდგენას მოითხოვს. 2011 წლის 26 მაისს ქუჩაში რამდენიმე ადამიანი დაიღუპა. ვინ უნდა აგოს ამაზე პასუხი?! ხალხი გვთხოვს სამართლიანობის აღდგენას. ამ გარდაცვლილი ადამიანების მშობლები, ქუჩაში არიან გამოსულები და პროკურორთან შეხვედრის მოთხოვნით პროკურატურის წინ რიგში დგანან. მათ ასევე შეხვედრა უნდათ ჩემთან და მე რა პასუხი შემიძლია მათ გავცე?! -რომ მე ვერ დავაპატიმრებ ყოფილ პრეიერმინისტრს ვანო მერაბიშვილს და ვერ აღვადგენ სამართლიანობას, იმიტომ რომ ეს ყოველივე პოლიტიკური საკითხია და სენსიტიური თემაა?! ეს სამარცხვინო ფაქტია, ჩვენ გვაქვს ქვეყანა სადაც კანონის უზენაესობას პატივს უნდა სცემდნენ. ადამიანებს აწამებდნენ ციხეებში, აუპატიურებდნენ და კლავდნენ ქუჩებში. ვინ უნდა აგოს ამ ყველაფერზე პასუხი?!.. ჩვენ გვაქვს არქივი ჩვენი პოლიტიკური ოპონენტების მიერ გადაღებული, რომელიც ათასობით უკანონო ვიდეო და აუდიო მასალას შეიცავს. ის პროცესი, რომელსაც ჩვენ ვაწარმოებთ, არის სრულიად ნორმალური, რადგან ხალხი სამართლიანობის აღდგენას მოითხოვს. ჩვენ ამას პირადი ინტერესის გამო არ ვაკეთებთ, ჩვენ ამას ვაკეთებთ, ჭეშმარიტად დემოკრატიული ქვეყნის ასაშენებლად, იმისათვის რომ ვასწავლოთ ხალხს კანონის პატივისცემა. წარმოვიდგინოთ, რომ მე ვარღვევ კანონს, დრო გაივლის და 4, 5 ან 10 წლის შემდეგ, როდესაც შესაძლოა ეს მთავრობა აღარ იყოს და ახალმა მთავრობამ აღმოაჩინოს ჩემი დანაშაული. მე მაქვს თქვენთან კითხვა, -უნდა დამკითხონ და დამაპატიმრონ, თუ არა? იმ შემთხვევაში თუ ვიღებდი ქრთამს და ვიყენებდი ვინმეს უძრავ ქონებას, მისი ნებართვის გარეშე და თუ მედება ბრალი ვინმეს მკვლელობაში, უნდა დავისაჯო თუ არა? შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტი, არ უნდა იყოს იმუნიტეტი, ყველა უნდა იყოს პასუხისმგებლობით აღსავსე და კანონზე ზევით არავინ უნდა იდგეს. სწორედ ასე გვესახება დემოკრატია. არავინ იქნება პრივილეგირებული ამ ქვეყანაში და ესაა სწორედ ის ქვეყანა, რომელსაც ჩვენ ვაშენებთ, — უთხრა ევროპელებს ირაკლი ღარიბაშვილმა.

# ვინ აგებს პასუხს წითელ წიგნში შეტანილი ტრანვერტინების განადგურების გამო

შორენა მარსაგიშვილი

ხელისუფლების ცვლილებამ ყაზბეგის ბუნებაზე აშკარად ცუდად იმოქმედა. არა, ჯერ არც თერგი გადარეულა და არც დევდორაკს წაუღია საავტომობილო გზის გარკვეული მონაკვეთი. ჯერ-ჯერობით ბუნებას ხელისუფლება ანადგურებს. თანაც ისე, რომ გოგა ხაჩიძეც კი შეშფოთდა. რომელმაც გარემოს დაცვის მინისტრობის პერიოდში ყაზბეგის დაცულ ტერიტორიაზე ჰესის ნშენებლობის ნებართვა გასცა.

მეოცნებეებმა არჩევნების წინ პირობა დადეს რომ ჰესების მშენებლობა შეჩერდებოდა. თუმცა ნაარჩევნებს პირიქით მოიქცნენ. ენერგეტიკის მინისტრი კახა კალაძე პირადად ლობირებს ამ ჰესების მშენებლობას.

გარემოს დაცვის სამინისტრომ მარტის თვეში ხდის ხეობაში ჰესის აშენებაზე უარყოფითი დასკვნა დადო. დასკვნის დადებიდან მოკლე ხანში კალაძემ საჯაროდ განაცხადა, რომ იქ ჰესი მაინც აშენდებოდა.

ადგილობრივი მოსახლეობის და გარემოს დამცველების ყურადღება ხდის ხეობისკენ იყო მიპყრობილი. ამასობაში კი კობი-გუდაურის გზის მონაკვეთზე შეიქმნა საშინელი სიტუაცია.

კობი-გუდაურის გზის მონაკვეთზე სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს. სწორედ ამ სამუშაოებს შეეწირა გზის მონაკვეთზე მდებარე ტრანვერტინების ველი. ტრანვერტინების ველის დაზიანებაზე პირველი ინფორმაცია არასამთავრობო ორგანიზაციამ „სტეფანწმინდა“ გაავრცელა. მათ მიერ გამოქვეყნებულმა ფოტომასალამ საზოგადოება შოკში ჩააგდო.

ყაზბეგში, გუდაური-კობის საავტომობილო გზაზე გვირაბის სარეაბილიტაციო სამუშაოების გამო, ტრავერტინები გაანადგურეს. მშენებლებმა ალტერნატიული გზა ტრავერტინებზე გაიყვანეს და ტექნიკა ამ გზის გავლით მოძრაობდა.

ყაზბეგის და თრუსოს ტრავერტინები შეტანილია საქართველოს წითელ წიგნში, როგორც არაორგანული ბუნების ძეგლი. ტრავერტინი ცოცხალი ორგანიზმივითაა. წარმოიქმნება თხელი ფენით გამდინარე წყლიდან კირისა და სხვა მინერალების დალექვით. ზედაპირზე იკეთებს არასწორი ფორმის მესერს, რომლის წარმოქმნასაც უამრავი წელი სჭირდება.

გარემოს დაცვის ზედამხედველობის სამსახურმა იმ სამუშაოების შესწავლა დაიწყო, რომელიც კობი-გუდაურის გზაზე მიმდინარეობს. 200 მეტრიანი გვირაბის რეაბილიტაციამ საფრთხე მჟავე წყლების მთას შეუქმნა, რომელიც საქართველოს ტურისტული მარშრუტების სიაშია. ტრავერტინების 1 სმ-ის აღდგენას 1 საუკუნე სჭირდება. მჟავე წყლების თავს 12 მეტრი უკვე ჩამოაჭრეს. კობი-გუდაურის მონაკვეთზე სამუშაოების ხელმძღვანელი ირწმუნება, რომ ტრავენტინების მოჭრა აუცილებელი იყო.

გუშინ გაირკვა, რომ ყაზბეგში, ტრავერტინებთან გვირაბის სარეაბილიტაციო სამუშაოები შეჩერებულია. ამის შესახებ მცხეთა-მთიანეთის საინფორმაციო ცენტრს გარემოს დაცვის სამინისტროს ზედამხედველობის დეპარტამენტის მთავარმა ინსპექტორმა ნელი კორკოტაძემ განუცხადა.

— ჩვენი წარმომადგენლები 29 მაისსვე ჩავიდნენ ადგილზე და რეკომენდაცია გავეცით, რომ სამუშაოები შეჩერებულიყო, სანამ გაირკვევა მისი კანონიერება. კომპანიიდან, რომელიც სამუშაოებს აწარმოებდა უკვე გამოვითხოვეთ როგორც გვირაბის, ისე გზის საპროექტო დოკუმენტაცია, გავარკვევთ რამდენად შესაბამისობაშია კანონთან. ყველა საჭირო დოუკუმენტი მოვიპოვეთ და შესწავლა მიმდინარეობს. საკმაოდ მოცულობითი დოკუმენტებია და სავარაუდოდ 2 დღე მაინც



დასჭირდება იმისათვის, რომ კვალიფიციური დასკვნა დავდოთ, — განუცხადა მცხეთა-მთიანეთის საინფორმაციო ცენტრს ნელი კორკოტაძემ.

ტრავერტინების განადგურების შესახებ განცხადება რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა დავით ნარმანიამაც გააკეთა. მისი თქმით, ყაზბეგის გზაზე მიმდინარე სამუშაოების შედეგად მიყენებული ზიანის გამოსწორებას კონტრაქტორი კომპანია საკუთარ თავზე იღებს.

— კონტრაქტორი კომპანია იღებს ვალდებულებას, რომ ზიანი გამოასწოროს, თუმცა, რამდენადაც ჩემთვის არის ცნობილი, რთული რელიეფური პირობებიდან გამომდინარე არ არსებობს სხვა მონაკვეთი, სადაც ალტერნატიული გზა გაკეთდებოდა. იქ არის გვირაბი, რომელიც წლების განმავლობაში მოუვლელი იყო, ჩადიოდა წყალი, იყენებოდა და ზამთრის პერიოდში ავტოსატრანსპორტო საშუალებების მოძრაობა შეუძლებელი იყო, — განაცხადა დავით ნარმანიამ.

ნარმანიას განმარტებით, რეგიონული განვითარების სამინისტრო გარემოს დაცვის ექსპერტების პროგნოზს დაელოდება და დარღვევების გამოვლენის შემთხვევაში სათანადო რეაგირებას მოახდენს.

გარემოს დაცვის სამინისტროს და ნარმანიას უწყების რეაგირებები საკმარისად არ მიაჩნიათ გარემოსდაცვით არასამთავრობო ორგანიზაციებს. ორგანიზაციების ქსელის წარმომადგენლის რეზო გეთიაშვილის თქმით მარტო რეაგირების იმედზე ვერ ვიქნებით.

— გარემოს დაცვის სამინისტროში აცხადებენ, რომ ტრავერტინების განადგურებაზე რეაგირება იქნება, მაგრამ არ შეიძლება ყოველთვის რეაგირების იმედზე ვიყოთ იმიტომ, რომ ამ შემთხვევაში ტრავერტინებს აღარაფერი ეშველება. გაფუჭებულ საქმეს ვეღარც გარემოს დაცვის სამინისტრო უშველის და ვერც ვერავინ, — განუცხადა მცხეთა-მთიანეთის საინფორმაციო ცენტრს რეზო გეთიაშვილმა.

მისი თქმით, რაც ტრავერტინებთან დაკავშირებით მოხდა, სამინისტროებს შორის კოორდინაციის არარსებობის ბრალია.

— საქმის გამოსწორების ნაცლად პრევენციაზე უნდა ვიფიქროთ. პრევენციაში იგულისხმება ის, რომ მშენებლობა იქნება თუ სხვა რამ, შეთანხმებული უნდა იყოს შესაბამის უწყებებთან. სამუშაოების დაწყებამდე სრული სურათი უნდა არსებობდეს, რა ზიანი შეიძლება მიადგეს გარემოს. ამ მშენებლობამ ძალიან სერიოზული ზიანი მიაყენა გარემოს და ეს უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული. ეს ყველაფერი იმის გამო ხდება, რომ უწყებებს შორის კოორდინაცია არ არის. ფინანსებს ერთი სამინისტრო გამოყოფს, ტენდერს მუნიციპალიტეტი აცხადებს, ჩართული არიან რეგიონული განვითარების სამინისტრო, საავტომობილო გზების დეპარტამენტი. ამ შემთხვევაში, კოორდინაცია უნდა ყოფილიყო გარემოს დაცვის სამინისტროსგან და გარემოს ეროვნული სააგენტოსგან, — განუცხადა მცხეთა-მთიანეთის საინფორმაციო ცენტრს რეზო გეთიაშვილმა.

მისივე თქმით, ყაზბეგში მომხდარი შემთხვევა ხელისუფლებისთვის მაგალითი უნდა გახდეს.

— გაფუჭებულ საქმეს ვერავინ ვერ გამოასწორებს, ეს უნდა იყოს კარგი მაგალითი ხელისუფლებისთვის, სამინისტროებმა უნდა იზრუნონ იმაზე, რომ უკეთესი კომუნიკაცია ჰქონდეთ და მსგავსი რამ აღარ მოხდეს. ანალოგიური შემთვევა თრუსოს ხეობის ტრავერტინებთან მიმართებაშიც იყო, უნიკალური ძეგლი მთელი კავკასიის მასშტაბით განადგურდა და ისიც იმის გამო, რომ გარკვეული სამუშაოები დაიგეგმა. განხორციელდა პროექტი, რომელიც არ იყო შეთანხმებული, — აღნიშნა რეზო გეთიაშვილმა.

# წარმოუდგენელი ფასები და საჩუქრები „სმაილის" ახალ მაღაზიაში

## „ასეთი მაღაზია მთელი ამიერკავკასიის მასშტაბით არსად მინახავს" — კოჯი ტერაჯიმა

**დღეს, 31 მაისს, თბილისში, სავაჭრო ცენტრ „თბილისი მოლის" მესამე სართულზე მაღაზიათა ქსელ „სმაილის" ყველაზე დიდი მაღაზია იხსნება. კომპანია ახალ ობიექტში მისულ მომხმარებლებს უამრავ სიურპრიზს სთავაზობს. ვინც თავის არჩევანს მაღაზიის გახსნის დღეს, 31 მაისს გააკეთებს, ის თავს განსაკუთრებულად იგრძნობს. სპეციალურ საჩუქარს მიიღებს საყოფაცხოვრებო ტექნიკის მრავალფეროვანი ასორტიმენტიდან. ყველა მომხმარებელი დასაჩუქრდება. მნიშვნელობა არ აქვს, რომელი სახეობის ტექნიკაზე გააკეთებთ არჩევანს. საჩუქრები 31 მაისს „სმაილში" ყველასათვისაა. გარდა ამისა, მომხმარებელს საოცარი ფასები ელოდება, რომელიც ივლისის შუა რიცხვებამდე გაგრძელდება.**

— „თბილისი მოლში" „სმაილის" ახალი ობიექტის გახსნის დღეს, მხოლოდ 31 მაისს თითოეულ მომხმარებელს ნებისმიერ შენაძენზე საყოფაცხოვრებო ტექნიკას გადავცემთ საჩუქრად. ასევე გახსნიდან 5 დღის განმავლობაში რამდენიმე ყველაზე გაყიდვად მოდელს უპრეცედენტო ფასად წარმოვადგენთ. მხოლოდ „თბილისი მოლის" მაღაზიაში 5 ივნისამდე გაიმართება აქცია სახელწოდებით „წარმოუდგენელი ფასები", რომლის ფარგლებშიც ელსიდი ტელევიზორები 299 ლარად გაიყიდება, გაზქურები და სარეცხი მანქანები 399 ლარად, ხოლო ორკამერიანი მაცივრები 499 ლარად. გარდა ამისა, ფასდაკლებები გავრცელდება სხვა პროდუქციაზე", — ამბობს კომპანიის კომერციული დირექტორი ტარიელ მაჭავარიანი.

მაღაზიათა ქსელი „სმაილი" ტექნიკის ქართულ ბაზარზე ლიდერობითა და ინოვაციური აქციებით გამოირჩევა. მომხმარებლისათვის კომფორტის შექმნა, საუკეთესო შეთავაზებები მაღაზიის მენეჯმენტის მთავარი ამოცანაა. ტრადიციებს „სმაილი" არც ამჯერად ღალატობს. მომხმარებელს სრულიად ახალი კონცეფციის მქონე 3 ახალ მაღაზიას სთავაზობს ჯერ თბილისში, „თბილისი მოლში" და შემდეგ რუსთავსა და ბათუმში. ახალი მაღაზიების მოცულობამ 4000 კვადრატულ მეტრს გადააჭარბა. ერთდროულად ასეთი მსხვილი სავაჭრო ობიექტების გახსნა აქამდე კავკასიაში ვერავინ შეძლო. კომპანიაში დამატებით კიდევ 50 ადამიანი დასაქმდა.




კომპანიის ინფორმაციით, ახალი ობიექტების კონცეფცია სრულიად განსხვავებული მოდელით არის შექმნილი და ახლებურია ქართულ ბაზარზე. „სმაილის" ახალი მაღაზიების ინოვაციურობა მდგომარეობს მის დიზაინში, მაღაზიაში წარმოდგენილი ტექნიკის ასორტიმენტის განლაგებაში და ინტერიერში. მოკლედ, ამ მაღაზიებში ყველაფერია შექმნილი კომფორტული შოპინგისათვის. კლიენტს საშუალება აქვს, უშუალოდ, საკუთარი ხელით შეეხოს სასურველ ტექნიკას, გასინჯოს და ისე მიიღოს გადაწყვეტილება.

— თამამად შეიძლება ითქვას, რომ ტექნიკის ბაზარზე პიონერები ვართ. ერთდროულად მსგავსი მოცულობის ობიექტი ჯერ არასდროს გახსნილა. ეს არის მარკეტის ტიპის სავაჭრო ცენტრები, რომელშიც ღია სალაროა განთავსებული. ასევე ღია დახლებზე გვაქვს წარმოდგენილი მობილური ტელეფონები, ფოტო-ვიდეოაპარატურა, კომპიუტერები და პირადი მოხმარების ტექნიკა. მნიშვნელოვანია, რომ პროდუქტი ყველასთვის ხელშესახები გახდა და ნებისმიერ მომხმარებელს შესაძლებლობა აქვს, სასურველი ტექნიკა თავად შეამოწმოს, — აცხადებს ტარიელ მაჭავარიანი.

მაღაზიათა ქსელი „სმაილი" უპრეცედენტო პირობებს სთავაზობს მათ, ვისაც სახლში ტექნიკის განახლება სურთ, მაგრამ ამ ეტაპზე დანაზოგი არ აქვთ. „მხოლოდ ივნისის თვეში მომხმარებლებს შესაძლებლობა ექნებათ, ისარგებლონ უპრეცედენტო შეთავაზებით. კერძოდ, შეიძინონ მათთვის სასურველი ნებისმიერი საოჯახო ტექნიკა 3-წლიანი უპროცენტო განვადებით. აღნიშნული აქცია ტექნიკის ბაზარზე უპრეცედენტოა და მხოლოდ „სმაილის" მაღაზიათა ქსელში იმართება. მომხმარებლებისთვის ეს მართლაც უნიკალური შესაძლებლობაა, მთელი სახლი სასურველი ტექნიკით მოაწყონ და საოცნებო კომფორტი შეიქმნან თვეში მინიმალური შენატანით", — აცხადებს ტარიელ მაჭავარიანი.

მაღაზიათა ქსელი „სმაილი" საქართველოში ისეთი ბრენდების ოფიციალური წარმომადგენელია, როგორიცაა „პანასონიკი", „სამსუნგი", „არისტონი" და „ინდეზიტი". ეს კი კომპანიის მენეჯმენტს საშუალებას აძლევს, მაღალი ხარისხის მომსახურებასთან ერთად მსოფლიო ბრენდების ოფიციალური და გარანტირებული პროდუქცია შესთავაზოს მომხმარებელს.

— მოხარული ვარ, რომ „სმაილის" ასეთი მასშტაბური მაღაზიის გახსნაზე ვიმყოფები. ამ კომპანიასთან 1996 წლიდან ვთანამშრომლობთ და ის ბევრი იაპონური ბრენდის ოფიციალური წარმომადგენელია საქართველოში. ეს კომპანია სრულად უზრუნველყოფს, რომ მომხმარებლამდე ცნობილი ბრენდების ხარისხიანი პროდუქცია მივიტანოთ. ამ ტიპის მაღაზია მთელი ამიერკავკასიის მასშტაბით არსად მინახავს და ამიტომ მოხარული ვარ, რომ ეს პირველად თბილისში მოხდა", — აცხადებს „პანასონიკის" ოფიციალური წარმომადგენელი კოჯი ტერაჯიმა.

# ჯონდი ბაღათურია: „სააკაშვილის გასამართლების გარეშე საქართველოში სამართლიანობა ვერ აღდგება"

შორენა კოწოწაშვილი

,,ქართული დასის" ლიდერი, ჯონდი ბაღათურია, დარწმუნებულია, რომ სააკაშვილი აუცილებლად წარდგება სასამართლოს წინაშე, იმის მიუხედავად, უნდა თუ არა ეს ,,ქართულ ოცნებას". ბაღათურიას თქმით, ეს გარდაუვალია. ოპოზიციური პარტიის ლიდერი ფიქრობს, რომ სააკაშვილის გასამართლების გარეშე საქართველოში სამართლიანობა ვერ აღდგება.

რა კითხვებს აჩენს ივანიშვილის ნაბიჯები რუსეთთან მიმართებით და რუსეთის, რომელი წინადადება ღირდა ქართული მხარისთვის განსახილველად, ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს ,,ქართული დასის" ლიდერ ჯონდი ბაღათურიასთან.



— ბატონო ჯონდი, ფაქტია, აგვისტოს ომის შემდგომ რუსეთის მხრიდან საზღვრების გადმოწევა ოკუპირებულ ტერიტორიებთან საკმაოდ ხშირია. რასთან გვაქვს საქმე და სწორი პოზიცია აირჩია ხელისუფლებამ რუსეთთან მიმართებით?

— საზღვრის გადმოწევა, სამწუხაროდ, პირველად არ მომხდარა. ეს ძალიან სამწუხარო და შემაშფოთებელი ფაქტია, მაგრამ, მინდა გითხრათ, რომ პირველად ატყდა ასეთი ხმაური. ეს ცუდი არ არის, მაგრამ წარსულშიც, წინა ხელისუფლების დროსაც რომ აეტეხათ ტელევიზიებს ასეთი ხმაური საზღვრის გადმოწევაზე, ცუდი არ იქნებოდა.

— მართლაც, უყურადღებოდ აქვს საზღვრები დატოვებული ივანიშვილის მთავრობას, როგორც პოლიტიკური ოპონენტები წარმოაჩენენ?

— არა. ასე ვერ შევაფასებთ, რომ საზღვრები უყურადღებოდ არის, მით უმეტეს, საზღვრის ეს პერიმეტრი არა მარტო ჩვენი სასაზღვრო ჯარებისა და შს სამინისტროს მიერ კონტროლდება, არამედ ევროკავშირის მისიაც იქ არის და აქტიურად აკონტროლებს ამ საზღვრებს. უბრალოდ, მე ვფიქრობ, ხელისუფლებამ უფრო რაციონალური და უფრო რეალისტური სამეზობლო პოლიტიკა უნდა აწარმოოს და კონკრეტულად რუსეთთან, ვიდრე აქამდე აწარმოებდა. ჩემი აზრით, ახალი მთავრობა რუსეთთან ურთიერთობაში არის ილუზიაში. რატომღაც მთავრობის წევრებს, მათ შორის, პრემიერ-მინისტრსაც წარმოუდგენია, რომ რუსეთს თუ არ ვაგინებთ, ამიტომ ურთიერთობები დათბება. რუსეთს თუ არ ვაგინებთ, ეს მართლაც კარგია, უკვე მიღწევაა, მაგრამ ამით ურთიერთობები არ დარეგულირდება, იმიტომ რომ, გარდა ემოციებისა, გარდა მართლაც ხელოვნურად დაძაბული ურთიერთობებისა, რასაც სააკაშვილის დროს ჰქონდა ადგილი და როდესაც მართლაც აგინებდა რუსეთის პრეზიდენტსა და რუსეთს, გარდა ამისა, აქვს თავისი გეოპოლიტიკური ინტერესები, ისევე, როგორც თურქეთს, აშშ-სა და ევროპას. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია ზურაბ აბაშიძისა და კარასინის, საერთოდ, რუსეთის მხარის შეხვედრები იმ თვალსაზრისით, რომ ქართველებმა გავიგოთ, რა უნდა რუსეთს და რუსებმაც გაიგონ, რა გვინდა ქართველებს. აქ, რა თქმა უნდა, ოცნებები არ იგულისხმება ანუ რუსები რაზე ოცნებობენ; არ იგულისხმება ილუზიები. რა მიაჩნია რუსეთს საქართველოსთან ურთიერთობაში რეალურად შესაძლებელ შედეგად. ამის შემდეგ, თუ ჩვენ რუსეთის გეოპოლიტიკური ინტერესების კარგ ანალიზს გავაკეთებთ, ბევრი რამ შეგვიძლია შევთავაზოთ ისეთი, რუსები კარგად თუ დაფიქრდებიან, კეთილმეზობლურ ურთიერთობას უფრო აირჩევენ, ვიდრე ასეთ პროვოკაციულ და ხანგრძლივ ვადაში უპერსპექტივო პოლიტიკას საქართველოსთან მიმართებით.

— რუსეთის ნაბიჯები იმას მიანიშნებს, რომ რუსეთს დღესაც არ უნდა საქართველოსთან კეთილმეზობლური ურთიერთობა. ასე არაა?

— ამას არ მიანიშნებს. რუსეთს რაღაც უნდა და ამ და კიდევ სხვა ნაბიჯებით ითხოვს იმას. სახელმწიფოები ასეა, დამარცვლითა და დაღეჭილად არ გადმოგცემენ აზრს იმის შესახებ, რა უნდათ. მაგრამ პოლიტიკოსები და დიპლომატები იმიტომ გვყავს, რომ ჩვენ უნდა შევეცადოთ გავიგოთ, რა უნდა რუსეთს, რამ გადაადგმევინა ეს ნაბიჯი. ჩვენ ამ საკითხებზე უნდა ვიმუშაოთ. ჩვენ რომ ახლა ტანკი გამოვიყვანოთ და ავიაცია ჰაერში ავწიოთ, ეს ხომ არასერიოზული იქნება. თუმცა, ესეც ძალიან მნიშვნელოვანია. ღმერთმა ნუ ქნას და ჩვენი არმია ამისთვისაც მზად უნდა იყოს. არმია, ჯარი და ერი იმისთვის არსებობს, რომ როცა სხვა გზა არ რჩება და აგრესორი მოდის, ქვეყნის ინტერესები უნდა დაიცვას. დღეს ამ შემთხვევას ადგილი არ გვაქვს. ახლა რუსებს რაღაცა უნდათ, რაღაცას ითხოვენ. როგორც ჩანს, ურთიერთობები გართულდა. ამას სჭირდება კარგი გაანალიზება, შესწავლა და რეალისტური, რაციონალური მიდგომა. მთავარია, საქართველოს ხელისუფლებას ნაკლები ილუზიები და ნაკლები ოცნებები ჰქონდეს რუსეთთან.

— საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ რუსეთის ხელისუფლებისადმი გაგზავნილი ნოტა საკმარისია ამ ეტაპზე?

— არა, საკმარისი არ არის, თუმცა საგარეო საქმეთა სამინისტროს ეს ნოტა უნდა გაეგზავნა. მაგრამ, მე მაინც მიმაჩნია, რომ საგარეო საქმეთა სამინისტროს დონეზე რუსეთთან ურთიერთობები და თუნდაც ეს – საზღვრის პერიმეტრის საკითხი – არ გადაწყდება. საკითხი უნდა გადაწყდეს ცოტა უფრო მაღალ დონეზე. ძალიან სწორად არის შერჩეული ზურაბ აბაშიძე. აბაშიძეს რუსეთში იცნობენ და იცნობენ, როგორც სანდო და კვალიფიციურ ადამიანს. ივანიშვილის ეს არჩევანი მომწონს. ძალიან კარგია, რომ ზურაბ აბაშიძე მუშაობს, რუსებიც და ჩვენც ერთგვარად ერთმანეთს ვზვერავთ ამ შეხვედრებით. აქ იგულისხმება ის, რომ ვათვალიერებთ იმ სიტუაციას, სად შეიძლება გამოიძებნოს ინტერესთა თანხვედრა და რა შეიძლება იყოს მოლაპარაკების ქვაკუთხედი. მაგრამ ხელისუფლების ასეთი პოზა, რომ ესენი შეხვდებიან და ილაპარაკებენ და მე აქ დაველოდები, ჩემი აზრით, არ არის სწორი. რუსები ითხოვენ რეალისტურ, რაციონალურ მიდგომებს. მათ შეიძლება აქვთ სენტიმენტები ქართველებთან მიმართებით და ეს შეიძლება არის დადებითი, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, იმით, რომ დღეს რუსებს არ ვაგინებთ, ეს პრობლემა არ მოგვარდება. რუსეთმა და საქართველომ ერთმანეთს ისეთი რამ უნდა შესთავაზონ, რაც ორივე მხარისთვის მისაღები იქნება. შეიძლება, ამ შეთავაზებებით არც ერთი მხარე არ დავრჩეთ ბედნიერი, მაგრამ ეს იქნება ამ ეტაპზე ნორმალური ურთიერთობის საფუძველი. ჩვენი პროგრამა მინიმუმი ამ ეტაპზე არის – რუსეთის საოკუპაციო ჯარებმა დატოვონ ჩვენი ტერიტორია.

— თუმცა, რუსეთის ინტერესებშია, აგვისტოს ომით წაღებული ქართული ტერიტორია გაიფორმოს.

— არ არის ეს რუსეთის ინტერესებში. რუსები ვინმეზე ნაკლები ჭკუის ნუ გგონიათ. რუსებმა ეს ნაბიჯი, გნებავთ, აგვისტოს საომარი მოქმედებები და, გნებავთ, 90-იან წლებში განხორციელებული საომარი მოქმედებები დაიწყეს იმისათვის, რომ სჭირდებოდათ გავლენის აღდგენა მთელ საქართველოზე. რუსეთის მხრიდან ეს ნაბიჯი გადადგმული იყო, ჯერ ერთი, სადამსჯელოდ, მეორე მხრივ, სავაჭროდ. მათ საქართველოსთან ურთიერთობა ურჩევნიათ პატარა სამაჩაბლოსთან და აფხაზეთთან ურთიერთობას, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ჩიხია და სხვა არაფერი მათთვის. ეს რუსეთისთვის ახალი თავსატკივარია. ორივე ოკუპირებულ ტერიტორიაზე არის კრიმინალური ანკლავი, ყვავის ნარკობიზნესი, იარაღით ვაჭრობა. არის ადამიანების გატაცებები, ტრეფიკინგი და ყველა უბედურება, რაც კი შეიძლება იყოს, მათ შორის, ამ დაუცველი საზღვრებიდან მათთან გადადის კონტრაბანდა, ხდება ტერაქტები და ა.შ. ამიტომ, ვფიქრობ, სულაც არ არის რუსეთის დაინტერესება, რომ ეს ტერიტორიები გაიფორმოს, როგორც თავისი ტერიტორია. რუსეთმა ეს ნაბიჯი იმიტომ გადადგა, რომ მთლიანად საქართველო არ დაეკარგა, უფრო ზუსტად რომ ვთქვა, ეს ნაბიჯები გადადგა იმისთვის, რომ, მათი გაგებით, ამ ტერიტორიაზე ჰაერივით სჭირდებოდა სამხედრო შენაერთები. მახსოვს, 2004 წელს რუსეთს ჰქონდა, ჩემი აზრით, რამდენიმე ძალიან საინტერესო შემოთავაზება, რომელზეც სააკაშვილი შეჰპირდა მოლაპარაკებას პუტინს და მერე რუსეთის პრეზიდენტი გადააგდო. რუსები ითხოვდნენ ორმხრივი ხელშეკრულების გაფორმებას 25 ან 50 წლის ვადით. ამ ხელშეკრულების საფუძველზე დატოვებდნენ რუსეთის ჯარები საქართველოს ტერიტორიას, მაგრამ სანაცვლოდ ისინი ითხოვდნენ, რომ ამ 25 წლის განმავლობაში არც ერთი სხვა სახელმწიფოს ბაზა არ განთავსებულიყო საქართველოს ტერიტორიაზე. მინდა გითხრათ, რომ ეს წინადადება დაფიქრებად ღირდა. ეს არ იყო საქართველოსთვის ნატოსკენ სვლის აკრძალვა, თუმცა იყო საქართველოს მანევრის ერთგვარი შეზღუდვა. საქართველოს ეკრძალებოდა სხვა ქვეყნის ჯარის აქ შემოყვანა. გარდა ამისა, რუსეთის მხრიდან იყო კიდევ რამდენიმე წინადადება, რომელიც შეიძლებოდა ყოფილიყო განხილვის საგანი. ახლა ამ პირველ წინადადებას, რომელიც მე გითხარით, ჰქონდა, გარდა უარყოფითისა, ის დადებითი მნიშვნელობა, რომ ეს ხელშეკრულება იყო საერთაშორისო და ვრცელდებოდა ყველაზე და მათ შორის შეეხებოდა თურქეთსაც, რომელიც ახლა ძალიან გადიდგულებულია საქართველოსთან ურთიერთობაში. ამ ხელშეკრულებას მეზობელ თურქეთთან ერთგვარი შემაკავებელი ეფექტი ექნებოდა. მე ამ წუთში არ ვამბობ იმას, რომ ამ ფორმით ღირდა ამ ხელშეკრულების ხელმოწერა, მაგრამ, ვფიქრობ, საკითხის განხილვა ღირდა, ყოველ შემთხვევაში, სააკაშვილის საქციელი იყო სრულიად სამარცხვინო. დაუფიქრებლად დაჰპირდა რუსეთის პრეზიდენტს და მერე გადააგდო. ამან, რა თქმა უნდა, რუსეთთან ურთიერთობა გააფუჭა და საქართველოს ლიდერმა ნდობა დაკარგა. ამის შემდეგ გადავედით ლანძღვის კალაპოტში, გვესმოდა დაპირებები სხეულის ნაწილების მოჭრის და გაგზავნის და ა.შ. შესაბამისად, ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა ძალიან გაფუჭდა. ახლა ასეთი მდგომარეობა რომ არ არის, რაც მისასალმებელია, მაგრამ მაინც, მიუხედავად ამისა, ილუზიებში არ უნდა ვიყოთ. ვატყობ, რომ მაინცდამაინც რეალისტური შეხედულება რუსეთთან ურთიერთობების აღდგენისა ივანიშვილს არ აქვს. ამიტომ მე ვისურვებდი, რომ ცოტა უფრო პრაქტიკული და რაციონალური მიდგომა ჰქონდეს ხელისუფლებას ამ საკითხთან დაკავშირებით.

— დაბოლოს, ბატონო ჯონდი, ყოფილი პრემიერის ვანო მერაბიშვილის დაპატიმრება ნაციონალებმა უკრაინის ყოფილი პრემიერის, ტიმოშენკოს დაპატიმრების ფაქტს შეადარეს. ეს მსგავსება აშკარაა?

— ამ შედარებას არ დავეთანხმებოდი. ვანო მერაბიშვილი, ზურაბ ადეიშვილი, მიშა სააკაშვილი არიან იმ კრიმინალური ბანდის მეთაურები, რომელიც 9 წელი ძარცვავდა ქვეყანასა და ხალხს, უკანონოდ აპატიმრებდა ადამიანებს, პოლიტიკურ ოპონენტებს, დაკავებული იყო პოლიტიკური ოპონენტების გატაცებით და მათი ოჯახის წევრების შანტაჟით. მსოფლიომ გაიგო, რომ აქ ადგილი ჰქონდა ხელისუფლების მხრიდან პატიმრების წამებას, გაუპატიურებებსა და მკვლელობებს. ამიტომ, ამ ბანდის მეთაურები რომ უნდა გასამართლდნენ, თავისთავად ცხადია. მე მაქვს უკმარისობის გრძნობა და დაფიქრებული ვარ ერთ საკითხზე: 26 მაისამდე, სადაც ძალიან მძიმე დანაშაული ჩაიდინა ვანო მერაბიშვილმა, იყო 7 ნოემბერი. 7 ნოემბრის მასშტაბი და ამ დანაშაულის სიმძიმე იყო გაცილებით უფრო მეტი, იმიტომ რომ 7 ნოემბერს მერაბიშვილმა დაარბია არა 500, არამედ 100 ათასი კაცი. მერაბიშვილი ხელმძღვანელობდა სწორედ მომწამვლელი გაზის გაშვებას. ამ განსაკუთრებული სისასტიკით დარბეულ აქციაზე, სამწუხაროდ, დღეს პროკურატურიდან არაფერი იმის. ამან რაღაც მაფიქრებინა. ცოტა გასაკვირია, რატომ დაიწყეს 26 მაისით. შეიძლებოდა, მერაბიშვილს ბრალი ერთდროულად წარდგენოდა 26 მაისსა და 7 ნოემბერზე. თუ 7 ნოემბერზე მას ბრალი არ წარედგინება, ეს ნიშნავს, რომ ბრალის წაყენება შერჩევით მიდის. მერაბიშვილზე 26 მაისის, გირგვლიანის მკვლელობის, 7 ნოემბრის გარდა, კიდევ სხვა მკვლელობებიც არის. ის ყველა დანაშაულის გამო უნდა გასამართლდეს!

# მთავრობისთვის თამბაქოს აკრძალვა დიცსა და დვანზე პრიორიტეტულია

ნათია ხურცილავა

**სოფელ დიცსა და დვანში განვითარებული მოვლენების მიუხედავად, 22-25 კილომეტრით კიდევ გადმოიწია საოკუპაციო ზოლმა, მიუხედავად იმისა, რომ ქართველი ბიჭი ოკუპანტებს ჰყავთ გატაცებული, ასევე ოთხი ქართველის სახლი საოკუპაციო ზოლს მიღმა დარჩა, მინისტრთა კაბინეტმა რაოდენ უცნაურიც უნდა იყოს, მთავრობის სხდომაზე თამბაქოს აკრძალვის განხილვისთვისაც მოიცალა. 20 განსახილველ საკითხთა შორის ერთ-ერთი სწორედ აღნიშნული საკითხი იყო.**

როგორც პაატა ზაქარეიშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, შიდა ქართლში ე.წ. გამყოფი ხაზის გავლების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის მდგომარეობას სამუშაო ჯგუფი შეისწავლის.

უკვე ცნობილია, რომ ჯგუფი რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის, სოფლის მეურნეობისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროების წარმომადგენლებისგან დაკომპლექტდა.

მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა პაატა ზაქარეიშვილმა განაცხადა, სამუშაო ჯგუფი 2-3 დღეში ჩავა ადგილზე და იმ ადამიანების საჭიროებებს შეისწავლის, ვისაც ამ ხაზის გავლება შეეხო.

მისივე განმარტებით, მთავრობა შეეცდება მათ ხელი შეუწყოს, რათა არავითარ შემთხვევაში არ დატოვონ სოფლები.

ზაქარეიშვილის თქმით, 60-დან 80 ოჯახამდეა, ვინც გამყოფი ხაზის გავლების შედეგად დაზარალდა.

– ეს არის რუსეთის ფედერაციის მხრიდან უტიფარი ქცევა და ეს არის პასუხი და მკაფიო რეაქცია იმ მშვიდ პოლიტიკაზე, რასაც ჩვენ ვახორციელებთ. დაუშვებელია, ჩავერთოთ რაიმე პროვოკაციასა და დიალოგში იმის თაობაზე, თუ სად გადის საზღვარი, რადგან აქ არანაირი საზღვარი არ არის. – განაცხადა ზაქარეიშვილმა.

ზაქარეიშვილის განცხადებით, ცინიზმით არის გაჯერებული ის პროპაგანდა, თითქოს ახლა საშინელება ხდება, ვინაიდან ეს არის 2008 წელს დაწყებული ტრაგედიის გაგრძელება. რაც შეეხება გატაცებულ ახალგაზრდას, რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აზრით, როსტომ სოსიაშვილს მალე გაათავისუფლებენ.

– სოსიაშვილის ბედი უნდა გადაწყდეს საკმაოდ მალე, დაახლოებით იმავე პერიოდში, რაც სხვა უკანონოდ დაკავებულთა შემთხვევაში. – განაცხადა ზაქარეიშვილმა.

განათლებისა და მეცნიერების მინისტრი, ვიცე-პრემიერი გიორგი მარგველაშვილი ჯერჯერობით არ აკონკრეტებს, თუ რას უკავშირებს დიცისა და დვანში განვითარებულ მოვლენებს.

– საქართველოს მუშაობს ჩვენი დიპლომატიური კორპუსის რესურსებით. ჩვენ ვაკეთებთ მაქსიმუმს, რაც ჩვენს შესაძლებლობებშია, რათა მოვახდინოთ სიტუაციის სტაბილიზაცია. ასევე მაქსიმალურად ვმუშაობთ საერთაშორისო თანამეგობრობასთან. თუ რას ვუკავშირებთ მომხდარს, მყისიერი შეფასებისგან თავს შევიკავებ. – აღნიშნა მარგველაშვილმა.

კიდევ ერთი საკითხი, რაზეც ჟურნალისტების კითხვის საპასუხოდ გიორგი მარგველაშვილმა განცხადება გააკეთა, სტუდენტთა დასაქმების პროგრამას შეეხებოდა. სტუდენტთა დასაქმების პროგრამას პოლიტიკური სარჩული ჰქონდა და მთავრობა აღარ აპირებს, პოლიტიკა დააფინანსოს. – ასეთი



კომენტარი გააკეთა განათლების მინისტრმა.

– სტუდენტთა დასაქმების პროგრამა ერთჯერადი იყო, რომელიც 2012 წელს განხორციელდა. ჩემი ინტერპრეტაციით, ამ პროგრამას პოლიტიკური სარჩული ჰქონდა. ის არ იყო იმ მიზნებისკენ, რაც მასში იყო ჩადებული. ქართული მთავრობა არ აპირებს, დააფინანსოს პოლიტიკა სხვადასხვა დარგების სანაცვლოდ. ის ფული, რომელიც ამ პროგრამაში იყო ჩადებული, მასწავლებლებისთვის ხელფასების მომატებასა და სტუდენტებისთვის დაფინანსების გაორმაგებას მოხმარდა. – განაცხადა მარგველაშვილმა და დასძინა, რომ ის შეხვდება სტუდენტებს და ამ მიზეზებს პირადად აუხსნის.

რაც შეეხება პრეზიდენტის ვეტოს, გიორგი მარგველაშვილის განცხადებით, „საქართველოს პრეზიდენტის ვეტოებს ზუსტად ერთკვირიანი სიცოცხლე აქვს".

– დანარჩენ უმაღლეს სასწავლებლებს რატომ არავინ ჰკითხა? რატომ არავინ ჰკითხა დანარჩენებს, რომლებიც საკითხს მენეჯერული და არა პოლიტიკური კუთხით უყურებენ? ამ ცვლილებების შედეგად ყველა საკითხი ბევრად უფრო იოლად გვარდება, რადგან რეგენტთა საბჭო აღარ იმუშავებს და ეს ყველაფერი ბევრად უფრო ბუნებრივად და ყოველდღიურ რეჟიმში იმუშავებს. ამ ვეტოებს, ამ პოლიტიკურ ინსინუაციებს ზუსტად ერთკვირიანი სიცოცხლე აქვთ, რომელიც ეტყობა აწყობს პრეზიდენტს, რადგან ცოცხალი ჩანს ერთი კვირის განმავლობაში მაინც. – განაცხადა მარგველაშვილმა.

დიცსა და დვანშიო განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით ჟურნალისტებმა კომენტარი პრემიერის სპეციალურ წარმომადგენელს ზურაბ აბაშიძესაც სთხოვეს. პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენელის რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში ზურაბ აბაშიძის განცხადებით, „ჩვენ პრინციპულად არ უნდა დავუშვათ უსაფრთხოების საკითხების ჟენევიდან ორმხრივ ფორმატში გადმოტანა".

– განიხილავენ თუ არა მისი და კარასინის მორიგ შეხვედრაზე საოკუპაციო ხაზის გადმოწევის საკითხს?

ამ კითხვას აბაშიძე ასე პასუხობს:

– იმას, რაც საოკუპაციო ზოლზე ხდება, რა თქმა უნდა, გვერდს ვერანაირად ავუვლით. ამ საკითხს შევეხებით, მაგრამ ამ ფორმატში საგნობრივი განხილვა ვერ მოხდება, რადგან იქ სხვა თემები განიხილება. ამგვარი თემები კი ჟენევის ფორმატს ეკუთვნის. შექმნილი ვითარების განხილვა მთელი სიმწვავით ჟენევაში უნდა მოხდეს. ჩვენი პოზიცია საერთაშორისო ორგანიზაციებში მაქსიმალურად უნდა დავაფიქსიროთ. კარასინთან შეხვედრაზე იმ საკითხებს განვიხილავთ, რასაც აქამდე განვიხილავდით და დიალოგის დაწყებიდან დღემდე პერიოდს შევაჯამებთ. ითქვა, რომ რა დროს ექსპორტზე საუბარია, ღვინოს ჩვენ იქ საჩუქრად არ ვაგზავნით და საქეიფოდ არ მივყვებით. ეს არის ექსპორტი, რაც გააძლიერებს ჩვენს კომპანიებს, ეკონომიკას. ჩვენ ვართ მსოფლიოს სავაჭრო ორგანიზაციის წევრები და გვაქვს საერთაშიროსო ვალდებულებები, რათა პოლიტიკა და ეკონომიკა არ ავურიოთ. რუსეთს ვაკრიტიკებდით ამისთვის, რომ პოლიტიკასა და ეკონომიკას ერთმანეთში ურევს. – განაცხადა ზურაბ აბაშიძემ.

აბაშიძე აღნიშნავს, რომ საოკუპაციო ხაზის გადმოწევასთან დაკავშირებით ადეკვატურ პოზიციას მთელი სიმწვავით გამოხატავს, თუმცა საგნობრივად ამის განხილვა ვერ მოხდება, რადგან რუსეთიდან იქნება პასუხი, რომ ამისთვის ჟენევის ფორმატი არსებობს.

– ჩვენი პოზიციაც ასეთია, რომ ჩვენ პრინციპულად არ უნდა დავუშვათ, რომ ეს თემები ჟენევიდან ორმხრივ ფორმატში გადმოვიტანოთ. ამით ჩვენ დავზიანდებით. – განაცხადა აბაშიძემ.

გუშინ ჟურნალისტების კითხვებს უპასუხა სასჯელაღსრულების მინისტრმა. სოზარ სუბარის განცხადებით, ადმინისტრაცია წყვეტს, თუ ვინ სად მოიხდის სასჯელს.

– ადმინისტრაცია წყვეტდა ყოველთვის, ვინ სად მოიხდიდა სასჯელს და აწიც ასე იქნება. არავის არაფერი ემუქრება და ასეთი მოთხოვნებით გადაყვანა-გადმოყვანას ვერ დავიწყებთ. – განაცხადა სუბარმა.

სოზარ სუბარმა განმარტება გააკეთა ბაჩო ახალიას მეთოდებით ციხის მართვასთან დაკავშირებით. ის ამბობს, რომ მისი განცხადების არასაწორი გაგება მოხდა.

– ეს აბსოლუტურად არასწორად გაგებული ამბავია. 3 ათასი პატიმარი სეირნობს ერთად ეზოში. მთელი ამ წლების განმავლობაში ყოფილი ხელისუფლება არაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ ეს ინფრასტრუქტურა მოეწესრიგებინა. ასეთი ციხეები აღარ უნდა არსებობდეს. უნდა არსებობდეს საკნის ტიპის შედარებით პატარა ციხეები. ეს საერთაშორისო ორგანიზაციებსაც არაერთხელ უთქვამს. როცა 3000 კაცი ერთ ეზოში სეირნობს და ერთ სივრცეში 500 კაცს სძინავს, იქ ნორმალური მართვა ძალიან ძნელია. იმისთვის, რომ ევროპული დონის მართვა იყოს, საჭიროა ევროპული დონის ციხეებზე გადავიდეთ და არა საბჭოთა ტიპის ბარაკებზე. – განაცხადა სუბარმა.

პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეო არქივის განადგურების შესახებ ირაკლი ღარიბაშვილის მიერ ბრიუსელში გაკეთებულ განცხადებაზე კომენტარი სასჯელაღსრულების მინისტრმა გააკეთა. სოზარ სუბარის განცხადებით, პირადი ცხოვრების არქივის სისტემის შემქნელ მერაბიშვილს, საააკაშვილს და ადეიშვილს ამნისტია არ შეეხებათ.

ასე გამოხმაურა სუბარი შს მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის იმ განცხადებას, რომლის თანახმად, იმ ადამიანებს, ვინც უკანონო მოსმენების შედეგად გარკვეულ არქივს ფლობენ, სამართალდამცველი ორგანოებისთვის მისი ერთი თვის ვადაში გადაცემის შემთხვევაში, გარკვეული ამნისტია შეეხებათ.

– მერაბიშვილს, ადეიშვილს და პირველ რიგში სააკაშვილს, ვინც ეს სისტემა შექმნა, ამნისტია არ შეეხებათ. ამ ქვეყანაში ათობით და ათიათასობით ადამიანი იყო რეჟიმის მსხვერპლი და ბუნებრივია, რომ მათ მიმართ გარკვეული ტიპის ამნისტია უნდა განხორციელდეს. – განაცხადა სუბარმა.

სოზარ სუბარი ეთანხმება შს მინისტრის განცხადებას და ცალსახად აღნიშნავს, რომ არქივები უნდა განადგურდეს.

– ასეთი ტიპის მასალების შეგროვება წლების განმავლობაში ხდებოდა. წლების განმავლობაში თითოეული მოქალაქე ტელეფონს ტოვებდა და სალაპარაკოდ მეორე ოთახში გადიოდა. ეს არის ანომალია და აღარ უნდა განმეორდეს. ამ საკითხზე გამოძიება იმედია, ყველაფერს დაადგენს და იმედია პასუხსაც აგებენ. არქივები უნდა განადგურდეს და განადგურდება კიდეც. – აღნიშნა სუბარმა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, განსახილველ საკითხთა შორის თამბაქოს კონტროლის სტარტეგიაც იყო.

დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის დირექტორის, ამირან გამყრელიძის განაცხადებით თამბაქოს ფასი 4-5 წელის განმავლობაში თანდათანობით გაიზრდება.

თამბაქოს კონტროლის სტრატეგიის განხილვა მთავრობის სხდომაზე მოხდა.

სხდომის დასრულების შემდეგ კი თამბაქოს კონტროლის ღონისძიებებთან დაკავშირებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის შეხვედრა გაიმართა.

– 1988 წლიდან 31 მაისს მთელს მსოფლიოში აღინიშნება, როგორც თამბაქოსგან თავისუფალი დღე. ჩვენ ვაპირებთ თამბაქოს კონტროლის გაძლიერებას ორი მიმართულებით – საინფორმაციო-საგანმანათლებლო და ამკრძალავი. საინფორმაციო კამპანია ითვალისწინებს მეტი კულტურის შეტანას იმ თვალსაზრისით, რომ შედგეს საზოგადოებრივი კონსენსუსი იმის თაობაზე, რომ თამბაქო ჯანმრთელობისთვის მავნე გახლავთ. ამასთან, უნდა დავეხმაროთ თამბაქოზე დამოკიდებულ ადამიანებს, რომ მათ თამბაქოს მიტოვება შეძლონ. რაც შეეხება ამკრძალავ ღონისძიებებს, საჯარო დაწესებულებებში მოხდება სრული აკრძალვა. ასევე თანდათანობით თამბაქოს აქციზის ზრდა. ეს გახლავთ ერთ-ერთ ყველაზე აპრობირებული მეთოდი თამბაქოზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვისთვის. ამავე დროს გათვალისწინებულია გარკვეული რეგულაციების შემოტანა ლიცენზიების მიმართულებით. გეგმაში, რომელსაც სამთავრობო კომისია განიხილავს, აქციზის ფასის არა მყისიერი, არამედ თანდათანობით 4-5 წლის განმავლობაში ზრდაა დაგეგმილი. – განაცხადა ამირან გამყრელიძემ.

მინისტრთა კაბინეტმა შესაბამისად თამბაქოს კონტროლის სახელმწიფო სტრატეგიის დამტკიცებაზე იმსჯელა. როგორც ჯანდაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ ჟურნალისტებს მთავრობის სხდომის დაწყებამდე განაცხადა, სტრატეგიის ძირითადი ნაწილის დამტკიცება იგეგმება. მინისტრის განცხადებით, სტრატეგია ითვალისწინებს თამბაქოზე მიღწევადობის შემცირებას ძირითადად მოწყვლადი ჯგუფებისთვის.

– კონცეფცია მოიცავს, როგორც ფინანსურ, ისე ეკონომიკურ საკითხებს. სტრატეგია ითვალისწინებს, რომ სკოლებთან ახლოს არ უნდა გაიყიდოს თამბაქო და მწეველებმა არამწველებს პრობლემები არ უნდა შეუქმნან. – განაცხადა სერგეენკომ.

# რუსეთის ქმედებებმა რიჩარდ ნორლანდი შეაშფოთა

ნათია ხურცილავა

საოკუპაციო ჯარების მიერ გამყოფი ხაზების გავლების თემა იყო ერთ-ერთი მთავარი საკითხი საგარეო უწყებისა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან გუშინ საგრეო საქმეთა სამინისტროში გამართულ შეხვედრაზე.

– გვაქვს ინფორმაცია, რომ საქმე ეხება 22-25 კილომეტრს. სხვადასხვა მონაკვეთებში სხვადასხვა სიდიდით არიან შემოჭრილი რუსი ჯარისკაცები. ასევე ჩვენი ინფორმაციით, დაახლოებით 40-მდე ოჯახია დაზარალებული. – განაცხადა ფანჯიკიძემ.

როგორც ფანჯიკიძემ ჟურნალისტებს შეხვედრის დაწყებამდე განუცხადა, საუბარი ძირითადად სამი თემის ირგვლივ იქნება.

– პირველი ორი არის ძალიან სერიოზული საკითხი, მესამე – ძალიან სასიამოვნო. პირველი შეეხება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების ირგვლივ განვითარებულ მოვლენებს და გამ-



ყოფი ხაზის გასწვრივ რუსული მხარის მიერ განხორციელებულ ახალ აქტივობებს. მეორე საკითხია გაეროში წარსადგენი რეზოლუცია და ამ რეზოლუციაზე მხარდაჭერის მოპოვების თხოვნა. მესამე სასიამოვნო საკითხი არის ის, რომ ხვალ საგარეო საქმეთა სამინისტროში და 10 საელჩო მოეწყობა ღია კარის დღე და მინდა, მადლობა გადავუხადო მათ, რომ დასთანხმდნენ ამ შემოთავაზებას. – განაცხადა ფანჯიკიძემ.

ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის რიჩარდ ნორლანდის განცხადებით, საგარეო საქმეთა მინისტრმა რუსეთის ქმედებების გამო იმედგაცრუება გამოხატა. ელჩმა ნორლანდმა ჟურნალისტებთან ეს განცხადება საგარეო საქმეთა მინისტრთან დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლების შეხვედრის შემდეგ გააკეთა.

– საგარეო საქმეთა მინისტრმა ცხადად გამოხატა იმედგაცრუება იმის გამო, რომ მიუხედავად ხელისუფლების მცდელობებისა, ბოლო პერიოდში, რომ განავითაროს რუსეთთან ურთიერთობები, მეორე მხრიდან გადაიდგა ნაბიჯები, რომლებიც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფას აგრძელებს. აშშ-ის პოზიცია ამასთან დაკავშირებით ცნობილია. ჩვენ მხარს ვუჭერთ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და სუვერენიტეტს. – განაცხადა რიჩარდ ნორლანდმა.

ელჩის თქმით, ბოლო პერიოდში შიდა ქართლში შექმნილი ვითარება განხილული იქნება ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ფარგლებში დაგეგმილ შეხვედრაზე და ასევე ჟენევის მოლაპარაკებების ფორმატში, თავის ბოლოს.

ევროკავშირი მოითხოვს, ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ფარგლებში შეხვედრები აფხაზეთშიც განახლდეს.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ ევროკავშირი შეშფოთებულია იმ ფაქტით, რომ გარდა იმისა, რომ ევროსაბჭოს წარმომადგენლები ვერ ახერხებენ შესვლას სამხრეთ ოსეთში დე-ფაქტო ხელისუფლების ნებართვის არარსებობის გამო, მას არ დართეს ნება აფხაზეთის ტერიტორიაზე შესასვლელადაც, ამ ანგარიშის მომზადებისთვის.

ევროკავშირი ასევე მოითხოვს, 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ დადებული შეთანხმებისა და 8 სექტემბრის ექვსპუნქტიანი შეთანხმების საიმპლემენტაციო ზომების სრულად შესრულებას, მათ შორის, ევროკავშირის მონიტორინგის მისიის დაშვების უზრუნველყოფას კონფლიქტურ რეგიონებში.

# ადვოკატებმა პარლამენტთან აქცია გამართეს

შორენა გონგლაძე

**ადვოკატთა ასოციაციამ სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილი ცვლილებები ქუთაისში, პარლამენტის წინ გააპროტესტა. უფლებადამცველებმა გამართულ აქციაზე სიმბოლურად ხელბორკილები დაიდეს. ისინი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-111 მუხლში ცვლილებებს აპროტესტებენ. პროტესტის ნიშნად ადვოკატები ერთმანეთს ხელბორკილებით გადაებნენ.**

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-111 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ადვოკატს მტკიცებულებების ამოღებისა და ჩხრეკის უფლება არ აქვს. გარდა ამისა, ადვოკატს აღარ ექნება საჯარო დაწესებულებიდან ინფორმაციის გამოთხოვის უფლება.

როგორც ადვოკატები აცხადებენ, ცვლილებების მიღების შემთხვევაში, ადვოკატებს უფლებები ეზღუდებათ და ბრალდების მხარესთან არათანაბარ პირობებში აყენებს, რაც წინააღმდეგობაში მოდის სამართლიანი სასამართლოს პრინციპებთან და ევროპის კონვენციასთან.

ადვოკატების განცხადებით, საქართველოს პარლამენტმა ადვოკატების წინააღმდეგ მიიღო ისეთი აქტი, რომელმაც ადვოკატებს ბორკილები დაადო, შეუზღუდა და წაართვა დაცვის უფლებები. ადვოკატს აღარ ექნება უფლება, გადაამოწმოს პროკურატურისა და გამოძიების მიერ ჩატარებული მოკვლევა. ასევე, მათივე განცხადებით, ადვოკატებს საჯარო დაწესებულებიდან არც საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა შეეძლებათ.

შეგახსენებთ, რომ პრეზიდენტმა სააკაშვილმა ვეტოს უფლება გამოიყენა აღნიშნულ კანონპროექტთან მიმართებით, რომელიც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ადვოკატთა უფლებებთან დაკავშირებულ ცვლილებებს ეხება.

პარლამენტმა იუსტიციის სამინისტროს მიერ შემუშავებული ეს ცვლილებები, რომელთა უმეტესობას პრეზიდენტი პოზიტიურად აფასებს და მიესალმება, რადგანაც ის უზრუნველყოფს მხარეთა შეჯიბრობითობასა და თანასწორობას, 1 მაისს მიიღო,

თუმცა, როგორც პრეზიდენტის მიერ პარლამენტისთვის დაბრუნებულ შენიშვნებშია ნათქვამი, სააკაშვილმა გაიზიარა ადვოკატთა ასოციაციისა და არასამთავრობო ორგანიზაციების პოზიცია და ვეტოს უფლება – ბოლო პერიოდში უკვე მეექვსედ – მათ მიერ პრობლემურად მიჩნეულ ორ საკითხთან მიმართებით გამოიყენა.

ერთი საკითხი ეხება ადვოკატის უფლებას, სასამართლოს ნებართვით ჩაატაროს ჩხრეკა-ამოღების საგამოძიებო მოქმედებები – არსებული საპროცესო კოდექსი დაცვის მხარეს ამგვარ უფლებამოსილებას არ ანიჭებს. ადვოკატს მტკიცებულებების ამოღებისა და ჩხრეკის უფლებას აძლევს პარლამენტის მიერ მიღებული ცვლილებები, თუმცა იმ დათქმით, რომ ამ ახალი დებულების ამოქმედება 2014 წლის პირველი სექტემბრიდან უნდა მოხდეს. თავის შენიშვნებში პრეზიდენტი მოუწოდებს პარლამენტს, რომ ამ „მნიშვნელოვანი სიახლის“ ძალაში შესვლის თარიღად 2013 წლის პირველი სექტემბერი დაადგინოს.

კანონპროექტის მეორე საკითხი, რომლის მიმართაც პრეზიდენტმა ვეტოს უფლება გამოიყენა, ეხება 2014 წლის პირველი სექტემბრიდან დაცვის საგამონაკლისო უფლების გაუქმებას, რომელსაც მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 84-ე მუხლი ითვალისწინებს და რომლის მიხედვითაც „დაცვის მხარის მიერ ერთი ისეთი მტკიცებულების წარუდგენლობა, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი დაცვის უზრუნველსაყოფად, არ იწვევს სასამართლოში საქმის არსებით განხილვაზე ამ მტკიცებულების დაუშვებლობას.

ადვოკატთა ასოციაცია, რომელიც მოუწოდებდა პრეზიდენტს ვეტოს უფლების გამოყენებისკენ, საპროტესტო კამპანიას მართავს, რათა მიაღწიოს პარლამენტის მიერ დაცვის მხარის უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებასა და მხარეთა თანასწორობის უზრუნველყოფას.

– საქართველოს პარლამენტმა შეიტანა ისეთი ცვლილებები, რომ მთელ ადვოკატთა კორპუსს დაგვადო ბორკილები და შეგვიზღუდა უფლებები, – განაცხადა ადვოკატთა ასოციაციის ხელმძღვანელმა ზაზა ხატიაშვილმა პარლამენტის შენობასთან გამართულ აქციაზე, სადაც ადვოკატებმა მაისურებში წარწერით „შეწყდეს ადვოკატთა ინსტიტუციონალური დევნა“ ხელბორკილების დადებით გამოხატეს პროტესტი, რომელიც, მათი თქმით, პერმანენტულად გაგრძელდება, სანამ მათი მოთხოვნები არ დაკმაყოფილდება.

„ქართული ოცნების“ საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ჯერჯერობით არ აქვთ ჩამოყალიბებული პოზიცია, გაითვალისწინებენ პრეზიდენტის შენიშვნებს თუ შეეცდებიან ვეტოს დაძლევას. საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად მათ ორკვირიანი ვადა აქვთ.

# აფხაზეთის უმაღლეს საბჭოში კოალიცია „ქართული ოცნება – ერთიანი საქართველო“ დაფუძნდა

შორენა გონგლაძე



საქართველოში არსებული ახალი პოლიტიკური რეალიების გათვალისწინებით, კონკრეტული ამოცანების რეალიზაციის მიზნით, აფხაზეთის უმაღლეს საბჭოს ფრაქციებმა „დემოკრატიული რეფორმებისათვის“, „ახალი აფხაზეთი – სამართლიანობა“, „ერთიანი საქართველო“, რომლებიც დეპუტატთა საერთო რაოდენობის ორ მესამედზე მეტს აერთიანებენ, დააფუძნეს კოალიცია „ქართული ოცნება – ერთიანი საქართველო“.

როგორც კოალიციაში გაერთიანებული დეპუტატები აცხადებენ, იმისათვის, რომ ქვეყანაში მიმდინარე სასიკეთო პროცესები არ შეფერხდეს, რომ იგი გახდეს შეუქცევადი, საჭიროა საზოგადოებაში არსებული ყველა ჯანსაღი ძალის კონსოლიდაცია, მეტი აქტიურობა, თანამედროვეობის ადეკვატური ახალი იდეების გენერირება და ხორცშესხმა.

უაღრესად მნიშვნელოვანია აფხაზეთის ლეგიტიმური სახელისუფლებო სტრუქტურების როლისა და ადგილის განსაზღვრა, მათი პასუხისმგებლობისა და უფლებამოსილების გაფართოება, აქტიური ჩართვა კონფლიქტის დარეგულირებაში, არაღიარების პოლიტიკის მეტი წარმატების უზრუნველყოფაში, დევნილი მოსახლეობისა და ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები ჩვენი მოქალაქეების სოციალური თუ პოლიტიკური უფლებების დაცვაში.

**კოალიციის თავმჯდომარე რაისა ქარაიამ აღნიშნა:**

– 2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგად ქვეყანაში სრულიად ახალი პოლიტიკური რეალობა შეიქმნა. ჩვენი კოალიცია, რომელიც პარტიული ნიშნით არ შექმნილა, თავის ადგილს ხედავს საქართველოს პარლამენტისა და მთავრობის მიერ დაწყებული სამართლიანობის აღდგენის რთულ პროცესში, სხვადასხვა სფეროში დაგეგმილი რეფორმების განხორციელებაში. ჩვენ შემდგომშიც ერთიანი ძალებით შევიტანთ ჩვენს წვლილს არსებული კრიზისის დაძლევაში, რომელიც ე.წ. „შუაში მდგომთა“ წაქეზებით ჯერ კიდევ არსებობს.

***– „შუაში მდგომში“ ვის გულისხმობთ?***

– ვინც გუშინ „ნაციონალური მოძრაობის“ აპოლოგეტი იყო და დღეს „ქართულ ოცნებობას“ იბრალებს... გამონაკლისი არც ჩვენთანაა. ვისაც ვგულისხმობ, ალბათ, თავად მიხვდებიან. მე მათ ტელეკამერების წინ პირადად ვუთხარი, რომ სირცხვილია გუშინ ნაციონალური მოძრაობის აქტიური მხარდამჭერი დღეს ფრაქცია „ქართული ოცნებას“ აყალიბებდეს, და ისიც უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით დადგენილი პროცედურების გავლის გარეშე. სწორედ ამას შეეწინააღმდეგა უმაღლესი საბჭო და არა თავად ფრაქციის „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“ შექმნას. ამ არასწორმა ინსინუაციამ გამოიწვია ვითარებას ხელოვნური დაძაბვა და დეპუტაციაში განხეთქილების შემოტანის მცდელობა. ჩვენ ხმამაღლა განვაცხადეთ, რომ ახლად დაფუძნებული კოალიცია ღიაა ყველა დეპუტატისთვის.

# პაატა დავითაია: „რუსეთთან სიტუაციის დათბობა არ მოხდება“

შორენა გონგლაძე



– ახალი ხელისუფლების ე.წ. გალაითებულმა პოლიტიკამ რუსეთთან მიმართებით სრული კრახი განიცადა, – ეს განცხადება „ევროპელი დემოკრატების“ ლიდერმა პაატა დავითაიამ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე გააკეთა. დავითაიას განცხადებით, არავის არ უნდა ჰქონდეს ილუზია, რომ რუსეთთან სიტუაციის დათბობა მოხდება. რუსეთის იმპერიული ზრახვები ძალაში რჩება, რუსეთი საზღვრების გაფართოებას დღემდე განაგრძობს.

– ჩვენ ვხედავთ, რომ რუსეთი არ აპირებს არანაირ დათმობას და ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ მაქსიმალურად დიდი ტერიტორია დაიკავოს. თქმა იმისა, რომ არსებობს ორი რუსეთი, სრული აბსურდია, არის მხოლოდ ერთი რუსეთი, რომელიც არის იმპერიულად განწყობილი და ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ საქართველოს ტერიტორიები მიითვისოს. რუსეთში არის არა არეული, არამედ ცენტრალიზებული მმართველობა და მათი მთავარი მიზანი დღეს წარმოადგენს იმას, რომ მაქსიმალურად გააფართოვოს იმპერიის საზღვრები, – აცხადებს დავითაია. მისივე თქმით, ახალი ხელისუფლების მიერ გატარებული პოლიტიკა ძალიან აგონებს ნაციონალების პოლიტიკას.

– მე მოვუწოდებ ახალ მთავრობას, შეცვალოს პოლიტიკა, დაიკავოს ძალიან მკაცრი პოზიციები, გააკეთოს შესაბამისი განცხადებები და არა ისეთი, რომ არაფერია 200 მეტრით საზღვრის გადმოწევა, რომ ეს არის ძველი საზღვრების დაფიქსირება. ასეთი განცხადებების გაკეთება ქართული სახელმწიფოებრიობისათვის წამგებიანია. მე ვფიქრობ, რომ ყველა ერთად უნდა დავდგეთ და ყველაფერი გავაკეთოთ იმისათვის, რომ ეს პროცესი შეჩერდეს. ივანიშვილის პოლიტიკა ძალიან მაგონებს ნაციონალების პოლიტიკას 2004-2006 წლებში, ფაქტობრივად, იდენტური მოქმედებებია, მე მაშინაც ვამბობდი, რომ ეს არავითარ შედეგს არ გამოიღებს და ახლაც ამას ვამბობ. თუ ივანიშვილს უნდა ქართული სახელმწიფოებრიობის დაცვა, იმავეს გაკეთება მოუწევს, რადგანაც არანაირი დათბობა არ მოხდება ფედერაციის მხრიდან. რატომ დუმს ხელისუფლება, რატომ ხდება ამ საკითხის მიყურადება და მიჩუმათება?! როდესაც ასეთი რამ ხდებოდა, ჩვენ მივმართავდით საერთაშორისო ორგანიზაციებს, ვიღებდით რეზოლუციებს. რას აკეთებს დღეს პარლამენტი, რატომ არის ჩუმად? რატომ არ ხდება საერთაშორისო არენაზე ამ საკითხების დაყენება? მაგრამ ეს არის ღია მესიჯი რუსეთისგან. ისინი გვეუბნებიან, ჩვენ მზად ვართ, თქვენთან ერთად ვიცეკვოთ, ვიმღეროთ და ღვინო დავლიოთ, მაგრამ ამ კუთხით არაფერი არ გამოგივათო, – აცხადებს დავითაია.

# ლადო ვარძელაშვილის მიმართ საქალაქო სასამართლომ გამამტყუნებელი განაჩენი დაადგინა

თბილისის საქალაქო სასამართლომ, დღეს, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა ყოფილი მინისტრის ლადო ვარძელაშვილის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანა. ამის შესახებ ინფორმაციას საქალაქო სასამართლო ავრცელებს.

„2013 წლის 30 მაისს, თბილისის საქალაქო სასამართლომ დაასრულა სისხლის სამართლის საქმის განხილვა დევი სირაძის გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობის ფაქტზე – ვლადიმერ ვარძელაშვილის, ვახტანგ ბიჭაშვილისა და ზვიად ქავთარაძის მიმართ .

ვახტანგ ბიჭაშვილს ბრალად დაედო ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგოდ გასაღება. ვლადიმერ ვარძელაშვილს ბრალი წარედგინა ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შენახვისათვის, ხოლო ზვიად ქავთარაძეს – გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობისათვის.

საქმის მასალების თანახმად, 2013 წლის 21 თებერვალს, თბილისში, გვიან ღამით ზვიად ქავთარაძემ, რომელიც სტუმრად იმყოფებოდა ვლადიმერ ვარძელაშვილის საცხოვრებელ ბინაში, ამ უკანასკნელის არამართლზომიერ მფლობელობაში არსებული „ტტ“ სისტემის ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით, გაუფრთხილებლობით ცეცხლნასროლი ჭრილობა მიაყენა ამავე ბინაში სტუმრად მყოფ დევი სირაძეს, რის შედეგადაც იგი გარდაიცვალა.



ღია სასამართლო სხდომაზე მსჯავრდებულებმა სრულად აღიარეს და მოინანიეს ჩადენილი დანაშაული, გარდა აღიარებითი ჩვენებებისა მათ მიმართ წარდგენილი ბრალდება დადასტურებულ იქნა მოწმეთა და დაზარალებულის უფლებამონაცვლის ჩვენებებით, ბიოლოგიური, ბალისტიკური, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნებითა და საქმეში არსებულ სხვა უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობით. სასამართლომ ვახტანგ ბიჭაშვილის მიმართ დაამტკიცა მხარეებს შორის მიღწეული საპროცესო შეთანხმება, რომლის თანახმადაც ვ.ბიჭაშვიოლს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 3 წლით, რაც ჩაეთვალა პირობითად 4 წლის გამოსაცდელი ვადით. მასვე, დამატებითი სასჯელის სახით დაეკისრა ჯარიმა-6000 ლარის ოდენობით.

მსჯავრდებულებს ვლადიმერ ვარძელაშვილისა და ზვიად ქავთარაძის მიმართ საქმის არსებითი განხილვის შედეგად სასამართლომ გამამტყუნებელი განაჩენი დაადგინა, კერძოდ ვლადიმერ ვარძელაშვილს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 6 თვის ვადით, რაც ჩაეთვალა პირობითად 1 წლისა და 6 თვის გამოსაცდელი ვადით, მასვე დამატებითის სასჯელის სახით დაეკისრა ჯარიმა – 3000 ლარის ოდენობით. ხოლო ზვიად ქავთარაძეს შეეფარდა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც ჩაეთვალა პირობითად 3 წლის გამოსაცდელი ვადით და ჯარიმა 15 000 ლარის ოდენობით“ – ნათქვამია სასამართლოს ინფორმაციაში.

აღნიშული გადაწყვეტილება შეიძლება თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში გასაჩივრდეს.

**ნიუსპრესი**

# ბიძინა ივანიშვილი: „ძალიან რთულია, პროკურორი იყოს საყვარელი“



საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, ბოლო 9 წლის განმავლობაში პროკურატურა იქცა სადამსჯელო მონსტრად და პოლიტიკური ბრძოლის მთავარ იარაღად. თუმცა 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ ეს მანკიერი ტრადიცია დასრულდა.

პრემიერ-მინისტრმა პროკურატურის თანამშრომლებს პროფესიული დღე მიულოცა და აღნიშნა, რომ მათ დღეს ყველა შესაძლებლობა აქვთ და ყველაფერი უნდა გააკეთონ იმისთვის, რომ პროკურატურასა და საზოგადოებას შორის ნდობა აღდგეს.

„მე, გასული წლების განმავლობაში მჯეროდა, რომ პროკურატურში მუშაობდა ბევრი პროფესიონალი. დღეს, თქვენს კეთილსინდისიერებაზეა დამოკიდებული სამართლიანობის აღდგენა. დღეს თქვენ პროკურატურის მიმართ ნდობა უნდა აღადგინოთ“– განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა და მათ პირობა მისცა, რომ სტაჟის შესაბამისად სახელმწიფო კომპენსაციით იქნებიან უზრუნველყოფილნი.

ივანიშვილი მიიჩნევს, რომ მნიშვნელოვანია პროკურორების უზრუნველყოფა სახელმწიფო კომპენსაციით.

,,თქვენმა ხელმძღვანელობამ მოგვაწონდა პროექტი და ამას ჩვენ აუცილებლად მხარს დავუჭერთ. ამ პროექტით სახელმწიფოსგან კომპენსაციას მიიღებს ყველა, ვისაც ოცწლიანი მუშაობის სტაჟი აქვს, მაშინ როცა ეს ახლა 25-წლიანი სტაჟის დაგროვების შემთხვევაში ხდება. ჩვენი მთავრობა მაქსიმალურად იბრძოლებს, რომ თქვენ მეტი მოტივაცია გაგიჩნდეთ“, – განაცხადა პრემიერმა და პროკურორებს მიმართა, რომ მათ ყველანაირი შესაძლებლობა ექნებათ ღირსება აღიდგინონ და მათთვის მთავარი გახდეს კანონი.

პრემიერის თქმით, ძალიან რთულია პროკურორი იყოს საყვარელი, რადგან მასში მაინც იგულისხმება, რომ დამსჯელია, მაგარამ, მათ აქვთ ყველანარი შანსი, რომ ღირსება აღიდგინო და ჰქონდეთ მოსახლეობის პატივისცემა.

მან იმედი გამოთქვა, რომ პროკურატურა ერთ-ერთი პრესტიჟული და საყვარელი პროფესია იქნება. **მედიანიუსი**

# პატიმრებისთვის საწარმოო ზონები შეიქმნება



მერი ნამორაძე

სისხლის სამართლის რეფორმის უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭო მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციაზე მუშაობას განაგრძობს. გუშინ სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში" საბჭომ ევროკავშირის პროექტის „სისხლის სამართლის რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში" ფარგლებში რესოციალიზაცია-რეაბილიტაციაზე მომუშავე ჯგუფის შეხვედრა გამართა. პრობლემა იმდენად სერიოზულია, მის მოგვარებას მხოლოდ ორი სამინისტრო – იუსტიცია და სასჯელაღსრულება, ვერ გაწვდება. ასე რომ, კოორდინაცია სხვადასხვა უწყებებს შორის აუცილებლად უნდა გაფართოვდეს, რათა ყოფილმა პატიმრებმა საზოგადოებაში დაბრუნებისას გარიყულად არ იგრძნონ თავი. იუსტიციის მინისტრმა, თეა წულუკიანმა სწორედ ამ პრობლემაზე გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ პრობლემის მოსაგვარებლად არ არის საკმარისი მხოლოდ 2 სამინისტროს ჩართულობა და კარგი იქნება, თუ ყველა სტრუქტურა და არასამთავრობო სექტორიც ჩაერთვება. სწორედ არასამთავრობო სექტორმა უნდა განახორციელოს ის პროექტები, რომლებიც ყოფილ პატიმრებს საზოგადოებაში სრულფასოვნად დააბრუნებს. მინისტრის თქმით, აუცილებელია, ქვეყანას ჰქონდეს რესოციალიზაციის სახელმწიფო პოლიტიკა და ამჯერად პირველი ნაბიჯები იდგმება.

როგორც წულიკიანმა აღნიშნა, დღემდე 600-მა ყოფილმა პატიმარმა მიაკითხა, სამინისტროს, მიუხედავად ფსიქოლოგიური წნეხისა, რომელიც სამინისტროს მდებარეობიდან გამომდინარე ჰქონდათ ამ ადამიანებს, მაგრამ მივიდნენ იმაში დარწმუნებულნი, რომ უკან თავისუფლად წავიდოდნენ. ამ 600-დან 200-ს მინისტრი წარმატებულს უწოდებს, რადგან ისინი საზოგადოებას სრულფასოვანი წევრების სახით უბრუნდებიან.

იუსტიციის მინისტრმა ის სერვისებიც დაასახელა, სადაც ყოფილ პატიმრებს დასაქმების შესაძლებლობა მიეცათ: ტაქსების კომპანიამ ტაქსის მძღოლად დაასაქმა ერთი პიროვნება. 10 ყოფილ პატიმარს კი მშენებლობაზე გამოუჩნდა სამუშაო ადგილი. ბენზინგასამართი სადგურებიც გამოძებნიან მათთვის ვაკანსიებს და საქსტატის პირობას დებს, რომ როგორც კი მოსახლეობის საყოვალთაო აღწერის პროცესი დაიწყება, ამ პროგრამაში ჩართავენ ციხიდან გათავისუფლებულ ადამიანებს. რესოციალიზაციის პროცესის მთავარი მიზანიც სწორედ ის არის, რომ ყოფილი პატიმარი მუდამ პატიმრად არ დარჩეს საზოგადოების თვალში.

მავენს, რომელის დღემდე შეცდომად უთვლის ახალ ხელისუფლებას ფართომასშტაბიან ამნისტიას, სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების მინისტრმა, სოზარ სუბარმა ჩეხეთის მაგალითი მოუყვანა, სადაც ახლახანს 6 ათასი ადამიანი გაათავისუფლეს ციხეებიდან ფართომასშტაბიანი ამნისტიის შედეგად. რაც მთავარია, ციხეში დაბრუნება არ უნდა მოხდეს ადამიანებისა: უმნიშვნელოვანესია, რომ მეორედ და მესამედ დაბრუნება არ ხდებოდეს იმავე ადგილას, – განაცხადა სუბარმა პატიმრების ყოფა გაიხსენა, როცა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ვერ ბედავდნენ ხმამაღლა საუბარს და ციხიდან გამოსვლის შემდეგაც რჩებოდათ იგივე პრობლემა, იმდენად დიდი იყო ფსიქოლოგიური წნეხის გავლენა. სუბარი ერთობ კმაყოფილი იყო სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან თანამშრომლობით, რომლის დახმარებით სპორტულ ღონისძიებებს მართავს სასჯელაღსრულების სამინისტრო პრობაციონერებისთვის თუ მსჯავრდებულებისთვის. სამინისტრო უახლოეს მომავალში აპირებს საწარმოო ზონები შექმნას და შანსი მისცეს პატიმართა იმ ნაწილს, რომლისთვისაც შრომა სირცხვილი არ არის.

გუშინ რესოციალიზაციის პრობლემაზე მსჯელობაში განათლების, სოციალური დაცვის, შსს-ს და სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს წარმომადგენლები, ევროკავშირის ელჩი და არასამთავრობო სექტორიც ჩაერთო. სულ მალე საკოორდინაციო საბჭო მსჯავრდებულთა და ყოფილ მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმას გამოამზეურებს. რამდენად წარმატებული იქნება რესოციალიზაციის პროცესი, უახლოეს მომავალში გამოჩნდება.

# სტუდენტები დასაქმებას ითხოვენ

მერი ნამორაძე

სტუდენტები გაგანია საგამოცდო პერიოდში გააქტიურებას და ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებას გეგმავენ. გააქტიურება აქციების გამართვაში გამოიხატება, ფინანსური პირობების გაუმჯობესებისა კი რა მოგახსენოთ, საეჭვოა დღევანდელმა ბიუჯეტმა მათ ამის საშუალება მისცეს. საქმე სტუდენტური საზაფხულო დასაქმების პროგრამას ეხება. დამოუკიდებელ სტუდნეტთა საინიციატივო ჯგუფი საზაფხულო დასაქმების პროგრამის „სამმაჯობ"-ის აღდგენას ითხოვს. შესაბამისი მოთხოვნით აქციის გამართვას სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტები და არასამთავრობო ორგანიზაციები 4 ივნისს განათლების სამინისტროსთან აპირებენ.

საზოგადოებას კარგად ახსოვს ყბადაღებული სტუდენტური დასაქმების პროგრამა, რომელიც წინასაარჩევნო კამპანიის ნაწილად იყო აღიარებული და სტუდენტური ხმების მოსაზიდად გამიზნული ყოფილი მმართველი პარტიის მიერ. სტუდენტებს, რა თქმა უნდა, გაუტკბათ „იოლი ფული" და არც ახლა იტყვიან უარს ამგვარ დასაქმებაზე. მით უმეტეს, რომ ბევრისათვის ეს სწორედაც რომ დასაქმების ადგილზე გამოცხადებაში მიღებული თანხა იყო და არა გარკვეული შრომის საფასური.

მოკლედ, სტუდენტები აღიარებენ, რომ პროექტის თავდაპირველი მიზანი პოლიტიკური გახლდათ, მაგრამ ამ პოლიტიკამ ბევრს ამოსუნთქვის და სწავლის ქირის გადახდის საშუალება მისცა, ამიტომ უპრიანია მისი გაგრძელება.

სტუდენტებმა ამ მოთხოვნით 10 ათასამდე ხელმოწერა შეაგროვეს და განათლების სამინისტროში შეიტანეს, თუმცა, უწყების მხრიდან პასუხი არ მიუღიათ.

სტუდენტები ამბობენ, რომ დღეს არსებული სოციალური მდგომარეობის ფონზე სახელმწიფოს მიერ სტუდენტების დასაქმება „წახალისება" იქნება. ამასთან, საინიციატივო ჯგუფის წევრების განცხადებით, ყველაფერთან ერთად საზაფხულო დასაქმების პროგრამა სტუდენტებისთვის პრაქტიკის კარგი საშუალებაა. საინიციატივო ჯგუფში შედიან: ილიაუნის, თსუ-ს და აგრარული უნივერსიტეტის სტუდენტები. განათლების მინისტრს სტუდენტებისთვის პასუხი უკვე აქვს. გიორგი მარგველაშვილმა განაცხადა, რომ უწყებამ საბიუჯეტო თანხა უფრო პრიორიტეტულად გადაანაწილა, მათ შორის, მასწავლებლების ხელფასებზე, უფასო სახელმძღვანელოებზე, უფასო ფაკულტეტებზე სტუდენტებისთვის, ინფრასტრუქტურის განვითარებაზე. იგი მიიჩნევს, რომ სტუდენტური დასაქმების პროგრამა, რომელიც წინა ხელისუფლებამ განახორციელა, პოლიტიკური შინაარსის, წინასაარჩევნო, ერთჯერადი აქცია იყო. მინისტრი სტუდენტებთან შეხვედრასაც გეგმავს, რათა კარგად აუხსნას სამინისტროს პოზიცია.

# შსს-მ საკუთარი შვილის მკვლელობაში ბრალდებული დააკავა

თბილისის მთავარი სამმართველოს დეტექტივების სამმართველოს თანამშრომლებმა, განზრახ მკვლელობის და იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარების ბრალდებით, 1955 წელს დაბადებული ვლადიმერ ჩ. დააკავეს.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულმა თბილისში, დგებუაძის ქუჩაზე, საკუთარ საცხოვრებელ სახლში, ურთიერთშელაპარაკებისას, შვილი, 1982 წელს დაბადებული თენგიზ ჩ. ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით მოკლა. სამართალდამცველებმა ვლადიმერ ჩ. შემთხვევის ადგილზე, ცხელ კვალზე დააკავეს. მკვლელობის იარაღი ნივთმტკიცებად ამოიღეს.

წინასწარი ინფორმაციით, ბრალდებულმა დანაშაული ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ ჩაიდინა. გამოძიება განზრახ მკვლელობის და იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარების ფაქტზე, სსსკ-ის 108-ე მუხლითა და 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილით მიმდინარეობს.

ნიუსპრესი


## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

იცხოვრეთ მომავალისთვის.
უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.




**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის" ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)



## განცხადებები

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა – ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-15-63-33 ექიმი ქ-ნი ნინო.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასლებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● გახდომა 5-20 კგ-მდე დიეტის გარეშე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უვნებლად, მადის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● დაქვეითებული სმენის, ნევრიტის, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, წითელი ქარის, სხვა დაავადებების განკურნება ასაკის მიუხედავად, ბიოენერგოინფორმაციული მასაჟის უნიკალური მეთოდით, არასკეპტიკოსებისათვის. მიღება შეზღუდულია ჩაწერით. ტრადიციული სამედიცინო საქმიანობის მართვის ცენტრთან არსებული საზოგადოების წევრი, სერთიფიცირებული დამსახურებული სახალხო მკურნალი ლევან სეხნიაშვილი. ტელ: 599-97-85-46.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

● ნანა ქიბროწაშვილი. შპს „იადიგარ დაუდის" დირექტორი, მოგიხსნით ნეგატიური ზემოქმედებით გამოწვეულ პრობლემებს ფოტოსურათით: აგრესიას, აკვიატებას, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, აგორიაქებას, დაძაბულობას, შეზორჭილობას, აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, სვედას, ნაღვლის, მელანქოლიას.მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. ტელ: 599-498-423

# ოლიმპმა ტიტული მოიგო

**შსს აკადემია-ოლიმპი 72:90**
(11:23, 21:30, 20:19, 20:18)

**შსს აკადემია**: ჩიტაშვილი (8ქ,5პ), ვონი (13ქ), როგავა (7ქ), ბოქოლიშვილი (2ქ), ლონდარიძე (2ქ), პრევიტი (3ქ), ლომოური (8ქ), კუნასი, ანთაძე (2ქ), ბექაური (10ქ,7მ,4დ), არჩიბეკი (15ქ,), რეიმონდი (2ქ)

**ოლიმპი**: სოკი (6ქ), ბერიშვილი (19ქ,9მ), მიქელაძე (5ქ), თენიეშვილი (8ქ,6მ), ფაცაცია (12ქ), დვალიშვილი (12ქ,8მ), მური (14ქ), მილოშევიჩი (12ქ,6მ,3დ), ანდრიუკაიტისი (2ქ)

საკალათბურთო კლუბი „ოლიმპი" ოთარ ქორქიას სახელობის სუპერთასის მფლობელია. 2012-13 წლების სეზონის ბოლო ტიტული გია კაზანჯიანის გუნდმა მოიპოვა. ოლიმპიელებმა 3 დღის წინ გაჩემპიონებული „შსს-აკადემია" 90:72 დაამარცხეს.

სწორედ ეს გუნდები შეხვდნენ ერთმანეთს სუპერლიგის ფინალურ სერიაში, რომელიც აკადემიელებმა საერთო ანგარიშით – 3:2 მოიგეს. შსს-ელები დაეპატრონენ საქართველოს თასსაც და რაკი ორივე ტიტულის მფლობელი გიორგის კეცელიდისის გუნდი გახდა, სუპერთასისთვის „შსს-აკადემიას" ორივე შეჯიბრის ფინალისტი „ოლიმპი" დაუპირისპირდა.

მატჩი ოლიმპელების უპირატესობით დაიწყო. კაზანჯიანის გუნდის ლიდერობამ პირველივე მეოთხედში 10 ქულას გადააჭარბა. მეორე ათწუთეულში ვიცე-ჩემპიონმა ლიდერობა კიდევ უფრო გაიმყარა. დიდი შესვენებისთვის „ოლიმპი" 53:32 იგებდა და მატჩის ბედიც ფაქტობრივად გარკვეული იყო.

მატჩის წინ ჩატარებულ პრესკონფერენციაზე „შსს აკადემიის" მთავარმა მწვრთნელმა განაცხადა, რომ გასაგები მიზეზის გამო სუპერთასისთვის გუნდის სათანადოდ მომზადება ვერ მოხერხდა. სწორედ ამით უნდა ავხსნათ გუნდის მთავარი მწვრთნელისა და კალათბურთელების მიერ მიღებული ტექნიკური ჯარიმები, რომელთა თვლაც აგვერია... მეტიც, ბენჯამინ რეიმონდის ცუდი რეაქციის გამო ტაიმის ბოლოს მოედანზე გუნდური ჩხუბიც ატყდა.

მეორე ტაიმში სურათი არ შეცვლილა. აკადემიელთა მწვრთნელმა გიორგის კეცელიდისმა შანსი სათადარიგოებს მისცა და გუნდის ლიდერები, რომელთა მხრებზეც გადაიარა 3 დღის წინ დასრულებულმა ფინალურმა სერიამ, მოედანზე აღარ გამოსულან. ოლიმპელებმა იოლად შეინარჩუნეს მოპოვებული სოლიდური უპირატესობა და სუპერთასის მოგებით გაიხარეს. „ოლიმპისთვის" ეს სეზონის მეორე ტიტულია. დღეს მოგებულ სუპერთასამდე, იანვრის თვეში, გია კაზანჯიანის გუნდმა ზურაბ საკანდელიძისა და მიხეილ ქორქიას სახელობის მემორიალური ტურნირი მოიგო.

დღევანდელი მატჩის ბომბარდირი მიხეილ ბერიშვილი გახდა 19 ქულით. მისმა თანაგუნდელებმა – სტეფან მილოშევიჩმა, აკაკი დვალიშვილმა და ლევან ფაცაციამ პირად ანგარიშზე 12-12 ქულა ჩაიწერეს, ხოლო დარენ მორმა შეხვედრა 14 ქულით დაასრულა. აკადემიელთა შორის 15 ქულით ბომბარდირი კირკ არჩიბეკი გახდა, რომელმაც მხოლოდ 16 წუთი ითამაშა. 13 ქულა ჰქონდა დეონტა ვონს, ხოლო ბექა ბექაურმა „შსს-აკადემიას" 10 ქულა შესძინა.

გამარჯვებულ „ოლიმპს" სუპერთასი ოთარ ქორქიას შვილმა, კალათბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა ნოდარ ქორქიამ გადასცა.

დღეს დასახელდნენ სუპერლიგის ნომინანტები. სეზონის საუკეთესო ახალგაზრდა მოთამაშის პრიზი, რომელიც ტრაგიკულად დაღუპული ზვიად მიქაძის ოჯახმა და მეგობრებმა დააწესეს, „შსს-აკადემიის" გამთამაშებელმა რეზო როგავამ დაიმსახურა. სეზონის საუკეთესო მწვრთნელად აღიარებულ გეორგის კეცელიდისს ცნობილი ქართველი მწვრთნელის, გიორგი ავალიშვილის სახელობის პრიზი მისმა ქალიშვილმა, ქალბატონმა ქეთევან ავალიშვილმა გადასცა.

რაც შეეხება სეზონის საუკეთესო მოთამაშეს, იგი გამოკითხვის შედეგად გამოვლინდა. ჟურნალისტების, მწვრთნელებისა და კომისრების გამოკითხვის შედეგად საუკეთესოდ შსს-ს ამერიკელი გამთამაშებელი, დეონტა ვონი დასახელდა, მეორე ადგილი ოლიმპის მოთამაშემ სტევან მილოშევიჩმა დაიკავა, ხოლო მესამე – ლევან ფაცაციამ.

საუკეთესო მწვრთნელს, მოთამაშეს და ახალგაზრდა კალათბურთელს სუპერლიგის პარტნიორმა ტოტალიზატორმა „ევროპა-ბეთმა" პლანშეტური კომპიუტერები გადასცა.

*მატჩის შემდეგ*

**გია კაზანჯიანი (ოლიმპი):**

–მოხარული ვარ, რომ ორი წლის განმავლობაში პირველად მოვიგეთ ტიტული, ქორქია-საკანდელიძის სახელობის თასი კი მოვიპოვეთ, თუმცა ის უფრო მემორიალია. ვულოცავ ჩემს გუნდს გამარჯვებას. ჩემპიონატის შემდეგ ძნელი იყო კონცენტრირება ამ თამაშზე, ფსიქოლოგიურად მომზადება და ჩვენ ეს მოწინააღმდეგეზე უკეთ გამოგვივიდა. სამწუხაროდ, მე-6 თამაშმაც ვერ ჩაიარა ექსცესების გარეშე, თუმცა მადლობას ვეტყვი ჩემს ბიჭებს, რომ ამის წამომწყებები არ ყოფილან.

**გეორგის კეცელიდისი (შსს აკადემია):**

– ვულოცავ „ოლიმპის" მწვრთნელს და მთლიანად გუნდს. თამაში ისეთი დაძაბული არ გამოდგა, როგორც ველოდით. წარმატებას ვუსურვებ ყველა ქართველო მოთამაშეს, გუნდს და მწვრთნელს მომავალ სეზონში. მადლობას ვუხდი ყველას „საუკეთესო მწვრთნელის" ჯილდოსთვის. ეს ჩემთვის ძალიან სასიხარულო და მნიშვნელოვანია.

**მიხეილ ბერიშვილი (ოლიმპი):**

– ვულოცავ ჩემს გუნდს პირველ ტიტულს. ფინალის წაგების შემდეგ რთული იყო ამ თამაშისთვის კონცენტრირება, თუმცა მოვახერხეთ მობილიზება და სასურველი შედეგის მიღება.

**დეონტა ვონი (შსს აკადემია):**

– პირველ რიგში, ვულოცავ „ოლიმპს" გამარჯვებას. მადლობას ვეტყვი საქართველოს კალათბურთის ფედერაციას, ჩემს კლუბს და ყველას, იმისთვის რომ მომეცა შანსი აქ მეასპარეზა. ბევრი რამ ვისწავლე და აქ თამაში ჩემთვის ძალიან დიდი გამოცდილება იყო, პროფესიული თვალსაზრისით ძალიან გავიზარდე.

# 19-წლამდელთა მორიგი წარმატება

**საქართველო – ბელგია 2:0**
1:0 ფანცულაია (56), 2:0 სამუშია (78)
74-ე წუთზე ფანცულაიამ ვერ გამოიყენა თერთმეტმეტრიანი (ძელი)

**საქართველო**: თებიძე, დვალი, სანდოხაძე (კაპ), გეგეჭკორი, უბილავა, სამუშია (გურეშიძე 80), ჭანტურია, ფანცულაია, ცნობილაძე, ზივზივაძე, ზარანდია

**ბელგია**: დოესტი, იბომა (დე ნევე 73), რუისენი, დე სარტი, ფოკეტი, ვერსტრაეტე, კაბასელე (შრიივერსი 58), შოოპსი, ატედა, ბუეკერსი (კორინი 63), ტროსარდი

**გაძევება**: რუისენი (90)

კიდევ ერთი ღირსშესანიშნავი და დაუვიწყარი ფურცელი ჩაიწერა თანამედროვე ქართული ფეხბურთის ისტორიაში – პირველად, საქართველოს 19-წლამდე ნაკრები ევროპის 2013 წლის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოხვდა!

ზედიზედ მეორე წელია, საქართველოს ასაკობრივი ნაკრებები ევროპის ჩემპიონატების ფინალურ ეტაპებზე ხვდებიან. შარშან, ეს ვასილ მაისურაძის გაწვრთნილმა 17-წლამდელებმა გააკეთეს. ახლა კი, გია ცეცაძემ და მისმა ფეხბურთელებმა შეძლეს ჯგუფში ხმაურიანად ჩაეტოვებინათ ინგლისი, ბელგია და შოტლანდია.

დღევანდელ მატჩს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა და ბიჭებმაც ყველაფერი გააკეთეს სანუკვარი მიზნის მისაღწევად. ბორნემის სტადიონზე საქართველოს ნაკრებს ქართული ქომაგობაც არ აკლდათ, რადგან ელიტრაუნდის მიმდინარეობისას ჩვენს მატჩებს საკმაო რაოდენობით ქართველები ესწრებოდნენ და მხურვალედ ქომაგობდნენ, ამხნევებდნენ ახალგაზრდა ქართველ ფეხბურთელებს. ბელგიაში საგანგებოდ ჩავიდნენ სფფ-ის პრეზიდენტი და გენერალური მდივანიც და გუნდთან ერთად იზეიმეს ეს წარმატება.

ქართველებმა შეხვედრა მეორე ტაიმში მოიგეს. ჯერ გიორგი ფანცულაიამ გაიტანა. მერე კი, ანგარიში ორამდე გურამ სამუშიამ გაზარდა. გოლებს შორის, გიორგი ფანცულაიას კიდევ ჰქონდა ერთი ბურთის გატანის ძალიან კარგი შანსი, თუმცა, ნაკრების თავდამსხმელმა ლუკა ზარანდიას წაქცევისთვის დანიშნული თერთმეტმეტრიანი ძელს გაარტყა.



19-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის წილისყრა 14 ივნისს გაიმართება. ორმაგად საამაყოა, რომ საქართველო ევროპის 8 საუკეთესო გუნდს შორის მოხვდა. ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე, ჯერჯერობით, მასპინძელი ლიტვა, თურქეთი და საქართველო არიან. ჩემპიონატი კი, ივლისში გაიმართება.

ემოციებისგან იყო დაცლილი 19-წლამდელთა თავკაცი გია ცეცაძე, რომელმაც მატჩის შემდეგ, მცირე კომენტარი გააკეთა.

**გია ცეცაძე:**

– ჩვენ სამი საოცარი, სანახაობრივი თამაში ჩავატარეთ ძალიან ძლიერი მეტოქეების წინააღმდეგ. მე ამაყი ვარ ჩემი ფეხბურთელებით! ამ შემადგენლობით, ჩვენ მართლაც დიდი მომავალი გვაქვს და ჩვენს სიტყვას ვიტყვით ევროპის ჩემპიონატზე.

აღნიშნულ წარმატებასთან დაკავშირებით, ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ზვიად სიჭინავამაც ისაუბრა.

– სამი წლის წინ, როდესაც მე მოვედი ფედერაციაში, დავიწყეთ სხვადსხვა ასაკობრივი ნაკრებების შექმნაზე ზრუნვა, რამაც თავის შედეგი მოიტანა. ბოლო სამი წლინ განმავლობაში, 6-ჯერ ვისაპარეზეთ ელიტრაუნდში და ორჯერ ევროპის ჩემპიონატზე, რაც, რასაკვირველია, შემთხვევით არ მომხდარა. ვერც ვასილ მასურიაძის გუნდის შემთხვევაში და ვერც ახლა, ვერავინ იტყვის, რომ იოლი მეტოქეები შეგვხვდა. მაშინ და ახლაც საკმოად ძლიერ გუნდებთან მოგვიწია დაპირისპირება, ისეთები როგორიცაა – ესპანეთი, ინგლისი, უკრაინა. ეს ბიჭები ქართული ფეხბურთის მომავალია, რამაც ჩვენ ფეხბურთს წარამტება უნდა მოუტანოს. სწორედ მათ ხარჯზე უნდა მოხდეს ეროვნული ჩემპიონატის გაძლიერება და ისინი განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებენ. ეს არის თავიდან ბოლომდე მაღალი კლასის მოთამაშებით დაკომპლექტებული ნაკრები, სადაც სუსტი რგოლი არ არსებობს. მე დარწმუნებული ვარ რომ ეს თაობა კიდევ არაერთხელ გაახარებს ქართველ გულშემატკივარს. განსაკუთრებით მინდა ავღნიშნო შოტლადიასთან უმსგავსო მსაჯობა, რის გამოც ნაკრებმა ასპარეზობა 9 კაცით დაასრულა, ხოლო ბელგიასთან გასამრთ შეხვედრას სულაც 13-კაციანი განაცხადით შეხვდა. მინდა ავღნიშნო, რომ აფრიკაში მიმდინარე კონგრესი საკმოდ მნიშვნელოვანი მოვლენაა, თუმცა ნაკრების გამო იქ წასვლა გადავიფიქრეთ. მთელი საფეხბურთო სამყაროსგან ვიღებთ მილოცვებს. რასაკვირველია, გვქონდა საუბარი შესაბამის წარმომადგენლებთან, დელეგატებთან და მათთან ჩვენი მკვეთრი პოზიცია დავაფიქსირეთ. გახსოვთ ანალოგიური შემთხვევა იყო 17-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალში, როდესაც 10 კაცით დავრჩით მე–7 წუთზე. ამიტომ არავისთვის არაფრის შერჩენას არ ვაპირებთ, ყველამ უნდა გაიგოს, რომ საქართველო აუტსაიდერი არაა, რაზეც ორჯერ ზედიზედ ჩვენი ნაკრებების ევროპაზე გასვლაც მეტყველებს. დისკვალიფიკაციებთან დაკავშირებით ჩვენ შესაძლოა ნიონში წასვლა მოგვიწიოს, სადც ნამდვილად გვაქვს სალაპარაკო. ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ ევროპის ჩემპიონატზე გუნდი უდანაკარგოდ წავიდეს.

# განვითარების კავშირმა ფესტივალი სპორტის სასახლეში გახსნა

29 მაისს, თბილისის სპორტის სასახლეში, 2001 წელს დაბადებულ მოზარდთა მინისაკალათბურთო ფესტივალი დაიწყო. აღნიშნულ ტურნირს ორგანიზებას უწევს თბილისის კალათბურთის განვითარების კავშირი, რომელმაც გასულ თვეში საქართველოს კალათბურთის ფედერაციასთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა. აღნიშნული შეთანხმების შესაბამისად, განვითარების კავშირი თბილისის მასშტაბით ასაკობრივ ჩემპიონატებს ჩაატარებს, რომელთაგან 8-8 საუკეთესო კალათბურთის ფედერაციის მიერ ორგანიზებულ საქართველოს შესაბამის ასაკობრივ ჩემპიონატში გადაინაცვლებს.

თბილისის ასაკობრივი ჩემპიონატების ჩატარება მომავალ შემოდგომაზე იგეგმება, მანამდე კი განვითარების კავშირი 2 მინისაკალათბურთო - 2001 და 2002 წლებში დაბადებულთა ფესტივალს ჩაატარებს. 2001-წლიანთა ფესტივალი დღეს თბილისის სპორტის სასახლეში გაიხსნა, სადაც 4 მატჩი გაიმართა, ხოლო 1 შეხვედრას საკალათბურთო აკადემიამ უმასპინძლა.

მინიკალათბურთი ჩვეულებრივი, კლასიკური კალათბურთისგან განსხვავებული წესებით ტარდება, რაც ძირითადად დროის ათვლას უკავშირდება. მოზარდებში მეოთხედი 8 წუთს გრძელდება და დრო მხოლოდ საჯარიმო სროლების დროს, ან მსაჯის გადაწყვეტილების შედეგად ჩერდება. არ არის დაწესებული შეტევაზე დროის ლიმიტი, ასევე არ მოქმედებს მეტოქის ნახევარზე გადასატანად განკუთვნილი 8 წამის წესი. მოზარდებს საშუალება ეძლევათ, გარბენის ზღვარზე ითამაშონ. მსაჯები წესის ამ დარღვევის მიმართ შედარებით ლოიალურნი არიან. დებულება ისეა გაწერილი, რომ გუნდის ყველა წევრს შეეძლოს მატჩში მონაწილეობა.

ქალთა კალათბურთის პოპულარიზაციის მიზნით თითოეულ გუნდს ნება დართეს, შემადგენლობაში 2 გოგონა იყოლიოს. ყველას არა, მაგრამ რამდენიმე გუნდს განაცხადში სუსტი სქესის წარმომადგენელი ჰყავს, რომლებმაც დღევანდელ მატჩებში ბიჭებს ტოლი არ დაუდეს.

გახსნის ცერემონიალზე ტურნირის მონაწილე გუნდებმა მოიყარეს თავი. სპორტის სასახლის მოედანი ფესტივალში სათამაშოდ დარეგისტრირებულმა 200-ამდე მოზარდმა შეავსო.

# საჩემპიონო მარათონში შერმადინიც ჩაება

გიორგი ცინცაძის „ბუდიველნიკს" უკრაინის ჩემპიონობამდე 2 ქულა დააკლდა, თუმცა პირველობის შანსი არ დაუკარგავს. ფინალური სერიის მე-6 მატჩში კიეველები მარიუპოლში, „აზოვმაშთან" 95:96 დამარცხდნენ, რის შემდეგაც საერთო ანგარიში გათანაბრდა - 3:3. წინ მე-7, გადამწყვეტი მატჩია. 31 მაისს ვინც გაიმარჯვებს, ჩემპიონიც ის გახდება. სუპერფინალს „ბუდიველნიკი" უმასპინძებს, რომელსაც რეგულარული ჩემპიონატის მოგება სეზონის ბოლო მატჩში გამოადგა.

მატჩი დაძაბული და საინტერესო გამოდგა. ლიდერი რამდენჯერმე შეიცვალა. პირველი მეოთხედი მასპინძლებმა 6 ქულით მოიგეს, თუმცა დიდ შესვენებაზე კიეველები 2-ქულიანი ლიდერობით გავიდნენ. გადამწყვეტი პერიოდის წინ კვლავ „აზოვმაში" დაწინაურდა (3 ქულით). ყველაფერი ბოლო წუთზე, სამწუხაროდ, მასპინძელთა სასარგებლოდ გადაწყდა. მარიუპოლელებმა 96:95 მოიგეს და ჩემპიონობის შანსი შეინარჩუნეს.

ქართველი გამთამაშებელი კიეველთა შორის ერთ-ერთი საუკეთესო იყო. ცინცაძემ სასტარტო ხუთეულში 30,10 წუთი ითამაშა, რის განმავლობაშიც 15 ქულა, 9 პასი და 5 მოხსნა მოაგროვა. გიორგიმ 10-დან 3 ორქულიანი და 5-დან 3 სამიანი ჩააგდო. ცინცაძეზე შედეგიანად კიეველთაგან მხოლოდ ლეო ლაიონსი გაისარჯა, რომელმაც 31 ქულა და 8 მოხსნა მიითვალა.

3-მატჩიანი იძულებითი შესვენების შემდეგ მოედანს დაუბრუნდა გიორგი შერმადინი. ბერძნული „ოლიმპიაკოსის" ქართველ ცენტრს ევროლიგის ფინალის შემდეგ არ უთამაშია. მას ფეხის კუნთი აწუხებდა და მკურნალობდა. შერმადინმა ტრავმა მოიშუშა და საბერძნეთის ჩემპიონატის ნახევარფინალური სერიის პირველ მატჩში „აგორის" წინააღმდეგ მოედანზე გამოჩნდა.

ქართველმა ცენტრმა 5 წუთი ითამაშა და რისი მოგროვებაც შეძლო, 2 ქულა და 2 მოხსნაა. შერმადინმა ერთადერთხელ, ისიც ზუსტად შეუტია აგორელთა ფარს. პირეოსელებმა გუნდურად ითამაშეს, ბომბარდირ კაილ ჩეინს 12 ქულა დაუგროვდა. ოლიმპიაკოსელებმა მეტოქე 77:62 დაამარცხეს და სერიაში 1:0 დაწინაურდნენ.

3 გამარჯვებამდე მიმდინარე ნახევარფინალური სერიის მომდევნო მატჩი 31 მაისს გაიმართება.

# მილანის ბედს ბერლუსკონი თბილისში გადაწყვეტს

მორჩა, გათავდა: ამდენი მითქმა-მოთქმის შემდეგ, უკვე ოფიციალურად დადასტურდა ის ფაქტი, რომ ჟოზე მოურინიო „ჩელსიში" ბრუნდება! პორტუგალიელმა 4 წლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი და ფასი 40 მილიონი გირვანქა სტერლინგია.

მომავალ უიქ-ენდზე მადრიდის „რეალს" „ოსასუნასთან" უწევს პრიმერადივიზიონის ბოლო ტურში თამაში და ამის შემდეგ დასრულდება ჟოზეს სამწლიანი ერა მადრიდში.

მოურინიოს პირველი შეხვედრა „ჩელსის" თავკაცის რანგში ტაილანდის საუკეთესო თერთმეტეულთან ექნება ივლისში წინასასეზონო მზადებისას, მერე კი მალაიზიასა და ინდონეზიაშიც გაივლიან ტურს.

შემდეგ კი, ზაფხულის საერთაშორისო ტურნირი იწყება, სადაც მოუს ყოფილი ორი კლუბი, „რეალი" და „ინტერი" იქნებიან. ამათ გარდა, ტურნირზე ითამაშებენ „ევერტონი", „იუვენტუსი", „მილანი", „ვალენსია" და „ლოს ნაჯელესი".

შეგახსენებთ, რომ მოუმ „ჩელსის" 2004–07 წლებში უთავკაცა და ამ პერიოდში გუნდთან ერთად 6 ტიტული მოიგო.

იტალიური პრესა კი, ავრცელებს ინფორმაციას, რომ მასიმილიანო ალეგრი „რომას" წინადადებას დასთანხმდა და „ჯალოროსის" მომდევნო 3 წლის განმავლობაში გაუძღვება. სეზონში კი 3,5 მილიონ ევროს მიიღებს. ალეგრის „მილანიდან" წამოსვლას ფორმალობები აშორებს. იტალიური პრესის მტკიცებით, დღეს გაიმართება ალეგრისა და ადრიანო გალიანის შეხვედრა, რის შემდეგაც, ოფიციალურად გაცხადდება „კალიარის" ყოფილი ბოსის "როსონერიდან" გაშვების ამბავი. თავის მხრივ კი, „მილანის" მომავალ მწვრთნელად კლარენს ზეედორფს ასახელებენ, რომელიც გუნდის პრეზიდენტის, სილვიო ბერლუსკონის რჩეულია.

სხვათა შორის, ბერლუსკონი ზეედორფთან გასაუბრებას დღეს, თბილისში, კახი კალაძის გამოსათხოვარი მატჩის შემდეგ აპირებს.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# შედეგები

**ფეხბურთი**

**ამხანაგური მატჩები**

| | |
|---|---|
| ლიბანი-ომანი | 1:1 |
| ყატარი-აზერბაიჯანი | 1:1 |
| ეკვადორი-გერმანია | 2:4 |
| ინგლისი-ირლანდია | 1:1 |
| აშშ-ბელგია | 2:4 |

**იტალია. სერია ბ**
**პლეი ოფი**

| | |
|---|---|
| ემპოლი-ლივორნო | 1:1 |

**შვეიცარია. სუპერლიგა**

| | |
|---|---|
| ლოზანა-სერვეტი | 3:0 |
| ლუცერნი-სიონი | 2:0 |
| სტ.გალენი-გრასჰოპერსი | 1:2 |
| ციურიხი-თუნი | 2:0 |
| იანგ ბოიზი-ბაზელი | 0:1 |

**საბერძნეთი. სუპერლიგა**
**პლეი ოფი**

| | |
|---|---|
| პაოკი-ატრომიტოსი | 1:2 |
| ასტერასი-იანინა | 2:1 |

**შვედეთი. ალსვენსკა**

| | |
|---|---|
| მალმიო-ჰელსინბორგი | 1:1 |

**ფინეთი. ვეიკაუსლიგა**

| | |
|---|---|
| ვპს-იარო | 2:1 |
| კუუპიო-ინტერი | 1:1 |

*ინტერელთა გოლი ირაკლი სირბილაძემ გაიტანა*

| | |
|---|---|
| როვანიემი-მიუპა | 2:1 |
| ტპს-მარიეჰამნი | 2:4 |
| ჰონკა-ლახტი | 1:0 |
| ჯჯკ-ჰიკი | 1:3 |

**ბრაზილია. სერია ა**

| | |
|---|---|
| ატლეტიკო(პ)-კრუზეირო | 2:2 |
| ბოტაფოგო-სანტოსი | 2:1 |
| სან პაულუ-ვასკუ | 5:1 |
| ბაია-კურიტიბა | 0:0 |
| გოიასი-კორინთიანსი | 1:1 |

**ჩოგბურთი**

**როლან გაროსი**

**კაცები**

| | |
|---|---|
| კუბოტი-ტეიშეირა | 6:4;5:7;7:6;6:2 |
| პერი-ბაგდატისი | 3:6;7:6;6:4;6:4 |
| სებალოსი-პოსპიშილი | 7:6;6:4;6:7;2:6;8:6 |

**ქალები**

| | |
|---|---|
| ვოზნიაცკი-იოვანოვსკი | 6:7;3:6 |
| ვინჩი-ვოსკობოევა | 6:4;4:6;6:2 |
| პავლუჩენკოვა-ცეტკოვსკა | 5:7;6:2;4:6 |
| რაზანო-კუცოვა | 4:6;6:2;6:0 |
| კირსტეა-ლარსონი | 6:1;6:4 |
| ლისიცკი-ტორო | 6:4;6:0 |
| უილიამსი ს.-გარსია | 6:1;6:2 |
| ერანი-პუტინცევა | 6:1;6:1 |
| კეისი-პუჩი | 4:6;6:7 |
| ივანოვიჩი-იოჰანსონი | 6:2;6:2 |
| ჩჟენი-უდენი | 6:3;6:1 |
| იანკოვიჩი-მუგურუსა | 6:3;6:0 |

**ჰოკეი**

**ნჰლ. პლეი ოფი**

| | |
|---|---|
| ჩიკაგო-დეტროიტი | 2:1(ოტ) |
| სერიის ანგარიში: | 4:3 |

# რეზო ჩხეიძეს ვარსკვლავი გაუხსნეს

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ულოცავდნენ კინორეჟისორს ვარსკვლავის გახსნას.

– ბატონი რეზოს სახელი და მოღვაწეობა, ის დიდება და სახელი, რაც მან მოუტანა ჩვენს ქვეყანას, რა თქმა უნდა, გმირობის ტოლფასია. მადლობა ღმერთს იმისთვის, რომ ასეთი ადამიანები, ვარსკვლავები იბადებიან და ასეთი გამობრწყინებები გვაქვს საზოგადოებაში. ჩვენ აწმყოც ღირსეული გვაქვს. რა თქმა უნდა, არის პრობლემები, მაგრამ უნდა მოვახერხოთ და დავძლიოთ ისინი, რომ მეტი პატივი მივაგოთ აწმყოს. მინდა ვუსურვო მას დიდხანს სიცოცხლე, ჯანმრთელობა და, რაც მთავარია, კიდევ ახალი ფილმების გადაღება და ჩვენი გახარება, – განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

როგორც ღონისძიებაზე ითქვა, მიუხედავად იმისა, რომ რეზო ჩხეიძის მიერ გადაღებული ფილმებიდან თითქმის სულ ყველა გამორჩეულად საყვარელია ქართველი მაყურებლისთვის, „ჯარისკაცის მამა“ მისი შემოქმედების მწვერვალად არის მიჩნეული. რუსთაველის სახელობის თეატრალურ ინსტიტუტში სწავლის შემდეგ რეჟისორმა საკავშირო კინემატოგრაფიის სახელმწიფო ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტზე ისწავლა. რეჟისორ თენგიზ აბულაძესთან ერთად გადაიღო კინონარკვევები „ჩვენი სასახლე“, „ქართული ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი“ და მხატვრული ფილმი „მაგდანას ლურჯა“, რომელმაც მოიპოვა კანის მეცხრე საერთაშორისო კინოფესტივალის მთავარი პრიზი – „ოქროს პალმის რტო“ და პირველი პრემია ედინბურგის მეათე საერთაშორისო კინოფესტივალზე.

რეზო ჩხეიძის ნამუშევრებს შორისაა მხატვრული ფილმები „ჩვენი ეზო“, „მაია წყნეთელი“, „განძი“, „ზღვის ბილიკი“, „ღიმილის ბიჭები“, „ნერგები“, „მშობლიურო ჩემო მიწავ!“. მისი ერთ-ერთი ბოლო ნამუშევარია „მაცხოვრის საფლავზე ანთებული სანთელი“, რომელიც ამჟამად რუსულ ენაზეა გახმოვანებული და ქართულ ენაზე გახმოვანებას უცდის.

მიუხედავად ასაკისა, კინორეჟისორი 86 წლისაა, იგი გაჩერებას არ აპირებს და აღნიშნავს, რომ იდეები ისევ მრავლად აქვს და, თუკი შესაძლებლობა მიეცემა, ახალ ფილმზე მუშაობას აუცილებლად დაიწყებს.

რეზო ჩხეიძის სავიზიტო ბარათად ქცეული ფილმი „ჯარისკაცის მამა“ არაერთი საერთაშორისო ჯილდოსა და პრემიის მფლობელია. რეჟისორის ნაყოფიერ მოღვაწეობას სპეციალური წიგნიც მიეძღვნა, რომელსაც მისმა ავტორებმა „რეზო ჩხეიძე – კინოს დიდ გზაზე“ უწოდეს. პროექტის ავტორია ნანა ჯანელიძე. წიგნი შეადგინეს ნანა ჯანელიძემ და ნინო ნატროშვილმა. კრებული ასახავს როგორც რეზო ჩხეიძის ბიოგრაფიას, ისე XX საუკუნის საქართველოს სულიერ და კულტურულ ცხოვრებას. წიგნი იძლევა ენციკლოპედიურ ცნობებს იმ მოვლენაზე, რასაც კინოსტუდია „ქართული ფილმი“ ერქვა. წიგნი მდიდარია ფოტოილუსტრაციებითა და კინოკადრებით როგორც რეზო ჩხეიძის ფილმებიდან, ასევე ქართული კინოკ-




ლასიკიდან, „აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“, „შერეკილები“, კინოფაკულტეტის სტუდენტური ფილმების კადრები და კინომსახიობთა თეატრის სპექტაკლების ფოტოებით. წიგნშია უამრავი ზუსტი ნოველა თუ ჩანახატი ცნობილ და უცნობ კინომოღვაწეებზე, მათზე, ვისაც მაყურებელი კარგად იცნობს და მათზეც, ვინც ყოველთვის კადრს გარეთ მუშაობს. რეზო ჩხეიძისადმი მიძღვნილი წიგნი გამოიცა ეროვნული კინოცენტრის ფინანსური მხარდაჭერით. ამ პროექტის განხორციელებაში ფინანსური მონაწილეობა მიიღეს ასევე კომპანია „მაგთიმ“ და ქართული ფილმის განვითარების ფონდმა. პროექტის პარტნიორები იყვნენ საქართველოს ეროვნული არქივი და „ქართული ფილმი“.

საქართველოს თეატრის, კინოს, მუსიკისა და ქორეოგრაფიის მუზეუმში გაიმართა სპეციალური გამოფენა, რომელიც რეზო ჩხეიძის იუბილეს მიეძღვნა. ამ ექსპოზიციაზე წარმოდგენილი იყო ყველა ის საინტერესო და მნიშვნელოვანი ექსპონატი, რომელიც კინორეჟისორის ცხოვრებას დამთვალიერებელს კიდევ უფრო ნათლად წარმოუსახავდა.

– რეზო ჩხეიძის ვარსკვლავის გახსნის დღედ თავდაპირველად 9 მაისი იმიტომ ავირჩიეთ, რომ ფაშიზმზე გამარჯვების დღეა და მისი ფილმი „ჯარისკაცის მამა“ ამ ომზეა გადაღებული. ფერადი „ჯარისკაცის მამის“ პრემიერა კინოთეატრ „რუსთაველში“ გაიმართა, მაგრამ ბატონი ოთარ მელვინეთუხუცესის გარდაცვალების გამო, ვარსკვლავის გახსნა არ შედგა, – აღნიშნა დათო ოქიტაშვილმა.

მისივე თქმით, ვარსკვლავების გახსნა ისევ მისი პრეროგატივაა. რაც შეეხება საკითხს, თუ როგორ არჩევს ვარსკვლავის გახსნის ნომინანტებს, დათო ოქიტაშვილი ამბობს:

– განა არსებობს კრიტერიუმი, რომლითაც რეზო ჩხეიძე უნდა ავარჩიო? ვის გავუხსნათ ვარსკვლავი, ამას მარტო დათო ოქიტაშვილი არ წყვეტს, ამას წყვეტს სპეციალური საბჭო. რეზო ჩხეიძის შემთხვევაში მოგვმართეს თხოვნით კინოკავშირმა და „ქართულმა ფილმმა“, რომ ბატონი რეზოს იუბილესთან დაკავშირებით გაგვეხსნა ვარსკვლავი, თან „ჯარისკაცის მამის“ ახალი ვერსია შეიქმნა და მის პრემიერასაც გვინდოდა დამთხვეოდა. რეზო ჩხეიძეს რომ ვარსკვლავი გავუხსენით, ვინ შეიძლება, ამის წინააღმდეგი წავიდეს? არასოდეს გამიხსნია ისეთი ადამიანის ვარსკვლავი, რომელიც დაბადებდა კითხვას, ეკუთვნოდა თუ არა ვარსკვლავის გახსნა.

კინოთეატრ „რუსთაველის“ წინ ჩოხოსნები იყვნენ შეკრებილი. მათი ხელმძღვანელის გოგი დოლიძის თქმით, კინომცოდნეობაში მისი პირველი ნაბიჯები სწორედ რეზო ჩხეიძესთან არის დაკავშირებული:

– რაც შემოვდგი ფეხი კინომცოდნეობაში, დავვაჟკაცდი რეზო ჩხეიძის კალთებქვეშ. ყველაფერს მისი ხელმძღვანელობით ვაკეთებდი, ის ჩემი მფარველი ანგელოზია. 1971 წელს, როცა ჩამომაგდეს ტრიბუნიდან და ლამის ციმბირში გადასახლებას მიპირებდნენ, სწორედ მან გადამარჩინა. მაბრალებდნენ ნაციონალისტობას და მოსკოვი მებრძოდა, არაფერს მიბეჭდავდა, მაგრამ ბატონი რეზო ყოველთვის გვერდში მედგა და ჩვენი ურთიერთობა და მეგობრობა დღესაც გრძელდება. ვულოცავ მას ვარსკვლავის გახსნას და კიდევ ბევრ შემოქმედებით წარმატებას ვუსურვებ.

ვარსკვლავის გახსნის ცერემონიალს ესწრებოდა რუსეთიდან საქართველოში დაბრუნებული ქართველი რეჟისორი თემურ ჩხეიძეც, რომელმაც განაცხადა:

– რეზო ჩხეიძემ მოახერხა და გადაიღო ისეთი ფილმები, რომლებიც მსოფლიო მნიშვნელობისაა. მან იმ ეპოქაში, როცა არ იყო ასეთი თავისუფლება, არც ახლაა, მოახერხა და უმაღლესი დონის სურათები გადაიღო. მისი კინოსამყარო საოცრად თავისებური, ღრმა და საინტერესოა. ვულოცავ ვარსკვლავის გახსნას, ეს ერთგვარი მადლიერებაა იმ მაყურებლისგან, რომელიც მის ფილმებზე გაიზარდა.

რუსთაველის თეატრის მსახიობმა კახი კავსაძეს რეზო ჩხეიძეს მეგობარი უწოდა და აღნიშნა, რომ მისი შემოქმედებითი გზა უდავოდ წარმატებულია:

– რეზო ჩხეიძე ჩემი მეგობარია, ის არის რეჟისორი ქართულ კინოსამყაროში, რომელსაც გამორჩეული ადგილი უკავია. მისი ფილმებით არაერთი თაობა გაიზარდა და ეს გაგრძელდება მომავალშიც. ვარსკვლავი – ეს არის სიმბოლური მადლიერება იმ ხელოვანის მიმართ, რომელიც ქართველ საზოგადოებას უყვარს. ძალიან ამაღელვებელია ეს მომენტი, რადგან თავადაც გამომიცდია და ვიცი, ეს როგორი ულამაზესი წუთებია. რეზო ჩხეიძე ნამდვილად აღიარებულია, მაგრამ ყველაზე დიდი აღიარება სწორედ შენი მაყურებლის სიყვარულია, რაც მას ნამდვილად არ აკლია.

რეჟისორის ვაჟმა, ასევე რეჟისორმა ბიძინა ჩხეიძემ განაცხადა:

– ქვეყანა ძალიან დიდია და ქვეყანა ძალიან პატარაა, ამავე დროს უაზროც და აზრიანიც, მსგავსი წარმატება კიდევ ერთხელ იძლევა იმის პირობას, რომ ამ ქვეყანაზე ღირს ცხოვრება, თუნდაც ასეთი დღისთვის, რა თქმა უნდა, ამაში ვარსკვლავის გახსნა იგულისხმება.

თავად ვარსკვლავოსანმა რეჟისორმა კი ჟურნალისტებს განუცხადა:

– ძალიან დიდი მადლობა ყველას, ვინც ამ ვარსკვლავის გახსნის ღირსად ჩამთვალა. საოცარი წუთებია, რომელიც არასოდეს დამავიწყდება. იმედს გაუმარჯოს, რადგან ადამიანს იმედის ყოველთვის სჯერა. ღმერთმა არ მოგვაკლოს იმედი უკეთესი მომავლისა, ბედნიერი ვარ და კიდევ ერთხელ დიდ მადლობას ვეუბნები ყველას.

# „შინმა“ სტუდენტებისთვის დაუკრა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

თველ მსმენელს უნიკალური და ინოვაციური პროექტი შესთავაზა, რომელიც „ბრავო რეკორდსთან“ ერთად სიდი ალბომის სახით გამოსცა.

პრეზენტაცია-კონცერტს ესწრებოდნენ საგანგებოდ მოწვეული სტუმრები – თეოდოსი სპასოვი, ბულგარელი კავალის ნამდვილი ოსტატი. ის ცნობილი „რივერდანსის“ ვარსკვლავური შემადგენლობის წევრი იყო; ილიას მირზაევი – თანამედროვე თურქული მუსიკის წამყვანი კომპოზიტორი, რომელსაც ასევე ეკუთვნის ამ პროექტის ყველა მუსიკალური ნაწარმოების არანჟირება; მას ერთობლივი პროექტები აქვს განხორციელებული მსოფლიოში ცნობილ მუსიკოსებთან; დანიელ მესინა – ცნობილი არგენტინელი „დრამერი“. ლათინური სტილის უბადლო შემსრულებელი.

ჯგუფის „შინ“ კონცერტის მთავარი რეჟისორია დავით დოიაშვილი, ხმის მთავარი რეჟისორი – აჰიმ ჰუბერი (გერმანია), ქორეოგრაფი – ალექსანდრა ევტიმოვა (მაკედონია), მოცეკვავეები – საბალეტო დასი ნინო ანანიაშვილის ხელმძღვანელობით.

როგორც ალბომის პრეზენტაციაზე ითქვა, სიდი ალბომი და მასში შესული 11 მუსიკალური ნაწარმოები უკვე გაყიდვაშია. მისი შეძენა შესაძლებელია 26 მაისიდან „ბრავო რეკორდსის“ სადისტრიბუციო ქსელის მაღაზიებში და ალბომის ფასი 20 ლარია.

– ეს არის „ბრავო რეკორდსისა“ და ჯგუფის „შინ“ ერთობლივი პროექტი – „არაჩვეულებრივი გამოფენა“ და მასში მსოფლიოში ცნობილ უცხოელ კომპოზიტორებთან ერთად გია ყანჩელის შემოქმედებაც არის გაერთიანებული. გასული წლის დეკემბერში ქალაქ რიგის კონგრესჰოლში ჯგუფი „შინ“ ახალი და მეტად ორიგინალური მუსიკალური პროექტით წარდგა ლატვიელი მსმენელის წინაშე. ლატვიური პროექტის კონცეფცია აგებული იყო იმ მუსიკალურ ნაწარმოებებზე, რომლებმაც უდიდესი ზეგავლენა მოახდინა ჯგუფის თითოეული წევრის დამოკიდებულებაზე ზოგადად მუსიკის მიმართ. ანუ პრაქტიკულად ეს მუსიკალური პროექტი არის ერთგვარი მიძღვნა იმ მუსიკოსებისადმი, რომლებმაც განაპირობეს ჯგუფ „შინის“ წევრების მუსიკალური მსოფლმხედველობა და კრედო. სწორედ ამიტომაა პროექტის სახელწოდება „არაჩვეულებრივი გამოფენა“. პროექტში თავმოყრილია გია ყანჩელის, ჩიკ კორეას, ხოაკინ როდრიგოს, მაიკლ სტერნის, მაილს დევისის და, რაღა თქმა უნდა, ქართული ხალხური მუსიკის მოტივები, რომლებიც „შინის“ წევრებმა ლიეპაის სიმფონიურ ორკესტრთან ერთად ახლებური ინტერპრეტაციით შესთავაზეს ლატვიელ მსმენელს. პროექტის ძირითადი ნაწილი გია ყანჩელის მუსიკალურ თემებს მიეძღვნა, რაც ჯგუფის თითოეული წევრის მხრიდან უდიდეს პატივისცემასა და დაფასებას გამოხატავს ლეგენდარული ქართველი მაესტროს მიმართ. სიმფონიური ორკესტრის გარდა, პროექტში მონაწილეობდნენ ლატვიელი ბექ ვოკალისტები და ლატვიის თანამედროვე ბალეტის მსახიობები. პროექტი იმდენად წარმატებული აღმოჩნდა, რომ „ბრავო რეკორდსისა“ და ჯგუფის „შინ“ ერთობლივი გადაწყვეტილებით, დაიგეგმა პროექტის სიდი ალბომად გამოცემა საქართველოში. გარდა ალბომის გამოცემისა, მოეწყო პროექტის თბილისური პრეზენტაცია, რომელიც კონცერტის სახით თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრმა წარმოადგინა. კონცერტი საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს მიეძღვნა და 26 მაისს დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართა, – განმარტა კულტურის მინისტრის მოადგილემ.

ლატვიური პროექტისაგან განსხვავებით, ჯგუფის „შინ“ ახალ პროექტზე იმუშავეს თბილისის სიმფონიურმა ორკესტრმა ვატო კახიძის ხელმძღვანელობით, თბილისის კონსერვატორიის ვოკალურმა კვარტეტმა და ნინო ანანიაშვილის საბალეტო დასმა. სპეციალურად ამ პროექტისათვის მოწვეულ იქნენ ცნობილი უცხოელი სესიური მუსიკოსები: ხორხე პარდო (ესპანელი ფლეიტისტი რომელიც პაკო დე ლუსიასთან და ჩიკ კორეასთან ერთად არა ერთ პროექტზე მუშაობდა), ილიას მირზაევი (თანამედროვე თურქული მუსიკის წამყვანი კომპოზიტორი, რომელსაც ასევე ეკუთვნის ამ პროექტი ყველა მუსიკალური ნაწარმოების არანჟირება), ნორმუნდ შნე (ლატვიელი ჰობოისტი და დირიჟორი, რომელიც რამდენიმე პროექტზე ჯოზეფ ზავინულთან მუშაობდა). სპეციალურად ამ პროექტისათვის ასევე მოწვეულნი იქნენ ხმის მთავარი ინჟინერი, გერმანელი აჰიმ ჰუბერი და ქორეოგრაფი, მაკედონიელი ალექსანდრა ევტიმოვა.

– პროექტის მუსიკალური კონცეფცია და სხვადასხვა ქვეყნიდან მოწვეული ხელოვანების ჩართულობა ხაზს უსვამს პროექტის მასშტაბურობასა და მრავალფეროვნებას, რაც თავის მხრივ კულტურათა დიალოგის ერთგვარი გამოხატულებაცაა. ჯგუფის ალბომში შევიდა 11 მუსიკალური ნაწარმოები. სტუდიური ჩაწერები „ბრავო რეკორდსის“ სტუდიაში აპრილში დაიწყო და ერთი თვის განმავლობაში გაგრძელდა. პარალელურად განხორციელდა მუშაობა მუსიკოსების იმიჯზე და ჩამოყალიბდა ალბომის დიზაინის კონცეფცია, – აცხადებენ ჯგუფის წევრები.

როგორც „ბრავო რეკორდსში“ ამბობენ, მიმდინარეობს მოლაპარაკებები და შესაძლოა მომავალში ჯგუფი „შინ“ გახდეს „ბრავო რეკორდსის“ სიგნედ მუსიკალური ჯგუფი, რაც იმას ნიშნავს, რომ ჯგუფის შემდგომ გრძელვადიან მუსიკალური კარიერის მენეჯმენტს მუსიკალური ბიზნესკომპანია „ბრავო რეკორდსი“ განახორციელებს.

## კროსვორდი ბ



**შვეულად**: 1. სამრეწველო რაიონი უკრაინაში; 2. საქართველოს კალათბურთელთა ნაკრების მწვრთნელი; 3. ლიტერატურული ან მეცნიერული ნაშრომის კრიტიკული შეფასება; 4. ბოსტნეული მცენარე; 5. დენის ძალის საზომი ერთეული; 9. კუნთების კრუნჩხვითი შეკუმშვა; 11. გემის ან თვითმფრინავის დაქირავება გარკვეული ვადით ან პირობით; 12. სითხეების, აირების მინარევებისგან გამწმენდი საშუალება; 14. მე-17 საუკუნის გერმანელი ასტრონომი; 18. მდინარე ვოლგის არაბული სახელწოდება; 19. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ირანის ნავსადგური სპარსეთის ყურეში.

**თარაზულად**: 4. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი ვანის რაიონში; 5. მრავალადგილიანი თანამედროვე სამგზავრო თვითმფრინავი; 6. ჩოგბურთის პარტიის ნაწილი; 7. შემოსავლის ამღები კომბაინის წინა სამკელი ნაწილი; 8. გეომეტრიული ფიგურა; 10. ნავსადგური ყირიმში; 13. ალუბლის ერთ-ერთი ჯიში, იაპონიის სიმბოლო; 15. სახელმწიფო არაბეთის ნახევარკუნძულზე; 16. შტატი აშშ-ში; 17. საცხენოსნო შეჯიბრება; 20. პატარა სასაუზმე გერმანიაში; 21. მთიანეთი აზიაში; 22. უნგრელი მოჭადრაკე დების გვარი; 23. სამხედრო ფორმის ქურთუკი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. კაბერნე; 2. ტალეირანი; 3. სინდრომი; 4. სკუტერი; 5. სუმიდა; 9. კრისტი; 11. დიადემა; 12. ლეკები; 14. ბაღდათი; 18. არესი; 19. გუამი.

**თარაზულად:** 4. სედანი; 5. სელადონი; 6. ჯილდა; 7. პუდრეტი; 8. ვერიკო; 10. მდადი; 13. ნაბადი; 15. რუზინე; 16. მადა; 17. რიწა; 20. დურუჯი; 21. ტიფანი; 22. მესხეთი; 23. მთვარე.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ჯეკი; 2. ირი; 3. რაფინადი; 4. პო; 5. კანონადა; 6. ჯარა; 7. ქაშვეთი; 10. ბარი; 11. სიურპრიზი; 12. ვალმარტი; 13. ფეტა; 16. ტროფეი; 18. სალიამი; 19. ასორტი; 21. სტილი; 24. დაზგა.

**თარაზულად:** 1. ჯამბაზი; 3. როკაპი; 8. ლამარა; 9. კობე; 14. არავა; 15. სევანი; 17. ლუზა; 20. დეპეშა; 22. დვალი; 23. სლაიდი; 25. ლია; 26. ფინო; 27. ჩილე; 28. ზანზალიკი.

**ყურადღება!**

ერაყის მოქალაქე ფავზი მინამ აბიდ ალრიზაკ ალაბრაშიმ, დაბადებულმა 1956 წლის 30 მაისს, საქართველოში მოგზაურობის დროს დაკარგა პასპორტი.

გთხოვთ, მპოვნელი დაგვიკავშირდეს ნომერზე: 597919813.

# „მზის ფესტივალი“ „მზიურში“ გაიმართება

ეკა ირემაშვილი

პირველ ივნისს ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს „მზიურში“ „მზის ფესტივალი – ჩვენ ვხედავთ მზეს“ „ჯეოსელთან“ ერთად გაიმართება. ფესტივალის იდეის ავტორი და ორგანიზატორია საინიციატივო ჯგუფი ანა გოგუაძის ხელმძღვანელობით.

„შესაძლებლობები შეუზღუდავია“ – ასეთია წლევანდელი ფესტივალის დევიზი. როგორც ფესტივალის დამფუძნებელი ანა გოგუაძე აღნიშნავს, ფესტივალი წლიდან წლამდე სულ უფრო მასშტაბური ხდება და იგი ბავშვთა სახლებში მცხოვრები პატარებისთვის დღესასწაულის მოწყობას გულისხმობს.

– პირველ ივნისს ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, „მზიურში“ გაიმართება ყოველწლიური „მზის ფესტივალი – ჩვენ ვხედავთ მზეს“. პროექტის ფარგლებში დაგეგმილია სხვადასხვა სახის გასართობი და საბავშვო ღონისძიებები. ფესტივალი, რომელიც წელს უკვე მერვედ ტარდება, განკუთვნილია ყველა ბავშვისთვის, მიუხედავად მათი ფიზიკური შესაძლებლობებისა და სოციალური სტატუსისა. „შესაძლებლობები შეუზღუდავია“ ამ სლოგანით უკვე მესამე წელია, ფესტივალს „ჯეოსელი“ შეუერთდა, – აცხადებს ფესტივალის ხელმძღვანელი.

კომპანია ტრადიციას არ არღვევს, ის ანას პროექტების აქტიური მეგობარი და თანაორგანიზატორია. ფესტივალზე დასწრება თავისუფალია. ღონისძიების სპეციალური სტუმრები არიან ბედიანის ბავშვთა სახლების მზრუნველობამოკლებული ბავშვები.

– ჩვენი ფესტივალის მიზანია, „მზიური“ თუნდაც ერთი დღით ნოდარ დუმბაძის ოცნების ქალაქად იქცეს, ადგილად, სადაც ბავშვების ჟრიამული არ წყდება და სადაც ყველა ბავშვი თავს ბედნიერად გრძნობს. ამავე ფესტივალის მთავარი ამოცანაა მზრუნველობას მოკლებული ბავშვების საზოგადოებასთან ინტეგრაცია, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების საზოგადოებასთან ინტეგრაცია და საზოგადოების ცნობიერების ამაღლება, – ამბობს ანა გოგუაძე.

მისივე თქმით, ყველაფერი ერთი ჩვეულებრივი დღით დაიწყო:

– ხომ შეიძლება, რომ ნოდარ დუმბაძის მიერ დაარსებულ მზიურ ქალაქში 1 დღე მაინც იყოს ისეთი, როგორზეც მწერალი ოცნებობდა? ყველა იღიმებოდეს, ბავშვების ჟრიამული ისმოდეს, ყველა უფროსი ბავშვობაში დაბრუნდეს. ყველა ბედნიერი იყოს თუნდაც ერთი დღით მაინც. „ჩვენ ვხედავთ მზეს!“ ჩვენ ყველანი ერთად ვხედავთ დუმბაძის მზეს და პირველ ივნისს ყველასთვის ვაწყობთ ზეიმს! ორგანიზატორებისა და პარტნიორების მონდომებით ყოველი წლის პირველ ივნისს „მზიური“ მართლაც ბავშვთა ქალაქია. ამ დღეს არ არსებობს სხვაობა, ყველას მზის სითბო აერთიანებს და თუნდაც ერთი დღით ხდის ბედნიერს. პირველი ივნისის ღონისძიებებს შორის ჩვენს ქალაქში „მზის ფესტივალს“ ანალოგი არ აქვს მასშტაბურობის, დატვირთვისა და შინაარსის თვალსაზრისით, ამიტომ პროექტს ყოველთვის დიდ გამოხმაურება ჰქონდა. ეს მართლაც გამორჩეული პროექტია რადგან „მზიურში“ ამ დღეს, უხარია დიდსა და პატარას. ხშირად დაწერილა ჩვენს პროექტზე, რომ მართლაც ყველა უდარდელ ბავშვობას დაუბრუნდა, ამიტომაც ყველას გელოდებით პირველ ივნისს 13:00 საათიდან „მზიურში“ „მზის ფესტივალზე – ჩვენ ვხედავთ მზეს!“. და ბოლოს, მთელი ჩვენი ღონისძიების უმთავრესი სათქმელი ისევ ნოდარ დუმბაძის მიერ „მარადისობის კანონში“ არის დაწერილი: „როგორც ჩანს, ერთი მძიმე ავადმყოფობა ყველა ადამიანმა უნდა გადაიტანოს ცხოვრებაში, რომ მთელ თავის განვლილ ცხოვრებას ანალიზი გაუკეთოს და მის მიერ განვლილი გზა ხელმეორედ გაიაროს. უკვე დადინჯებული გონებით. მარადისობის კანონის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანის სული გაცილებით უფრო მძიმეა, ვიდრე სხეული, იმდენად მძიმე, რომ ერთ ადამიანს მისი ტარება არ შეუძლია, ამიტომ, ვიდრე ცოცხლები ვართ, ერთმანეთს ხელი უნდა შევაშველოთ და ვეცადოთ, როგორმე უკვდავვყოთ ერთმანეთის სული; თქვენ ჩემი, მე სხვისი, სხვამ სხვისი და ასე დაუსაბამოდ, რამეთუ იმ სხვისი გარდაცვალების შემდეგ არ დავობლდეთ და მარტონი არ დავრჩეთ ამ ქვეყანაზე“, – ამბობს ფესტივალის ხელმძღვანელი.

ყოველწლიური საბავშვო ღონისძიება „მზის ზეიმი“ პირველად 2006 წლის პირველ ივნისს ბავშვთა საერთაშორისო დაცვის დღეს ჩატარდა და წელს უკვე მერვედ გაიმართება. 2009 წლიდან ფესტივალი უფრო მასშტაბური გახდა და მას ახალი სახელი „მზის ფესტივალი – ჩვენ ვხედავთ მზეს“ ეწოდა. წლების მანძილზე ფესტივალს სხვადასხვა ბავშვთა სახლის აღსაზრდელები სტუმრობდნენ, მათ შორის, გლდანის, ახალგორის, წყნეთის, კოჯრის, ბოდბის, წეროვნის, ზესტაფონის ბავშვთა სახლები.

– რაც მთავარია, ეს დღე წარმოუდგენელია ფორუმ.ჯი-ს გარეშე, 2006 წლიდან მოყოლებული, ყოველ წელს ფესტივალის საინიციატივო ჯგუფის წევრები თავად ფორუმელები არიან. წელს პირველად გაიმართება „ნევერლენდის“ სპექტაკლი, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების მონაწილეობით. სცენარი სპეციალურად შეიქმნა ფესტივალისთვის. ინკლუზიური სპექტაკლი ხელს შეუწყობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების საზოგადოებაში ინტეგრირებას, რაც, თავის მხრივ, აამაღლებს საზოგადოების ცნობიერებას ბავშვების შესაძლებლობებთან დაკავშირებით, – განმარტავს ანა გოგუაძე.

უკვე ცნობილია საფესტივალო პროგრამაც: ფესტივალს გახსნის „ნევერლენდის“ კარნავალი, მთელი დღის განმავლობაში მზიურის ტერიტორიაზე ბავშვებს გაართობს მზიურის თოჯინა მზე და სხვადასხვა ზღაპრის გმირები, ფორუმელები პატარა სტუმრებს საღებავებით მოხატავენ და მათ მზეებს დაახატავენ, ნებისმიერ ბავშვს შეეძლება ფერადი ცარცებით ხატვა პარკის ტერიტორიაზე, გაიმართება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების ხელნაკეთი ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა, მხატვარ ნინო ჩაკვეტაძის ილუსტრაციების გამოფენა, გათამაშდება „ნევერლენდის“ სპექტაკლი „დაკარგული სხივი“, ზალიკო სულაკაურის სამხატვრო სტუდია საკუთარ ნამუშევრებს მთელი „მზიურის“ ტერიტორიაზე გამოფენს, საფესტივალო პროგრამაშია ილუზიონისტის წარმოდგენა, სოს ბავშვთა სოფლის „მხიარული ავტობუსი“ და დასკვნით კონცერტს „ბასტი ბუბუ“ გამართავს.

წლევანდელ ფესტივალს ბედიანის ბავშვთა სახლების აღსაზრდელები ესტუმრებიან. „მზის ფესტივალი“ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსა და ქალაქის მერიის მხარდაჭერით გაიმართება.

# ბაშარ ასადი: „რუსეთისგან საზენიტო-სარაკეტო კომპლექსები მივიღეთ“



სირიის პრეზიდენტმა ბაშარ ასადმა არაბულ ტელეარხთან „ალ მანართან“ საუბარში განაცხადა, რომ მისმა ქვეყანამ რუსეთისგან საზენიტო-სარაკეტო კომპლექსების „ს 300“ -ის პირველი პარტია მიიღო.

მისივე თქმით, სამხედრო ტექნიკის შემდეგი პარტია ძალიან მალე ჩავა სირიაში.

ამასთან ერთად, ასადმა დაადასტურა, რომ მომავალში სირია ისრაელიდან მომავალ ყველა იერიშს პასუხს გასცემს.

შეგახსენებთ, რომ ისრაელის თავდაცვის მინისტრმა განაცხადა, რომ რუსეთის მიერ სირიისათვის სარაკეტო კომპლექსების მიწოდება – ეს ჯერ ჯერობით მხოლოდ მუქარაა. მან განაცხადა, რომ შეთანხმება არ სრულდება და მიწოდება ჯერ დაწყებული არ არის. „მაგრამ თუ მათ ეს გააკეთეს, ჩვენ ვიცით როგორ უნდა მოვიქცეთ“, – აცხადებდა ისრაელის თავდაცვის მინისტრი. სირიის თავისუფალი არმიის ხელმძღვანელმა კი, რომელიც მეამბოხეების მთავარ ძალას წარმოადგენს, ბი-ბი-სისათვის მიცემულ ინტერვიუში ლიბანური რადიკალური მოძრაობა „ჰეზბოლას“ მებრძოლები სირიაში შეჭრაში დაადანაშაულა.

გენერალ სელიმ ირდისის თქმით, 7000 მეტი მებრძოლი ქალაქ ქუსეირზე თავდასხმაში იღებდა მონაწილეობას.

საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ინფორმაციით, „ჰეზბოლას“ მებრძოლების რაოდენობა 3000-4000 კაცს შეადგენს. ირდსიმა დასავლეთის ქვეყნებს დახმარებისათვის მიმართა: „ჩვენ ვიღუპებით, მოდით და დაგვეხმარეთ“.

გენერლის თქმით, ქუსეირს მხოლოდ 1500 ადამიანი იცავს, რომელთაც მწირი შეიარაღება გააჩნიათ. ქალაქში მთლიანად 50 000 ადამიანი ცხოვრობს, ირდისის თქმით, ქუსეირის დაცემის შემთხვევაში ისინი „სისხლიანი ბრძოლის“ მსხვერპლნი გახდებიან.

ამ ფონზე, სირიის ეროვნულმა კოალიციამ დაასახელა ის პირობები, რომელთა შესრულების შემთხვევაშიც სირიის კონფლიქტის დარეგულირების მიზნით ჟენევაში დაგეგმილ საერთაშორისო კონფერენციაში მიიღებს მონაწილეობას. ამის შესახებ ინფორმაციას სააგენტო „როიტერი“ ავრცელებს.

ოპოზიციური ძალები მოითხოვენ, რომ კონფერენციის ფარგლებში დასახელდეს კონკრეტული ვადები ქვეყანაში მიმდინარე კონფლიქტის დასრულებასა და ბაშარ ასადის გადადგომასთან დაკავშირებით. ეროვნული კოალიციის მიერ გავრცელებულ განცხადებაში ასევე ნათქვამია, რომ სირიის ოპოზიციური ძალა მიესალმება საერთაშორისო თანამეგობრობის ძალისხმევას კონფლიქტის პოლიტიკური გზით დასასრულებლად. კონფლიქტის დასრულების უმთავრეს პირობად კოალიცია ბაშარ ასადის, მისი რეჟიმის მაღალი თანამდებობის პირების, უმაღლესი მთავარსარდლობისა და ქვეყნის უსაფრთხოების ძალების წასვლას ასახელებს.

შეგახსენებთ, რომ სირიაში ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის მიმდინარე კონფლიქტის დარეგულირებისა და სამშვიდობო პროცესის დაწყების მიზნით, ამერიკის შეერთებული შტატები და რუსეთის ფედერაცია საერთაშორისო კონფერენციის მოწვევაზე შეთანხმდნენ. კონფერენცია ჟენევაში გაიმართება და მასში მონაწილეობის სურვილი უკვე გამოთქვა მრავალმა ქვეყანამ, მათ შორისაა ოფიციალური დამასკო.

ამასთან, გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის საბჭო სირიის სახელისუფლებო ჯარების მიერ ქალაქ ქუისერზე განხორციელებულ იერიშსა და სამხედრო ოპერაციების დროს საზღვარგარეთ დაქირავებული მეომრების გამოყენების ფაქტს გმობს. ამის შესახებ საუბარია საბჭოს მიერ მიღებულ სპეციალურ რეზოლუციაში.

საბჭომ რეზოლუცია 36 ხმით ერთის წინააღმდეგ მიიღო. საბჭოს 8 წევრმა თავი შეიკავა ხმის მიცემისგან. რეზოლუციის წინააღმდეგ მხოლოდ ვენესუელის დელეგაცია გამოვიდა. სირიის ხელისუფლების მხარდამჭერმა რუსეთის ფედერაციამ, რომელსაც წელს საბჭოს მუშაობაში ხმის უფლება არ აქვს, რეზოლუციას ცალმხრივი და ოდიოზური უწოდა.

ლიბანის რადიკალური შიიტური მოძრაობა „ჰეზბოლა“ ღიად აცხადებს, რომ მხარს უჭერს სირიის მოქმედ ხელისუფლებას. „ჰეზბოლას“ წევრები აქტიურად მონაწილეობდნენ ქუსეირზე განხორციელებულ იერიშშიც. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ბაშარ ასადის რეჟიმის სასარგებლოდ კონფლიქტში ერაყელი შიიტებიც აქტიურად არიან ჩართული.

გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს მიერ მიღებული რეზოლუცია, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატებისა და თურქეთის მხარდაჭერით, ყატარის ინიციატივას წარმოადგენს, მკაცრად მოითხოვს, რომ გაეროს ჰუმანიტარულ სააგენტოებს მიეცეთ ყველანაირი საშუალება, მოსახლეობას აღმოუჩინონ ჰუმანიტარული დახმარება.

# საფრანგეთში ოფიციალურად პირველად ერთსქესიანი ქორწინება დარეგისტრირდა




საფრანგეთში ოფიციალურად, კანონის მიღებიდან პირველად, პირველი ერთსქესიანი ქორწინება დარეგისტრირდა. ორი მამაკაცის ქორწილი მონპელიეში გაიმართა. გავრცელებული ინფორმაციით დაქორწინდნენ: გეი აქტივისტი ვენსან ოტენი და ჩინოვნიკი ბრუნო ბუალო. ცერემონიალი ქალაქის მერმა ჩაატარა.

ქორწილს თითქმის 1000 ადამიანი ესწრებოდა – მეგობრები, პოლიტიკოსები, აქტივისტები, ჟურნალისტები. ქორწინების ცერემონიალს რამდენიმე ათეული პოლიციელი იცავდა. ცერემონიალს ასევე ესწრებოდა მთავრობის პრესმდივანი ნაჟა ვალლო-ბელკასემი.

შეგახსენებთ, რომ მცირე ხნის წინ საფრანგეთის პრეზიდენტმა ფრანსუა ოლანდმა ერთსქესიანი ქორწინებების ლეგალიზაციის შესახებ კანონს ხელი მოაწერა. აღნიშნულმა დოკუმენტმა მწვავე საზოგადოებრივი რეაქცია გამოიწვია.

ხოლო ფრანგმა მემარჯვენე ისტორიკოსმა, 78 წლის დომინიკ ვენერმა, პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის წინ თავი მოიკლა. სიკვდილამდე ისტორიკოსი აცხადებდა, რომ საფრანგეთში ერთსქესიანთა ქორწინების წინააღმდეგ რადიკალური ზომები უნდა მიეღოთ.

ადგილზე ქვეყნის შინაგან საქმეთა მინისტრი მივიდა, მანუელ ვალსის თქმით: „ნოტრ-დამი პარიზის ულამაზესი ადგილია. ჩვენ ყველაფერი უნდა ვიღონოთ მსგავსი ფაქტების თავიდან ასაცილებად“.

ვენერმა სამშაბათს საკუთარ ბლოგზე დაწერა, რომ ძალიან გაბრაზებული იყო ქვეყანაში ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონების გამო, რასაც „საზიზღარი“ ფაქტი უწოდა. შეგახსენებთ, რომ მიუხედავად მასობრივი საპროტესტო გამოსვლებისა, საფრანგეთი მსოფლიოში მე-14 ქვეყანა გახდა, სადაც ერთსქესიანთა ქორწინება დაკანონდა.

# გერმანია ჰოლოკოსტის დაზარალებულებს მილიარდ დოლარს გადაუხდის



გერმანია ჰოლოკოსტის დაზარალებულებს მილიარდ დოლარს გადაუხდის. ამის შესახებ გერმანიის წინააღმდეგ ებრაელთა მატერიალური პრეტენზიების ასოციაციის ოფიციალურ საიტზეა ნათქვამი. ამ თანხას გერმანიის ხელისუფლება ყოველწლიური კომპენსაციების სახით 2017 წლამდე გადაიხდის.

გერმანიის ხელისუფლება, ასოციაციასთან მოლაპარაკებების შედეგად, 2014 წელს – 185 მლნ დოლარის გადახდას დათანხმდა, 2015 წელს – 266 მლნ დოლარის, 2016 წელს – 273 მლნ დოლარის, ხოლო 2017 წელს – 280 მლნ დოლარის. ამას გარდა, გერმანიის ხელისუფლება მზადაა გამოყოს დამატებითი სახსრები იმ ებრაელთა მატერიალური დახმარებისთვის, რომლებიც ე.წ. ღია გეტოებში ცხოვრობდნენ.

ასოციაცია გერმანიის ხელისუფლების მიერ გადახდილ თანხას, მთელი მსოფლიოს მასშტაბით ჰოლოკოსტის 56 ათას მსხვერპლს შორის გაანაწილებს. ორგანიზაცია ამას გარდა, კიდევ 90 ათას ებრაელს მედიკამენტებითა და სხვა აუცილებელი საშუალებებით ეხმარება

ჰოლოკოსტის სახელით ცნობილია მეორე მსოფლიო ომის პერიოდში გერმანიის ნაცისტური ხელისუფლების და მისი მოკავშირეების მიერ განხორციელებული ებრაელების, ასევე ბოშების, ჰომოსექსუალების და სხვა უმცირესობების მასობრივი გენოციდი. განადგურებული იქნა 6 მილიონზე მეტი ებრაელი. მოკლული საბჭოთა სამხედრო ტყვეების, პოლონელი ინტელექტუალების და სხვების გათვალისწინებით, მსხვერპლის რიცხვი გაცილებით დიდია.

გაეროს გენერალური ასამბლეა 2005 წლის 21 ნოემბრის რეზოლუციით უარყოფს ნებისმიერ მთლიან ან სანახევროდ უარყოფილ ჰოლოკოსტს, როგორც მოვლენას. 2007 წლის 26იანვარს კი, ჰოლოკოსტის მსხვერპლთა ხსოვნის საერთაშორისო დღის წინა დღით, გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია, ჰოლოკოსტის, როგორც ისტორიული ფაქტის გასამართლებისა. დოკუმენტს 192 გენასამბლეის წევრთაგან 103 ქვეყანა დაეთნხმა.

მოამზადა გერა მამულაშვილმა

# TV პროგრამა

**პარასკევი 31 მაისი**

06.30 „მოამბე“ (აფხაზურ“ ოსურ“ სომხურ“ აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 „ჩვენი დილა“ (პ/ე) 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 02.30 „მოამბე“ 11.00 „სამოთხის ვაშლები“ (პ/ე) 12.45 „პირადი ექიმი“ — მარი მალაზონია (პ/ე) 13.30 „დღეს ორის ნახევარზე“ 15.00 ტ/სერ „ნიკოლა ლე ფლოკი“ 17.00 დ/ფ „სამხედრო საზღვაო ავიაცია“ 18.00 „პეპე და მეგობრები“ 19.05 ტ/სერ „სიყვარული და შურისძიება“ 20.30 ფეხბურთი. კახი კალაძის გამოსამშვიდობებელი მატჩი. (პ/რ „დინამო“ არენიდან) 23.00 „წითელი ზონა“ 00.00 მხ/ფ „მოკალი მონსტრი პირველ გვერდზე“ (ტიტ.) (დრამა. რეჟ: მ.ბელოკიო)

08.00 „მოამბე“ (აფხაზურ“ ოსურ“ სომხურ“ აზერბაიჯანულ“ რუსულ ენებზე) 09.00, 19.00 „თავისუფალი ტრიბუნა“ 10.00, 20.00 „ბრიფინგის დრო“ 11.00 „არგუმენტების დრო“ (ხუთშ. გ/ჩვ) 12.00 საქართველოს პარლამენტის სხდომის ტრანსლაცია 00.00 „მოამბე“ (აფხაზურ“ ოსურ“ სომხურ“ აზერბაიჯანულ“ რუსულ ენებზე)

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. „დაუვიწყარი“ 11.20 სერ. „მაფიის ქვრივი“ 12.30 იმედის დღე (პ/ე) 14.40 ახალი საბავშვო ხმა (გ/ჩ) 17.50 სერ. „მაგნატები“ 18.50 სერ. „აკრძალული სიყვარული“ 21.00 სერ. „მარტოსული“ 22.00 თოქ შოუ – ღია ეთერი 00.15 მხ/ფ „დევნილი“ (ტ.ლი ჯონსი) 02.00 მუსიკა

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. „სიყვარული მშვენიერია“ 11.00 სერ. „იდუმალი ქალი“ 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 „შუა დღე“ 15.30 ეკი ვოკი (გ/ჩ) 17.00 სერ.„ვნების უფსკრული“ 18.45 სერ. „ცრემლების გვირგვინი“ 20.05 სერ „ერთგულების ძალა“ 20.50 ეროვნული ლატარეა 22.00 პოზიცია 23.00 ვანოს შოუ 01.00 მხ/ფ 03.00 კურიერი დაიჯესტი კლიპები

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ „ველური ბუნება“ 06.35 მხ/ფ „საბრალონი“ II სერ. 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 „განთიადი“ 10.00, 18.05, 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.30 დოკ/ფ „უბისა“ 10.55 მოკ/ფ „ოთხი შარვალი და ერთი ჩითის კაბა“ 11.25 დოკ/ფ „საქართველო ჩვენია,გაიგე რუსო’ 11.45 ქრისტიანული სწავლება 12.05 ამინდი 12.10 მხ/ფ „თუში მეცხვარე“ II სერ. 13.30 შუადღე ერთსულოვნებაზე 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დეკორატიული ფლორა 15.45 დოკ/ფ „ველური ბუნება“ 16.10 საუბრები ლიტერატურაზე 16.40 კონცერტი - ზ.ფალიაშვილი „ლატავრა“ (დირიჟორი ი. ჩოლოყაშვილი) 18.10 დიდ ხარ შენ, უფალო 18.35 ფოტოგალერეა 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 18.55, 00.25 ისტორიის დღიური 19.20 მხ/ფ „თუში მეცხვარე“ III სერ. 20.40 ძილი ნებისა 21.20 ლექსით ქებათა ქება 21.30 მოგზაურობა სამშობლოში 22.25 ქრისტიანული ხელოვნება 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ/ფ „ვარდისფერი კაცი“ 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 კვირიაკე 02.00 ჩვენი ბიბლიოთეკა

მაესტრო 7.00, 1.00, 3.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.30 მულტფილმი 8.00, 9.15 მაღვიძარა 9.00 ახალი ამბები 11.00, 14.30, 17.00, 22.20, 0.30 მაგთიფანი 11.30 აბები (გამ.) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 12.50, 23.00, 3.30 თოქ—შოუ - „პოლიტმეტრი“ 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 16.00 პრესკლუბი 16.30 „მონიტორის/ჟურნალისტური გამოძიება (გამ.) 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 18.05, 2.00, 6.00 თოქშოუ „სუბიექტური აზრი“ 19.00 სერიალი „სიყვარული და სასჯელი“ 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.00, 1.30, 5.30 „ყოველდღიური აბები“

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**31 მაისი**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1,6418 |
| ევრო | 2,1224 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 2,4711 |
| 100 რუსული რუბლი | 5,2087 |

## ამინდის პროგნოზი 31 მაისისთვის





## 29 მაისიდან

## ჟურნალ „სარკესთან“

ერთად

**მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები**




**ტომი 3**

**ბრაზილიური ზღაპრები**

**უკვე გამოსულია:**

ტომი 1. ამერიკული ზღაპრები

ტომი 2. ჩეხური ზღაპრები

**გამოსაცემად მზადდება:**

ტომი 4. ფრანგული ზღაპრები


## ასტროპროგნოზი 31 მაისისთვის

ყველამ გაითვალისწინეთ! წარმატებული დღეა

**ვერძი** – ფული გაქვთ, პრობლემა არ გაწუხებთ. **კურო** – სახლში დიდი სიხარული გელით. **ტყუპები** – ის საქმე აკეთეთ, რაც მოგწონთ. **კირჩხიბი** – ახალი საქმე გაამართლებს, ფულიც გექნებათ. **ლომი** – რომანტიკული შეხვედრა კარგ ხასიათზე დაგაყენებთ. **ქალწული** – ახალი პერსპექტივები გადაგეშლებათ, ფულიც გექნებათ. **სასწორი** – იმიჯის შეცვლა არ არის ცუდი, იფიქრეთ ამაზე. **მორიელი** – თქვენი საქმე კარგად წავა, იაქტიურეთ. **მშვილდოსანი** – არ აყვეთ პროვოკაციას, თქვენთვის იყავით. **თხის რქა** – იაქტიურეთ, მაგრამ ზედმეტი არ მოგივიდეთ. **მერწყული** – ჰარმონიული დღეა, საქმე კარგად წაგივათ. **თევზები** – ყური მიუგდეთ ინტუიციას, ის არ გიღალატებთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი

**შვეულად**: 1. დავით კლდიაშვილის „დარისპანის გასაჭირის“ პერსონაჟი; 2. მართალი, პატიოსანი ადამიანი; 3. მონასტერი რაჭაში; 4. იტალიის ფეხბურთელთა გუნდი; 5. საფოსტო გზავნილი; 9. ნიადაგის ღრმად გამაფხვიერებელი კულტივატორი; 12. დიპლომატიური კორპუსის მეთაური რომელიმე ქვეყანაში; 14. პისტოლეტის ჩასადები ტყავის ბუდე; 15. ფრანგული ავტომობილი; 17. კარჩაკეტილი საზოგადოებრივი დაჯგუფება; 18. ხორვატიის კუნძული ადრიატიკის ზღვაში, პოპულარული საკურორტო ზონა.

**თარაზულად**: 6. მოდელების სააგენტო თბილისში; 7. პროფესიონალი მოცეკვავე ქალი ინდოეთში; 8. ჰოლივუდის კინორეჟისორი; 10. ფულის ერთეული ყაზახეთში; 11. საათების წარმოების ერთ-ერთი ცენტრი შვეიცარიაში; 13. ძველი ბერძნული ქალაქების გამაგრებული ნაწილი; 16. შეძლებული გლეხის სახელწოდება საბჭოთა კავშირში; 19. ადამიანი, რომელმაც უღალატა თავის რწმენას; 20. ქართველი ფრენბურთელი მამაკაცი, ოლიმპიური ჩემპიონი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*



# რეზო ჩხეიძეს ვარსკვლავი გაუხსნეს

ეკა ირემაშვილი

**ქართველ რეჟისორ რეზო ჩხეიძეს კინოთეატრ „რუსთაველის“ წინ ვარსკვლავი მრავალჟამიერის თანხლებით გაუხსნეს. ვარსკვლავის გახსნის ცერემონიალი 9 მაისს იყო დაგეგმილი, ამავე დღეს კინოთეატრში შედგა რეჟისორის ფილმ „ჯარისკაცის მამის“ ფერადი ვერსია, მაგრამ, ოთარ მეღვინეთუხუცესის გარდაცვალების გამო, რეზო ჩხეიძემ ვარსკვლავის გახსნასა და ყველანაირ საზეიმო ცერემონიალზე უარი თქვა.**



როგორც ვარსკვლავების გახსნის ორგანიზატორმა დათო ოქიტაშვილმა აღნიშნა, ვარსკვლავის გახსნა მოგვიანებით დაიგეგმა. ამ ცერემონიალზე რეზო ჩხეიძეს საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე ეწვივნენ.

რეჟისორის სიხარული მისმა კოლეგებმა, მეგობრებმა, ოჯახის წევრებმა და მისი შემოქმედების თაყვანისმცემლებმაც გაიზიარეს. რეზო ჩხეიძე მილოცვებს თვალცრემლიანი იღებდა. მისი სახელობის ვარსკვლავს ოქროსფერი ლუქი პირადად ბიძინა ივანიშვილმა მოხსნა.

კინოთეატრ „რუსთაველის“ მოპირდაპირე მხარეს, მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლესთან „პიონერფილმმა“ და სასახლის აღსაზრდელებმა საგანგებო ღონისძიება მოუწყვეს და გზის მეორე მხრიდან ერთობლივი შეძახილებით

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრები ირლანდიის დედაქალაქშია

ხანგრძლივი მგზავრობის შემდეგ, თემურ ქეცბაიას გუნდი დუბლინში ჩავიდა. ირლანდიაში გასამგზავრებლად საქართველოს ნაკრებს ავიალაინერის გამოცვლა დასჭირდა. როდესაც ეროვნულმა ნაკრებმა თბილისიდან კომპანია „ჯორჯიან ეარვეისის“ კუთვნილი თვითმფრინავით გეზი ირლანდიისკენ, ერთსაათიანი ფრენის შემდეგ კი, პილოტმა კვლავ თბილისის საერთაშორისო აეროპორტში დაბრუნება გადაწყვიტა. მიზეზად ტექნიკური პრობლემა დასახელდა, რომელიც ავიალაინერს ფრენის დროს შეექმნა. გუნდი თბილისის აეროპორტში დაბრუნდა. ავიაკომპანიის ახალი ლაინერის მომზადების შემდეგ კი, ნაკრები დუბლინში გაემგზავრა.



გაუთვალისწინებელი პრობლემების გამო, ეროვნულ ნაკრებს 29 მაისს დანიშნული ვარჯიში გაუუქმდა. ჩვენი გუნდი ირლანდიის დედაქალაქში 22 ფეხბურთელის შემადგენლობით ჩავიდა. ნაკრებს ადგილზე დახვდა „ორჰუსის“ ქართველი ლეგიონერი დავით დევდარიანი.

ნაკრები დუბლინის ცენტრიდან 15 წუთის დაშორებით მდებარე სასტუმროში დაბინავდა. ეროვნული გუნდის სამწვრთნელო შტაბმა და ფეხბურთელებმა მომავალი მეტოქის თამაშს პირდაპირ ეთერში უყურეს. ირლანდიის ეროვნულმა ნაკრებმა უემბლის სტადიონზე ინგლისთან 1:1 ითამაშა (ირლანდიელთაგან გოლი ლონგის ანგარიშზეა).

საქართველოს ნაკრები 2 ივნისამდე ყოველდღიურად ერთჯერად ვარჯიშებს, იქაური დროით 18 საათზე გამართავს და დეტალებს პერიოდულად მოგაწვდით. ირლანდიისა და საქართველოს ეროვნული ნაკრებების შეხვედრა კი, 2 ივნისს, დუბლინის „ავივას“ სტადიონზე, თბილისის დროით 20:30 წუთზე დაიწყება.

**თემურ ქეცბაია:**

– ხანგრძლივი და უცნაური მოგზაურობა კი გამოგვივიდა, მთელი დღე გზაში ვიყავით, მაგრამ რაც მთავარია, მშვიდობით ჩამოვედით და დავბინავდით. მშვენიერი სასტუმროა და ყველანაირი პირობები იმისათვის, რომ თამაშისთვის კარგად მოვემზადოთ. ირლანდიის ნაკრების ბოლო თამაშსაც ერთად ვუყურეთ და იმედი მაქვს, ბიჭები ყველაფერს გააკეთებენ, რომ კიდევ ერთხელ გაახარონ ქართველი გულშემატკივარი. ორი რთული თამაში გველის, მაგრამ კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ დადებითი შედეგის მისაღწევად.

მ. ჟ.

# ბილ გეითსმა საკუთარ ოთხ შვილს მხოლოდ 10-10 მლნ დოლარი მისცა



„მაიკრსოფტის“ დამფუძნებელმა ბილ გეითსმა საკუთარ ოთხ შვილს 10-10 მლნ დოლარი მისცა. გეითსმა აღიარა, რომ დიდი ხანია რაც ფულის ყადრი აღარ იცის. მსოფლიოს უმდიდრესმა ადამიანმა შვილებისთვის 10 მლნ დოლარის გადაცემა ახსნა იმით, რომ არ სურს შვილებს დიდი ფული მისცეს, რათა მათ თავად გადაწყვიტონ, რა სურთ სამომავლოდ.

„მიმაჩნია, რომ ბავშვი უნდა გაიზარდოს იმ შეგრძნებით, რომ მან საკუთარი ცხოვრება და მომავალი თავად უნდა წარმართოს. ეძებოს სამუშაო და ფული ქარს არ უნდა გააყოლოს“,– მიიჩნევს მილიარდერი.

მისი განმარტებით, მიუხედავად, რომ გაზონის საკრეჭი დიდი ხანია ხელში არ სჭერია, ჭურჭელს ყოველდღე თვითონ რეცხავს.

ბილ გეითსის პირადი კაპიტალი „ფორბსის“-ის 2011 წლის მონაცემით შეადგენს 61 მილიარდ დოლარს. დასაქმებულია 78 000 ადამიანი მსოფლიოს 105 ქვეყანაში, სადაც „მაიკროსოფტს“ საკუთარი წარმომადგენლობები აქვს.

გ. მ.

# „შინმა“ სტუდენტებისთვის დაუკრა

ეკა ირემაშვილი

**ჯგუფმა „შინ“ დიდ საკონცერტო დარბაზში თავისი ახალი ალბომის „არაჩვეულებრივი გამოფენის“ ოფიციალური წარდგენის შემდეგ საგანგებო კონცერტი გამართა და სტუდენტებისთვის დაუკრა. ღონისძიების ორგანიზატორი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო იყო. ამავე საღამოზე შედგა ჯგუფის სიდი ალბომის განმეორებითი პრეზენტაციაც.**

– „ბრავო რეკორდსთან“ ერთად ჯგუფის „შინ“ ახალი, ორიგინალური და ინოვაციური სიდი ალბომის პრეზენტაცია და განმეორებითი კონცერტი კულტურის სამინისტროს ეგიდით დაიგეგმა. ამ კონცერტზე დასასწრები მოსაწვევები უფასოდ, საჩუქრად გადაეცეთ უმაღლესი სასწავლებლების თვითმმართველობების წარმომადგენლებსა და სტუდენტებს, – განაცხადა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილე ბადრი ბაგრატიონ-გრუზინსკიმ.

ჯგუფი „შინ“ გერმანიაში 20 წლიანი მოღვაწეობის შემდეგ სამშობლოში დაბრუნდა და ქარ-

გაგრძელება მე-10 გვერდზე



ლურჯი წითელი ყვითელი შავი